დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 28 ოქტომბერი - 3 ნოემბერი

N45 1563

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# საქართველომ გლობალური ომის პარტია დაამარცხა!



2-3

## ირაკლი გოგავა:



10

იდეოლოგია, რომელსაც ევროკავშირი გვახვევს თავს, ჩვენთვის დაღუპვის გზაა!

„საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება არ ემუქრება!"

## მაია ნიკოლეიშვილი:



8

**საქართველოში რევოლუცია ვერ შედგება!**

„წარმოიდგინეთ, როგორი იდიოტები ვგონივართ, მათ შორის, სალომე ზურაბიშვილს, რომ სანდუს დემოკრატიის შუქურად წარმოგვიჩენენ!

## ლაზარე ჟორბენაძე:



ზურაბ ჟვანიას მკვლელობას ჰქონდა ერთადერთი მიზეზი: დაპირისპირება სააკაშვილთან „საქართველოს რკინიგზის", ფოთის პორტისა და კაზრეთის ოქროს გამო!



22

# უსმინეთ ამ კაცს! 28

## ბესო მიქავა:



ამერიკის საელჩოს წინ სამარცხვინო არარაობის კამალა ჰარისის ფიტულის დაწვის საკითხი განიხილება!

19

„გამსახურდია პირადად ბუშების ოჯახის მიერ არის მოკლული!"

## მერაბ შათირიშვილი:



**ახლა, რაც ამ ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გააკეთოს, არის ის, რომ ეს სამარცხვინო და საზიზღარი არსება - სალომე ზურაბიშვილი გააგდოს!**

5

## გია ყრუაშვილი:



21

**თუ საჭირო გახდება, ჩვენ დავუდგებით და დავიცავთ ამ ხელისუფლებას, მაგრამ ამ ხელისუფლებამაც უნდა მოგვცეს ამის საშუალება!**

„აიკრძალოს ნაცხლისტების პარტია!"

# წკმუტუნები 4




13

**ბრიქსის მე-16 სამიტმა ყაზანში წერტილი დაუსვა დასავლეთის ჰეგემონიას!**

14

ბრიქსის ახალი ფულადი ერთეული მოსპობს დოლარის ბატონობას!

**ჩვენ გვსურს სიტუაციის შეცვლა და შევცვლით კიდეც!**

## ლალი მოროშკინა:



**არ შეგეშინდეთ, მივენდოთ ბიძინა ივანიშვილს!**

12

„პირველ ფლანგზე საკუთარი შვილები დააყენა სწორედ თქვენი სიმშვიდისთვის და ნიშნად იმისა, რომ ყველაფერი კარგად იქნება!"

უპრეცედენტო გამარჯვება

# საქართველომ გლობალური ომის პარტია დაამარცხა!

*2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც თავისი მნიშვნელობით ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე პოლიტიკური ძალების შეჯიბრება საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობის მოსაპოვებლად, დამთავრდა ისე, როგორც უნდა დამთავრებულიყო:*

***„ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველთა ხმების 54 პროცენტზე მეტი მიიღო, რაც 17 პროცენტით აღემატება ოთხი მთავარი ოპოზიციური ცენტრის მიერ მიღებული საერთო ხმების რაოდენობას.***

თუ უფრო დავაკონკრეტებთ, **სააკაშვილის ნაცებმა, გვარამიას ნაცებმა, ხაზარაძის კოალიციამ და გახარიას პარტიამ** ჯამში 37,5 პროცენტი, ანუ **776 595** ხმა აიღეს მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმების რაოდენობამ **1 117 480** შეადგინა.

ესე იგი, „ქართულმა ოცნებამ“ **340 885 ხმით** აჯობა იმ ოთხ ოპოზიციურ ცენტრს, რომელიც სალომე ზურაბიშვილის მიერ შედგენილი ანტიკონსტიტუციური და ანტისახელმწიფოებრივი დოკუმენტის — **ე.წ. ქართული ქარტიის** გარშემო იყო გაერთიანებული და კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას აპირებდა.

პირდაპირ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ **არჩევნებში სახელისუფლო პარტიის დამაჯერებელი გამარჯვებისა და კოლექტიური ნაცმოძრაობის კოლექტიური მარცხის მთავარი ფაქტორი ამომრჩეველთა ზემაღალი აქტივობა გახლავთ** — 3 508 294 რეგისტრირებული ამომრჩევლიდან 26 ოქტომბერს ხმის მისაცემად 2 060 412 ამომრჩეველი, ანუ თითქმის 60 პროცენტი მივიდა, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიული არჩევნების მაჩვენებელს უტოლდება.

როგორც ჩანს, ქართველმა ხალხმა შესანიშნავად გაიაზრა, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს 12 წლის წინანდელ არჩევნებზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და შესაძლოა, უფრო მეტად მნიშვნელოვანიც კი იყო, რადგან სასწორზე ომი და მშვიდობა იდო.

და, საერთოდ, **2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს ხელისუფლებასა და ქართველ ხალხს ოთხი პარტიისაგან შემდგარი კოლექტიური ნაცმოძრაობა კი არა, თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილი, შავბნელი და სახიფათო ძალა უპირისპირდებოდა, რომელსაც გლობალურ ომის პარტიად მოიხსენიებენ.**

უკეთ რომ ვთქვათ, საქართველოში ხელისუფლების შეცვლისა და კოლექტიური ნაცმოძრაობისათვის ძალაუფლების გადაცემით დაინტერესებული იყვნენ ის ძალები, რომელთა გავლენებს თვით ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი ადმინისტრაცია და ევროკავშირის ლიდერები ემორჩილებიან.

— **„ქართული ოცნება“, რომელმაც რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნასა და საქართველოს ომში ჩართვაზე უარი განაცხადა, ხელისუფლებას უნდა ჩამოშორდეს და მისი ადგილი დაიკავოს კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ, რომელიც მზად არის, საქართველო ომში ჩართოს!** — ასეთი იყო **გლობალური ომის პარტიის** გადაწყვეტილება და ეს იყო მთავარი მიზანი, რის გამოც საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია კოლექტიური დასავლეთის უპრეცედენტო, უხეში და ცინიკური ჩარევით წარიმართა.

უფრო მეტიც, **კოლექტიური ნაცმოძრაობის** წინასაარჩევნო კამპანიას პირდაპირ ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან წარმართავდნენ **გლობალური ომის პარტიის** კონგრესმენი და ევროპარლამენტარი დამქაშები, რომლებიც „ქართულ ოცნებასა“ და ქართველ ხალხს ევროინტეგრაციული გზის ჩაკეტვით, უვიზო რეჟიმის გაუქმებითა და, ზოგადად, საერთაშორისო იზოლაციით აშანტაჟებდნენ.

აღარაფერს ვამბობთ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის დიდ ნაწილზე, რომელიც ქართველ ამომრჩეველს, ფაქტობრივად, ღიად მოუწოდებდა, რომ ხმა **კოლექტიური ნაცმოძრაობისათვის** მიეცა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა **რობინ დანიგანმა** და ევროკავშირის ელჩმა **პაველ ჰერჩინსკიმ** სახე მთლიანად დაკარგეს, დიპლომატიის ელემენტარული სტანდარტები ფეხქვეშ გათელეს და რადიკალური ოპოზიციის საარჩევნო აგიტატორებსა და კოორდინატორებს დაემსგავსნენ.

ასე და ამრიგად,



**ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რობინ დანიგანმა და ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ სახე მთლიანად დაკარგეს, დიპლომატიის ელემენტარული სტანდარტები ფეხქვეშ გათელეს და რადიკალური ოპოზიციის საარჩევნო აგიტატორებსა და კოორდინატორებს დაემსგავსნენ!**



**2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ერთ მხარეს იდგა გლობალური ომის პარტია, ხოლო მეორე მხარეს – ქართველი ხალხი!**

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის მთავარი პოლიტიკური ოპონენტები არა სააკაშვილის, გვარამიას, ხაზარაძისა და გახარიას პარტიები, არა-

## კვირგვინოსნები



**ბიძინა ივანიშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე*

**მადლობა ჩვენს საყვარელ ამომრჩეველს,** რომელიც გულწრფელად, ასეთი ერთგულებით მოგვყვება, **„ქართული ოცნება“ აუცილებლად დავაფასებთ ამ ნდობას.**

„პირველი არხი“



**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**გიორგი გახარიასთვის** ეპითეტი **გარეწარიც** კი ძალიან რბილი შეფასებაა — ის გარე დავალებების საფუძველზე, უმძიმეს დანაშაულებს სჩადიოდა — ერთმანეთს შეგნებულად უპირისპირებდა სახელმწიფოსა და ადამიანებს, სამართალდამცველებსა და ახალგაზრდებს. ამას ის აკეთებდა სპეციალურად, შეგნებულად, გარე დავალებების საფუძველზე.

„ინტერპრესნიუსი“



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

შემთხვევითი არაა, რომ **12 წლის შემდეგ, მეოთხე მანდატი ღირსეულად მოვიპოვეთ** — ეს იყო ჩვენი გუნდის ღირსეული გამარჯვება ჩვენი ლიდერის ბიძინა ივანიშვილის წინამძღოლობით.

„პირველი არხი“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი, „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი*

ყველამ უნდა გაიგოს, რომ **ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი და ხელისუფლების წყარო ქართველი ხალხია** და არავინ სხვა. **ოპოზიციას** არანაირი შესაძლებლობა არა აქვს, მოაწყოს გადატრიალება და რევოლუცია — **ეს რადიკალური დაჯგუფება დამარცხებულია,** თუკი ვინმე გაბედავს კანონსაწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმას, მოჰყვება მკაცრი რეაგირება.

„ინტერპრესნიუსი“



**პეტერ სიიარტო**
*უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*

ჩარევის მცდელობის მიუხედავად, **ქართველმა ხალხმა ნათლად აჩვენა, რა სურს — ბრავო!**

„ინტერპრესნიუსი“



მედ **ბაიდენის, შოლცისა და მაკრონის ხელისუფლებები** იყვნენ!

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში ოფიციალურ თბილისს ოფიციალური ვაშინგტონი და ოფიციალური ბრიუსელი უპირისპირდებოდნენ!

შესაბამისად, **2024 წლის 26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა კოლექტიური ნაცმოძრაობა კი არა, გლობალური ომის პარტია დაამარცხა!**

2024 წლის 26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა დაამარცხა **კუბილიუსები, ფოტიგები, იუკნევიჩიენეები, მარკეტა გრეგოროვები** და სხვა ევროპარლამენტარები, რომლებიც თავიანთი სამარცხვინო რეზოლუციებით ცდილობდნენ, კოლექტიურ ნაცმოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნებაში დახმარებოდნენ!

2024 წლის 26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა დაამარცხა **ენტონი ბლინკენი, ჯიმ რიში, ჯინ შაჰინი** და აშშ-ის დღევანდელი პოლიტელიტის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც ქართველ ხალხს ისე ელაპარაკებოდნენ, როგორც კოლონიის აბორიგენებს, რომლებსაც ბატონის ბრძანების უსიტყვოდ შესრულება მართებთ და არათუ რაიმე გადაწყვეტილების მიღების, არამედ საკუთარი აზრის ქონის უფლებაც არ გააჩნიათ!

თუმცა, ქართველმა ხალხმა 2024 წლის 26 ოქტომბერს მთელ მსოფლიოს და, უპირველეს ყოვლისა, გლობალურ ომის პარტიას უთხრა და უჩვენა, რომ **უუფლებო კოლონიის მოსახლეობა კი არა, ამაყი, ღირსეული და თავისუფალი ერია, რომელსაც სამშობლოსა და სახელმწიფოს ინტერესებს ვერც მუქარითა და შანტაჟით დაათმობინებ და ვერც „ფოჩიან კანფეტში“ გააცვლევინებ!**

**გლობალურ ომის პარტიას,** ბლინკენებს, შოლცებსა და მაკრონებს ეგონათ, რომ მათი „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლები — **კოლექტიური ნაცლიბერალები** — ქართველი ერის ხასიათს გამოხატავდნენ, ანუ ფიქრობდნენ, რომ ქართველები **ლომჯარიას, ბიბაურს, სამადაშვილს, ბოკუჩავას, ხოშტარიას, ბჟარამიასა და შარავლჩახდილ ბირჩ ჯაფარიძეს** ჰგვანან, მაგრამ ქართველმა ხალხმა გლობალურ ომის პარტიას, **ბლინკენებს, შოლცებსა და მაკრონებს** დაუმტკიცა, რომ მათ „მეხუთე კოლონას“ — კოლექტიურ ნაცლიბერალებს — საქართველოსთან და ქართველი ერის ხასიათთან საერთო არაფერი აქვთ და ქართული სინამდვილისათვის უცხო სხეულს წარმოადგენენ!

**გლობალურმა ომის პარტიამ** და **კოლექტიურმა დასავლეთმა** ამიერიდან მაინც უნდა შეიგნონ, რომ მათი ჯილა ნაცლიბერალები სხვანი არიან და საქართველო სულ სხვაა!

**ბლინკენებმა, მაკრონებმა და შოლცებმა** ახლა მაინც გაიგონ და დაიმახსოვრონ, რომ **სამშობლოს გამღმერთებელი ქართველი ერი არაფრით არ ჰგავს უსამშობლო ნაცლიბერალების კრებსით სახეებს — ნინო ლომჯარიასა და ეკა ბიბაურს!**

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ,

**2024 წლის 26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა თავის ჭკუის მასწავლებლებს იქით ასწავლა ჭკუა და მისთვის თითის მქნეველებს იქით დაუქნია თითი!**

2024 წლის 26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა გლობალური ომის პარტია პირწმინდად დაამარცხა!

2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოში საქართველომ გაიმარჯვა!

სწორედ ეს არის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების მთავარი შედეგი, რომელიც **არანაირ პროცენტებში არ იზომება!**

***ჯაბა ხუბუა***



**2024 წლის 26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა დაამარცხა კუბილიუსები, ფოტიგები, იუკნევიჩიენეები, მარკეტა გრეგოროვები და სხვა ევროპარლამენტარები, რომლებიც თავიანთი სამარცხვინო რეზოლუციებით ცდილობდნენ, კოლექტიურ ნაცმოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნებაში დახმარებოდნენ!**

## კვირგვინოსნები

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ქუჩის ლონისძიებები ოპოზიციას გუშინვე ჰქონდა დაანონსებული, სცენაც კი ააწყვეს და შემდეგ არასახელოვნად დაშალეს. **ამ მონაცემებით ჩანს, რომ გვექნება 89 მანდატი და პარლამენტი მათ გარეშეც შეიკრიბება.**

„პირველი არხი“

**მამუკა მდინარაძე**
*პარტია „ქართული ოცნების“ წევრი*



**ცოტა მეტ შედეგს ველოდით**, როგორც ჩანს, **გახარიამ** მოახერხა ჩვენი ხმების პარაზიტობა, ამისათვის იყო ის ჩანერგილი — მე პირადად მოლოდინი მქონდა, რომ 100 მანდატი გვექნებოდა.

**ოპოზიცია იტყვის, პარლამენტში არ შევალთო** — ნუ შემოვლენ! ძალიანაც მივქარეთ, რომ წინა შემთხვევაში ვეხვეწეთ.

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი კალანდარიშვილი**
*ცესკოს თავმჯდომარე*



არჩევნების დღეს გამოყენებული იყო **15 ათასამდე აპარატი,** საიდანაც **მხოლოდ 20 გამოვიდა მწყობრიდან** — ელექტრონული ტექნოლოგიების გამართული მუშაობა დაადასტურა საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ.

„ინტერპრესნიუსი“

**ალან ავრილი**
*საერთაშორისო დამკვირვებელი*



**გაკვირვებული ვარ** იმით, თუ რა ორგანიზებულად და გამართულად ჩატარდა საარჩევნო პროცესი, **არ ვარ დარწმუნებული,** რომ ყველა დასავლურ ქვეყანაში ასეთ მაღალ დონეზეა არჩევნები ორგანიზებული.

„იმედინიუსი“

***2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები დასრულდა... მართალია, საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოიპოვა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, „ქართულმა ოცნებამ“ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, ხმების 54 პროცენტზე მეტი მიიღო და მეორე ადგილზე გასულ შარვალჩახდილთა გეი-კლუბს შედეგით ხუთჯერ აჯობა.***

სამარცხვინოა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, **ზურაბ (ბირჩმა)** და **ნიკუშა გვარამიამ** ხმათა 10 პროცენტი მიიღეს და სააკაშვილის ნაცებსაც კი გადაუსწრეს... ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ყოველი მეათე ამომრჩეველი შარვალჩახდილთა სექტას მიემხრო და უკანალი პოლიტიკური სიძვის შარაგზაზე გამოდო.

უკვე ორი დღეა, ყველა მეკითხება — **სააკაშვილის, გვარამიას, ხაზარაძისა და გახარიას ნაცები შეეთრევიან თუ არა პარლამენტში?**

მე მათ მოკლედ ვპასუხობ — **ჯერ იწკმუტუნებენ და მერე შეეთრევიან-მეთქი.**

ჰოდა, **წკმუტუნებენ** კიდეც! 26 ოქტომბრის ღამეს, როგორც კი არჩევნების პირველადი შედეგები გამოცხადდა, უკვე დაიწყეს **წკმუტუნი** და რუსთაველის პროსპექტზე აქციების ჩასატარებლად სცენაც კი აღმართეს, მაგრამ დაურეკათ **ორჯერ გათხოვილმა მიხაილ როთმა და მამუკა ხაზარაძის** ხარახურა მაშინვე დაშალეს — ეუთო-ოდირის დამკვირვებელთა შეფასებებს დაველოდოთო!

**არჩევნების მეორე დღეს, 2024 წლს 27 ოქტომბერს, 15:00 საათზე მართლაც გაიმართა საერთაშორისო დამკვირვებელთა და ევროპული მისიების ხელმძღვანელთა გაერთიანებული პრესკონფერენცია და ჰოი, საკვირველებავ — ისინიც აწკმუტუნდნენ!**

გამოვიდა ნატოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი თურქი **ფაიქ ოზტრაკი** და, უკაცრავად პასუხია, მაგრამ სულ გაატრაქტორა საქმე. „ოზტრაკულად“ ილაპარაკეს ეუთო-ოდირის მისიის ხელმძღვანელმა ებრაელმა **ეგონ მერფიმ,** ესპანელმა **უაითმა** და საფრანგეთის სენატის წევრმა **პასკალმა...** რა არ თქვეს და რა არ გაიხსენეს — საარჩევნო გარემო პოლარიზებული იყოო, დემოკრატია საფრთხეშიაო, გამჭვირვალობის კანონმა ქვეყნის უკუსვლა გამოიწვიაო! **საინტერესოა, როდის ჰქონდა ქვეყანას წინსვლა — სააკაშვილი ხალხს წინ და უკან ცოცხებს რომ უყრიდა და დათო ცინდელიანს შავი ზღვის წყალქვეშა სასაფლაოზე მარხავდა, მაშინ?**

ერთი სიტყვით, ევროპელი რევიზორებიც, ნაცსექტანტების მსგავსად, წკმუტუნებდნენ, მაგრამ ჟურნალისტებმა რამდენი შეკითხვაც არჩევნების ლეგიტიმურობის შესახებ დასვეს, იმდენი აიჭრნენ, აიბნენ და კიდევ უფრო მეტად **აწკმუტუნდნენ.** ასე, მაგალითად, საფრანგეთის სენატის წევრმა **პასკალმა** განაცხადა — **არჩევნები ლეგიტიმურია თუ არა, ამ შეკითხვაზე შავ-თეთრ პასუხს ვერ გაგცემთო!**

ევროკავშირიდან გამოგზავნილმა რევიზორმა **ესპანელმა უაითმა** სულ მთლად გაგვაოცა — **არჩევნები სამართლიანად ჩატარდა თუ არა, ჩვენ აქ ამის გამოსარკვევად არ ჩამოვსულვართო!**

ბატონო უაით, აბა, რისი დამკვირვებლები ხართ და რისთვისღა ჩამოეთრიეთ — **ზურაბ (ბირჩს)** წამოხდილ უკანალში რომ დააკვირდეთ თუ გალოთებულმა **ლიაკა ხოშტარიამ** რამდენი ბოთლი „სტოლიჩნი“ დალია, ის უნდა დათვალოთ?

თურქი **ფაიქის** მსგავსად, **„ოზტრაკულად“ მოლაპარაკეთა თუ მოწკმუტუნეთა პრესკონფერენციას** პირდაღებული შესცქეროდნენ ის აგენტები და მოღალატენი, რომლებიც ქვეყნიდან დაუყოვნებლივ არიან გასაძევებელი, მაგრამ რადგან ევროპელმა რევიზორებმა არჩევნების არალეგიტიმურად და უკანონოდ გამოცხადება ვერ გაბედეს და მხოლოდ **წკმუტუნით** დაკმაყოფილდნენ, ქართველი აგენტებიც იძულებული არიან, თავიანთი დამპალი ცხოვრება სულ **წკმუტუნში** გალიონ!

ცხადია, ევროპელი რევიზორები **წკმუტუნს** არ დასჯერდებოდნენ და შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ამ არჩევნებს უსათუოდ არალეგიტიმურად გამოაცხადებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ ასეთი ბრძანება საყაენოდან არ მიუღიათ! ამას თავისი მიზეზი აქვს... ეტყობა, საქმე ამერიკაშიც **„ოზტრაკულადაა“,** რადგან გახრწნილ იმპერიაში, რომლის პრეზიდენტიც გამოჩენჩერების უკანასკნელ სტადიაში შევიდა, 2024 წლის 5 ნოემბერს საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული. არჩევნების წინ კი მოხდა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: **გავლენიანმა „ვაშინგტონ პოსტმა“, რომელიც აქამდე სულ „დემოკრატებს“ გულშემატკივრობდა, ამ დღეებში ოფიციალურად განაცხადა, რომ კამალა ჰარისს მხარს არ დაუჭერს!**

**„ვაშინგტონ პოსტის“** მეპატრონე გახლავთ მილიარდერი **ბეზოსი,** რომელიც ამავდროულად **„ამაზონსაც“** ფლობს და უდიდეს სახელმწიფო შეკვეთებზე მუშაობს. ეტყობა, ბეზოსმა იცის, რომ ამერიკის მომავალი პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** იქნება და თეთრი სახლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურს.

მოკლედ, აშკარაა, რომ სწორედ ამ არჩევნებზე უნდა გაირკვეს — **ამერიკა დაიშლება და ლგბტ სოდომიის გეენიაში ჩაიფერფლება** თუ, როგორც **დონალდ ტრამპი აცხადებს, „გახდება ისევ დიადი!“**

ეტყობა, **გლობალურმა ომის პარტიამ** ეს ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა, რისკები შეაფასა და ავანსცენაზე თავისი ლამაზისეული ჩეხი **მარკეტა გრეგოროვა** გამოათრია, რომელმაც ქართველ **წკმუტუნიებს** თავიანთ ენაზე, ანუ წკმუტუნით ამცნო — **ოპოზიციას ვურჩევ, პარლამენტში ადგილები დაიკავოს, ანუ შეეთრიეთო!**

მთელ ამ სამარცხვინო ისტერიაში, რომელიც ევროპელმა რევიზორებმა თბილისში **წკმუტუნით** ატეხეს, მაინც იყო ერთი დიდებული ფურცელი, რომელიც ულამაზესმა ფინელმა ქალბატონმა **პია კაუმამ** დაწერა... სწორედ ამ ღმერთივით ქალმა დასვა ბეჭედი და **„ოზტრაკულად“ მოლაპარაკეებს** თავს ლაფი დაასხა და ცივი წყალი გადაასხა, როცა გარკვევით და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განაცხადა — **საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები კონკურენტული იყოო!**

ამის შემდეგ ბევრი **იწკმუტუნეს...** განსაკუთრებით ამ მხრივ ესპანელი **ევრორევიზორი უაითი** გამოირჩეოდა, რომელმაც განაცხადა — **ასეთი ცნება ჩვენს ლექსიკონში საერთოდ არ არისო!** მაგრამ დიდებული ფინელი ქალბატონის შეფასების რევიზია ვერცერთმა რევიზორმა ვერ გაბედა.

მოკლედ, უხერხემლო ევრორევიზორებმა მხოლოდ **წკმუტუნით** დაგვამახსოვრეს თავი და ვერაფრით თქვეს ის, რაზეც **სააკაშვილის, გვარამიას, ხაზარ-ფაშასა და გახარიას** ნაცები დღემდე ხმაშეწყობილად **წკმუტუნებენ.**

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ეუთო-ოდირის ხელმძღვანელ **ეგონ მერფიზე,** რომელიც არჩევნების დღეს საქართველოს ხელისუფლებას აქებდა და ადიდებდა, მაგრამ მეორე დღეს, **„ოზტრაკულად“** ლაპარაკში თვით **ფაიქ ოზტრაკსაც** კი გაუსწრო.

ასეა, არჩევნები დამთავრდა და **წკმუტუნები წკმუტუნებენ!**

ერთადერთი გამარჯვებული ქართველი ხალხია, რომელიც **უსამშობლო წკმუტუნებისა და მათი უცხოელი პატრონების** მიერ დაგებულ ხაფანგს კიდევ ერთხელ გადაურჩა!

***დიტო ჩუბინიძე***







## გამოვიდა ნატოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი თურქი ფაიქ ოზტრაკი და, უკაცრავად პასუხია, მაგრამ სულ გაატრაქტორა საქმე!

# წკმუტუნები

## ქართველი ხალხი უსამშობლო წკმუტუნებისა და მათი უცხოელი პატრონების მიერ დაგებულ ხაფანგს კიდევ ერთხელ გადაურჩა!

## კვირგვინოსნები



**პია კაუმა**
*ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი*

**არჩევნები იყო კონკურენტული** იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ამომრჩევლებს შეეძლოთ არჩევანი გაეკეთებინათ **18 საარჩევნო სუბიექტს შორის.** ეს არჩევნები არ იყო უბრალოდ არჩევანის გაკეთება **მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის,** არამედ ოპოზიციურ პარტიებს შორისაც იყო საკმაოდ აქტიური კონკურენცია.

„პირველი არხი“



**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*

**თუ გაყალბების სერიოზული მტკიცებულებები არ არის** და ასე თუ ისე არჩევნები ცნობილ იქნა ლეგიტიმურად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, მაშინ **ოპოზიციამ უნდა მიიღოს ეს შედეგები.**

„პრაიმტაიმი“



**ხუან ეჩარაინ რობა**
*საერთაშორისო დამკვირვებელი*

ვნახეთ მოწესრიგებული და დაუბრკოლებელი პროცესი იმ უბნებზე, სადაც ვიმყოფებოდით, **ეს იყო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები.**

„პირველი არხი“



**დავით ქოდუა**
*„ქართული ოცნების“ დეპუტატი*

**ანა წითლიძემ** ზუგდიდში სრულად დაკარგა ნდობა — **თავის უბანშივე წააგო, ჭიშკრის მეზობლების ნდობაც კი ვერ დაიმსახურა.**

„ინტერპრესნიუსი“



**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*

**არ დავუშვებთ,** რომ უნგრეთი კვლავ მარიონეტული სახელმწიფო გახდეს და ბრიუსელის ვასალად იქცეს. ჩვენ ვიცით, რომ მათ სურთ **ჩვენი შვილები გენდერულ აქტივისტებს ჩაუგდოს ხელში.**

„ინტერპრესნიუსი“

***მწერალი მერაბ შათირიშვილი 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას მიესალმება და კოლექტიური ნაცმოძრაობის გაფარჩაკების მიზეზებზე საუბრობს:***

# მერაბ შათირიშვილი:

# ახლა, რაც ამ ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გააკეთოს, არის ის, რომ ეს სამარცხვინო და საზიზღარი არსება – სალომე ზურაბიშვილი გააგდოს!





— ამ არჩევნებში „ქართული ოცნება“ რომ გაიმარჯვებდა, ეჭვი არ მეპარებოდა. **ეტყობა, მოსახლეობამ კარგად გაითავისა ის საფრთხე, რაც ამ მოღალატეებისა და აგენტების — კოლექტიური ნაცმოძრაობის ხელისუფლების სათავეში შესაძლო მობრუნებას მოჰყვებოდა და მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც მიიღო.**

**— თქვენი აზრით, მაინც რამ განაპირობა სახელისუფლებო გუნდის გამარჯვება?**

— ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ „ქართული ოცნების“ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი 2024 წლის 20 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე ოპოზიციის აქციის ჩაფლავებამ. **თუ აქამდე ვინმეს კიდევ ეგონა, რომ კოლექტიურ ნაცმოძრაობას რაღაცის თავი ჰქონდა, ახლა აშკარად გამოჩნდა ერთი რამ — მიშას ნაცებმა, ხაზარაძის ნაცებმა, გახარიას ნაცებმა, გვარამიას ნაცებმა, ნაცების ენჯეოებმა და მიშას ლგბტ სოდომისტებმა არჩევნები არჩევნებამდე წააგეს,** რადგან თავისუფლების მოედანი ვერ გაავსეს, სადაც 15-18 ათასი ადამიანი ეტევა. ხალხმა ისიც დაინახა, რომ ოპოზიციამ სცენაზე ასვლა და ხალხთან ლაპარაკი ვერ გაბედა... ვერც იმის თქმა გაბედეს, აქციის უკან სინამდვილეში სწორედ ნაცები რომ იდგნენ. უფრო მეტიც, **ხალხს ისიც დაუმალეს, ნაცები და ლგბტ გარყვნილები ამ აქციას ერთად რომ ატარებდნენ.**

**— სამაგიეროდ, საქართველოს მოსახლეობის პროგრესულმა ნაწილმა ზუსტად იცის, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი, უცხო ქვეყნების აგენტურის რჩევით თუ ზეწოლით, სწორედ სააკაშვილმა დაიწყო!**

— აქედან გამომდინარე, ხალხმა კარგად გააცნობიერა, სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნება რასაც გამოიწვევდა და ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა... ახლა, რაც ამ ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გააკეთოს, არის ის, რომ ეს სამარცხვინო და საზიზღარი არსება — **სალომე ზურაბიშვილი** გააგდოს! სრულად ვუჭერ მხარს მისთვის იმპიჩმენტის ხელმეორედ გამოცხადებას, რათა საპრეზიდენტო მმართველობის ვადა ვერ ამოწუროს! **სალომე ზურაბიშვილი არის მტერი, ინტელექტის ნასახი არ გააჩნია და არც ლაპარაკი იცის.** და, საერთოდ, სასაცილო ქართულით მოლაპარაკე პრეზიდენტი გვეკადრებოდა ქართველებს? საგანგებოდ უნდა შევეხო მის ქმარს, ცნობილ კაგებეშნიკ **ჯანრი კაშიას,** რომელიც ოჯახში არშესაშვები კაცი იყო, რადგან არავითარი მორალი და ზნეობა არ გააჩნდა. აი, სწორედ ასეთი ზნეობისა და მორალის მატარებელია მისი ნათლიდედაც. ისიც გავიხსენოთ, რომ ამ „ზნეობისა“ და „მორალის“ ხალხი ებრძოდა ზვიად გამსახურდიას, დღეს კი ებრძვის საქართველოს.

**— თქვენი აზრით, მაინც რა მოხდა ისეთი, რომ ბიძინა ივანიშვილმა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი?**

— არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ, 21 ოქტომბერს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ბიძინა ივანიშვილის ვრცელმა ინტერვიუმ ძალიან ბევრ შეკითხვას გასცა პასუხი და კარგად გამოაჩინა, რამხელა წნეხის ქვეშ იყო ჩვენი ხელისუფლება. ამ ვერაგმა ქალმა მთელი საქართველო მწარედ მოატყუა, რადგან არის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების აგენტი! საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, რომ სალომე ზურაბიშვილმა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, ფაქტობრივად, კატასტროფის წინაშე დააყენა „ქართული ოცნება“. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მეორე ტურში ბილბორდებზე ამ საზიზღარი და ამორალური ქალის სურათები სასწრაფოდ შეცვალეს. ახლა ბევრი ამბობს, რომ

**სალომე ზურაბიშვილის, როგორც უცხო ქვეყნის აგენტის კანდიდატურა, ბიძინა ივანიშვილს ამერიკელებმა მოახვიეს თავს.**

იმავეს გაიძახიან **გიორგი მარგველაშვილის** შესახებაც... ფაქტია, რომ **სალომე ზურაბიშვილი** არის ერთ-ერთი კუდი, რომელიც სააკაშვილმა საქართველოში დაგვიტოვა.

**— რამდენ ხანს გაგრძელდება საქართველოში ე.წ. „სტრატეგიული პარტნიორების“ წკმუტუნი, აქაოდა, საქართველოში დემოკრატია უკან-უკან მიდისო?**

— მათი წკმუტუნი წკმუტუნად დარჩება, თუ ქართველი ხალხი მის მიერ არჩეულ ხელისუფლებას ბოლომდე გვერდში დაუდგება! ჩვენ ეს წკმუტუნი საქართველოში 2012 წლიდან გვესმის და მერწმუნეთ, ვეღარაფერს დაგვაკლებს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „მიშას ნაცებმა, ხაზარაძის ნაცებმა, გახარიას ნაცებმა, გვარამიას ნაცებმა, ნაცების ენჯეოებმა და მიშას ლგბტ სოდომისტებმა არჩევნები არჩევნებამდე წააგეს, რადგან თავისუფლების მოედანი ვერ გაავსეს!“










## კვირგვინოსნები

**მიტროპოლიტი შიო (მუჯირი)**
*საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრე*



**მსოფლიოში ისე ვითარდება მოვლენები,** იმისთვის, რომ ერმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მომავალ მსოფლიო მოწყობაში, წესრიგში, **აუცილებელია მთავარი ღირებულებების გადარჩენა და შენარჩუნება.**

„ინტერპრესნიუსი“

**ვასილ მაღლაფერიძე**
*საქართველოს პირველი არხის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე*



არჩევნების შედეგების **არცნობა** ან **არცნობისკენ მოწოდება-წაქეზება,** ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს, **ნიშნავს სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდებას,** არჩევნები ჩატარდა, ვალდებულნი ვართ, დავრჩეთ კონსტიტუციის ფარგლებში.

„პირველი არხი“

**ანა დოლიძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წევრი*



**ჩვენ ვართ განრისხებულები** იმით, რისი წარმოდგენა და დაწერაც გაბედა ცესკომ — შედეგები, რომელიც გამოგვიცხადეს, არ ასახავს ქართველი ხალხის ნებას.

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი ვაშაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



**დაწერილ შედეგს არ ვიღებთ, არ ვაღიარებთ!** — ვაგრძელებთ ბრძოლას!

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი გახარია**
*„გახარია — საქართველოსთვის“ ლიდერი*



**პარტიული პროტესტი თუ მოგვინდა, ამ პროტესტს ჩვენ თავად დავაორგანიზებთ.** რა გგონიათ, აქციის მოწყობაა პრობლემა?

„აიპრესი“

*2024 წლის 21 ოქტომბერს, არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გავიდა ჟურნალისტ მაგდა ანიკაშვილის უაღრესად საინტერესო ინტერვიუ პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარესა და საპარლამენტო სიის პირველ ნომერ ბიძინა ივანიშვილთან. საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ქვეყნისათვის საჭირბოროტო არაერთ თემასა და იმ რეალურ საფრთხეებზე ისაუბრა, რომელთა წინაშეც ქართული სახელმწიფო დღეს, უკრაინაში მიმდინარე ომისა და რეგიონში არსებული უმძიმესი გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე დგას. საჭიროდ და აუცილებლად მიგვაჩნია, ჩვენს მრავალრიცხოვან მკითხველს ბიძინა ივანიშვილის სენსაციური სატელევიზიო ინტერვიუს საგაზეთო ვერსია შევთავაზოთ.*




# სანამ უკრაინაში ომი არ დასრულდება, ყველა დღისა და ყველა კვირის უნდა გვეშინოდეს, რადგან პატარა შეცდომაც რომ დავუშვათ, შეიძლება, ქვეყანა დავკარგოთ!

**ბიძინა ივანიშვილი:** — განცხადებები, რომლებიც ქვეყნის გარედან ჩვენ შესახებ კეთდება, ძირითადად, შანტაჟის შემცველია და ამის კოორდინაციას აკეთებენ დღევანდელი ოპოზიციის მეპატრონეები, რომლებსაც გლობალურ ომის პარტიას ვეძახით. მიუხედავად ამისა, შანტაჟმა, დასჯამ და სანქცირებამ არ იმუშავა და ვერც იმუშავებს. მე პირადად აღარ ველოდები, რომ სანქციები კიდევ იქნება. ვფიქრობ, რისი გაკეთებაც შეეძლოთ, უკვე გააკეთეს და ამან უკუშედეგი გამოიღო, რადგან არაობიექტურ ინფორმაციაზე დაფუძნებული შანტაჟი იყო.

საერთოდ, ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის საფუძველი ის არის, რომ საზოგადოებას ვირტუალური რეალობა რეალობად მოაჩვენოს. ჩვენი გუნდის წევრები უფრო სწორ ტერმინს — **ლიბერალურ ფაშიზმს** იყენებენ და სწორედაც ლიბერალური ფაშიზმის კონტექსტში ჯდება განცხადებები, თითქოს საქართველო ავტორიტარული ქვეყანაა, თითქოს საქართველოში დემოკრატია უკან იხევს, თითქოს საქართველო შორდება ევროპას... თანაც, დღეს იგივე ხალხი გვაკრიტიკებს, ვინც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს საქართველოს „დემოკრატიის შუქურას“ ეძახდა.

დღეს საქართველოში რეალური დემოკრატიაა და არა ის, რასაც დემოკრატიად გვიხატავდნენ მაშინ, როცა მთელი მედია მონოპოლიზებული იყო და განსხვავებულ აზრს ვერ გაიგებდი. აბა, ნახეთ, რამდენი ტელევიზიაა დღეს საქართველოში და კიდევ იმდენს გახსნიან, რამდენიც მოუნდებათ. ეს არ არის ის დრო, როცა სატელიტურ თეფშებს გვიყადაღებდნენ და დამოუკიდებელი საინფორმაციო წყაროების ქონას გვიკრძალავდნენ.

საქართველოში დღეს არის ჭეშმარიტი დემოკრატია, რის გამოც, თავის დროზე, ევროპა გახდა მომხიბვლელი, თუმცა, სამწუხაროდ, დღეს ევროპას ჭეშმარიტი დემოკრატია აკლია.

ოპოზიციის ძირითადი ლოზუნგია — **ჩვენ ევროპაში წავიყვანთ, „ქართულ ოცნებას“ კი რუსეთში მიჰყავხართ!** ჩვენ არც დასავლეთისათვის ვიღვწით და, მითუმეტეს, არც — რუსეთისათვის, ჩვენ საქართველოსთვის ვიღვწით, მაგრამ ოპოზიციას ვერაფრით გაუცნობიერებია, რომ საქართველო არსებობს, ის ჩვენი სამშობლოა და სახელმწიფოს არსი სამშობლოს დაცვაა.

თავის დროზე ევროკავშირი საინტერესო გახდა სწორედ ქრისტიანული ფასეულობებით, ადამიანის უფლებებით, თანაბარი კონკურენციით, ბიზნესის ხელშეუხებლობით, სასამართლოს დამოუკიდებლობით... ჩვენ ყველა ამ მიმართულებით ისეთი მიღწევები გვაქვს, რომ მსოფლიო მასშტაბით ან სამეულში შევდივართ, ან — ხუთეულში, ან — პირველ ადგილზე ვართ. ჩვენი თუ არ გჯერათ, ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანიზაციების რეიტინგები ნახეთ. ჩვენ გვინდა არა მოგონილ, არამედ რეალურ ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული საქართველო! **ევროპა ტერიტორია კი არ არის, ევროპა ევროპული ფასეულობებია და ჩვენთვის ეს ფასეულობები უცხო არ არის, ჩვენ ვაჟა-ფშაველას შვილიშვილები ვართ და ნახეთ მისი ნაწერები ჰუმანურობაზე, ადამიანის უფლებებზე...**

ჩემს თავს უკრაინის დიდ მეგობრად ვთვლი და ძალიან განვიცდი, რაც იქ ხდება, მაგრამ დიდად არ მომინდებოდა ევროკავშირში ისე შესვლა, როგორც უკრაინას ექაჩებიან. **ჩვენ ევროპაში წელგამართულები უნდა შევიდეთ, გავძლიერდეთ, სახელმწიფო გავხდეთ და აქეთ შეგვეხვეწებიან — შემოდითო, ამის პირობას და გარანტიას მე გაძლევთ.**

**— რა რისკებსა და საფრთხეებს უქმნის საქართველოს რეგიონში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური ვითარება?**

— ჩვენი ქვეყნის რისკები კარგად რომ გავაანალიზოთ, უახლოეს ისტორიას უნდა გადავხედოთ და გავიხსენოთ 2008 წლის ნატოს სამიტი, სადაც საქართველო და უკრაინა ალიანსში არ მიიღეს. მაშინ თქვეს, თითქოს რამდენიმე ქვეყანა ბლოკავდა ჩვენი გაწევრიანების საკითხს, მაგრამ რეალობა სულ სხვა იყო... იმ ძალებს, რომლებიც, სინამდვილეში, ნატოს მართავენ, უკრაინისა და საქართველოს მიღების სურვილი ელემენტარული მიზეზის გამო არ ჰქონდათ — ნატო არ უნდა ჩართულიყო რუსეთთან ომში!

დღეს დასავლელი პოლიტიკოსებისაგან ძალიან ბევრი განცხადება კეთდება — ჩვენ მივცემთ უკრაინას იარაღს, მივცემთ ფულს და ყველა საშუალებას, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ დავუშვებთ, რომ ნატო რუსეთთან კონფლიქტში ჩაერთოსო! აი, ეს ყველაფერი უკვე 2008-ში იყო დაგეგმილი და საქართველოსა და უკრაინას სწორედ ამისათვის ინახავდნენ. სააკაშვილმა „კარგი“ რეპეტიცია გაგვატარა და 2008 წელს ჩაგვრთო ომში, 2022 წელს კი უკვე უკრაინა ჩართეს რუსეთთან კონფლიქტში. ისიც ვნახეთ, როგორ უნდოდათ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა. გაიხსენეთ 2021 წელს გახარიას სასწრაფო გადადგომა პრემიერ-მინისტრობიდან.

**— გახარიას გადადგომასა და საქართველოს ომში ჩართვას შორის რაიმე კავშირი არსებობდა?**

— უკრაინაში ომი რომ იქნებოდა, ეს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მისი დაწყების ზუსტი თარიღი არ იცოდნენ და უნდოდათ, საქართველო მზად ყოფილიყო ომში ჩასართავად. იცოდნენ, „ქართული ოცნება“ არ იომებდა და ამიტომ როგორმე უნდა ჩამოეშალათ ჩვენი ხელისუფლება, რაც გახარიას გააკეთებინეს, მაგრამ, საბედნიეროდ, შედეგი ვერ მიიღეს, რადგან მობილიზება მოვახერხეთ და მე მომიწია პოლიტიკაში დაბრუნება. მიზანი იყო, რომ ხელისუფლებაში მოსულიყვნენ ის ძალები, რომლებიც საქართველოს მყისიერად ჩართავდნენ ომში.

პოლიტიკოსისთვის შეურაცხყოფა არასოდეს მიმიყენებია, მაგრამ იმათ, ვინც ამ **ბარეწარ გახარიასთან** დგანან, გასამართლება მოუწევთ. **გახარიას შავით თეთრზე დავუმტკიცებთ, რას და როგორ აკეთებდა, რათა ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნებაში დახმარებოდა.** სასამართლოს დონეზე გვაქვს დალაგებული ყველა დოკუმენტი. გახარიას პარტიის წევრები „ქართული ოცნების“ წევრები იყვნენ და ჩვენი მანდატებით მოხვდნენ პარლამენტში, დღეს კი თავს იდებილებენ, ერთი-ერთში იმეორებენ ნაციონალური მოძრაობის ნარატივს და ზოგჯერ უარესებზეც გადადიან, რისთვისაც მკაცრ სასჯელს იმსახურებენ და მიიღებენ კიდეც.

**— ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში თქვენთან დაკავშირებით თქვა, რომ გაქვთ მცდარი აღქმა, თითქოს სანქცირებული ხართ და ამის გამო უარს ამბობთ საერთაშორისო პარტნიორებთან შეხვედრაზე. მას ჰქონდა ასეთი ფრაზა, რომ თქვენ პირად პრობლემას ქვეყნის ინტერესებზე წინ აყენებთ. თუ შეიძლება, აგვიხსენით, რა ხდება რეალურად?**

— სწორედ რომ პირიქით არის — არ მინდა, საკუთარი ინტერესების გამო ქვეყნის ინტერესები ოდნავ მაინც დავაზიანო. ძალიან მარტივად შეიძლება, აიხსნას, **ვარ თუ არა სანქცირებული რეალურად?** როდესაც უკრაინაში ომი დაიწყო, ზუსტად ორ კვირაში საზღვარგარეთ ჩემი ყველანაირი აქტივი, მათ შორის, ხელოვნების ნიმუშები დააყადაღეს. ვერტმფრენი მქონდა შეძენილი და ისიც რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ წამოვიყვანე გერმანიიდან. მთავარი ის იყო, რომ ჩემი ფინანსური რესურსები, რაც შვეიცარიაში გამაჩნდა და „კრედიტ სუისში“ დაყაჩაღებას გადაურჩა, იძულებით გადავიტანე სხვა ბანკში, მაგრამ დამიყადაღეს და წელიწად-ნახევარი სასამართლოებში მატარეს.

სინგაპურის სასამართლოს მეორე ინსტანციამ საქმის განხილვა მიმდინარე წლის 11 ივლისს დაასრულა და „კრედიტ სუისს“ თანხის გადახდა დაავალა, მაგრამ 29 სექტემბრის ჩათვლით ბანკი ხელოვნურად აჭიანურებდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. სწორედ ამ პროცესთან იყო კორელაციაში დასავლეთიდან წამოსული განცხადებები — ივანიშვილი უნდა დავასანქციროთო!

უცხოელ პარტნიორებთან შეხვედრების წინააღმდეგი არასოდეს ვყოფილვარ, ეს ელემენტარული უზრდელობაა და ამას როგორ ვიკადრებდი?! ამერიკის ჯერ კიდევ წინა ელჩს რამდენჯერმე განვუმარტე — **სანამ ჩემი თანხები ხელოვნურად არის დაბლოკილი, ხელისუფლების ვერანაირ გადაწყვეტილებაში მონაწილეობას ვერ მივიღებ, რადგან კომპლექსი მექნება, რომ ამას ჩემს რესურსებზე წვდომის დასაბრუნებლად ვაკეთებ-მეთქი.** წარმოიდგინეთ, ხელოვნურ სანქციებს გიწესებენ, ფულს გიჩერებენ და მერე გეძახიან — მოდი, მოვილაპარაკოთო! ასეთ ვითარებაში სულ მექნება იმის კომპლექსი, რომ გადაწყვეტილებას ჩემი თანხების დაბრუნების სანაცვლოდ ვიღებ და არა იმის გამო, რომ ქვეყანამ რაღაც სიკეთე მიიღოს. ამ ყველაფერს ვუხსნიდი ამერიკის ელჩს და ბოდიშსაც ვუხდიდი, რათა შეხვედრაზე უარის თქმა თავხედობაში არ ჩამოერთმია.

**— თუ სწორად გავიგე, ეს იყო თქვენზე ერთგვარი წნეხი და ზეწოლის ბერკეტი, რომლის ქვეშაც გარკვეული გადაწყვეტილება უნდა მიგეღოთ?**

— სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ, როცა შენს ფინანსებს ასე უხეშად გიჩერებენ? სასაცილო პასუხებს მწერდნენ — გვეშინია, რომ ქველმოქმედებაში ძალიან დიდი თანხები არ დახარჯოთ და თქვენი შვილები მშიერი არ დატოვოთ, ამიტომ სასამართლომ გადაწყვიტოს, უნდა გქონდეთ თუ არა წვდომა საკუთარ რესურსებზეო! ფაქტობრივად, მასხრად გვიგდებდნენ.

ამ ყველაფრის ფონზე, მეჩვენება, რომ სანქცირებული ვარ? შეიძლება, ვიღაცამ მაინც თქვას, რომ მოჩვენებები მაქვს, ოპოზიცია ამის თქმის არ მოერიდება.

**— ამ მოცემულობის გათვალისწინებით, როგორ წარმოგიდგენიათ მომავალში საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის გადატვირთვა, როდის შეიძლება, მოხდეს ეს და რაზე იქნება დამოკიდებული?**

— როცა სინგაპურში სასამართლო მოვიგეთ, „კრედიტ სუისმა“ გადაწყვეტილების აღსრულებას ხელი ვეღარ შეუშალა და ეს გაუგებრობა დასრულდა, მყისიერად დავურეკე ამერიკის ელჩს და შეხვედრა ვთხოვე. მისი მხრიდანაც ძალიან ჯანსაღი რეაქცია იყო, შეხვედრის სურვილი გა-



მოთქვა და მოვილაპარაკეთ, რომ არჩევნების შემდეგ შევხვდებით.

ყველაფრის მიზეზი და მთავარი პრობლემა არის უკრაინის ომი, რამაც საერთაშორისო პარტნიორებთან ჩვენი ურთიერთობები გაამძაფრა და თავდაყირაც კი დააყენა. **ვფიქრობ, ომი 2025 წლის ბოლომდე დასრულდება, შეიძლება, რამდენიმე თვეშიც დამთავრდეს და ჩვენი ურთიერთობები პირვანდელ ნიშნულს დაუბრუნდება, ოღონდ ამას ორივე მხრიდან სჭირდება მზაობა და მარტო ჩვენი ძალისხმევა საკმარისი არ იქნება.** ჩვენთვის ამერიკა მუდამ პრიორიტეტული იყო და ჩვენი გუნდის ყოფილი წევრები, რომლებიც დღეს ოპოზიციაში არიან, კარგად გაიხსენებენ ჩემს დამოკიდებულებას ამერიკისადმი. ქართველებს ძალიან რთულ რეგიონში ცხოვრების გენეტიკური გამოცდილება გვაქვს და ვიცით, ძალას ანგარიში როგორ უნდა გავუწიოთ, მაგრამ არა ისე, რომ ქვეყანა დავანგრიოთ და დავშალოთ.

**— თქვენ არაერთხელ განგიცხადებიათ, რომ „ქართული ოცნების" მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, დღის წესრიგში დადგებოდა ნაციონალური მოძრაობის არაკონსტიტუციურ ძალად გამოცხადებისა და გასამართლების საკითხი... იქნებ, საზოგადოებას აუხსნათ, რატომ არის დღეს ამის აუცილებლობა და რატომ არ მოხდა აქამდე?**

— უპირველეს ყოვლისა, ჰააგასა და სტრასბურგში სასამართლო პროცესები გვქონდა მოსაგები და მოვლენებისათვის რომ დაგვესწრო, შეიძლებოდა, ქვეყანა დაგვეზიანებინა. გარდა ამისა, ჩვენ არ გვქონდა რეალური რესურსი, რომ ნაციონალური მოძრაობის სრული გასამართლებისა და აკრძალვის პროცესი დაგვეწყო. როცა ხელისუფლებაში მოვედით, კოჰაბიტაცია მოგვახვიეს თავს — არავის თითი არ დაადოთ, არავინ არ დაიჭიროთო... **პირადად ჩემზე რამდენი და რამხელა ზეწოლები იყო, ამაზე ახლა არ ვილაპარაკებ, მაგრამ შეიძლება, ერთხელ ცალკე გადაცემა გავაკეთოთ და სიამოვნებით ვისაუბრებ...**

თუმცა, ისეც არ ყოფილა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი მიტოვებული გვქონოდა. ბევრმა პასუხი აგო თავის დანაშაულებზე — ყოფილი პრეზიდენტი დღეს პატიმრობაშია, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სასჯელი მოიხადა... მაგრამ **ყველაზე დიდი დანაშაული 2008 წლის ომი იყო, რომელიც მათ შეგნებულად, გარედან დავალებით ჩაიდინეს და ამის დოკუმენტები აბსოლუტურად იურიდიულ დონეზე გვაქვს გამზადებული.**

2008 წლის ომის გამო ნაციონალური მოძრაობის გასამართლების საკითხის დღის წესრიგში დაყენებას ხელი შეუწყო უკრაინა-რუსეთის ომმაც, სადაც დაჟინებით ცდილობდნენ ჩვენს ჩათრევას. რუსეთისათვის სანქციების დაწესებასა და საქართველოს ომში ჩართვასთან დაკავშირებით ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებზე კაბინეტებში დიდი ზეწოლები ხორციელდებოდა. როცა ერთი ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირი პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილთან** ასეთი ტიპის საუბარს აწარმოებდა, ირაკლიმ ჰკითხა — კი მაგრამ, როგორ წარმოგიდგენიათ, რამდენი დღე შევძლებთ ჩვენ ომს, რამდენი ხანი გავუძლებთო? პასუხი იყო — ალბათ, 3-4 დღეო! მერე, 3-4 დღის გულისათვის გვღუპავთო? — ჰკითხა ირაკლიმ, რაზეც პასუხად მიიღო — თქვენ 3 მილიონი ხართ და 3-4 დღეში ყველას ვერ ამოგხოცავენ, შეგიძლიათ, ტყეში გახვიდეთ და პარტიზანულად იბრძოლოთ, ჩვენ დაგეხმარებით, ყველაფერს მოგაწვდითო! აი, ეს იყო რეალობა, რის გამოც ჩვენი გუნდი გამკაცრდა, კარგი გაგებით გააგრესიულდა, რათა თავი დაგვეცვა. ჩვენ თავს არავის ვესხმით, უბრალოდ, გვინდა, ქვეყანა შევინარჩუნოთ და გვინდა, ამ ქვეყანაში გვეცხოვრებოდეს ჩვენს შვილებთან ერთად. არავის მიმართ არ გვაქვს აგრესია, მაგრამ აგრესიულად ვიცავთ საკუთარ თავს, რადგან ვხედავთ, რამდენად დიდი ძალა გვებრძვის გარედან.

საქართველოს ომში ჩართვის მცდელობები დღესაც დაჟინებით გრძელდება და საზოგადოება მზად უნდა იყოს ამ საფრთხისათვის. სანამ უკრაინაში ომი არ დასრულდება, გეოპოლიტიკურად ძალიან დაძაბული მდგომარეობა იქნება და, შესაბამისად, ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს. ჩვენ უნდა ვიყოთ ფხიზლად და ვიყოთ ძალიან მობილიზებული, თორემ მივიღებთ უბედურებას, რომელიც შეიძლება, ვეღარასოდეს ვეღარ გამოვასწოროთ.

**— რას პასუხობთ მოსაზრებას, რომ ნაციონალური მოძრაობის გასამართლების შესახებ თქვენი ინიციატივა ოპოზიციის აკრძალვას ნიშნავს?**

— ვინც ქვეყნისა და ხალხის მტერია, უნდა აიკრძალოს! მსოფლიოში დამნაშავე პოლიტიკური პარტიების აკრძალვის უამრავი პრეცედენტი არსებობს, მაგრამ ისეთი მყარი საფუძველი, როგორიც ჩვენ გვაქვს ნაციონალური მოძრაობის ასაკრძალად, შეიძლება, მხოლოდ ფაშისტურ გერმანიაში არსებობდა, როცა **ნიურნბერგის პროცესი** ჩატარდა.

ჩვენ გვინდა, ეს ჭირი საბოლოოდ მოვაშოროთ ქვეყანას, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, რაღაც გაუგებრობა მოხდეს, მაგალითად, ხორავას ქუჩაზე დატრიალებული ტრაგედიის მსგავსი, რაზეც საზოგადოებას წამოიკიდებენ, დაბრუნდებიან ხელისუფლებაში და მერე კარგად იყავით! **არ იფიქროთ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნებული ნაცები თუნდაც იმის მსგავსი იქნებიან, როგორიც გვახსოვს — კვადრატში და კუბში აიყვანეთ, რაც მაშინ ხდებოდა!**

როგორც კი ეს ძალა გაიწევა, უამრავი ოპონენტი გაუჩნდება „ქართულ ოცნებას" და მე ამ დღეს ველოდები, ეს იქნება ჩემთვის ყველაზე ბედნიერი დღე, როცა ხალხს მივცემთ არჩევანის საშუალებას კარგსა და უკეთესს შორის. ალბათ, „ქართული ოცნებაც" ამოუვიდა ხალხს ყელში. ძალიან რთულია, დემოკრატიულ სახელმწიფოში 12 წლის განმავლობაში ერთი და იგივე ხელისუფლება აირჩიო, ჩემი გვარის გაგონება უკვე მე თვითონ მომწყინდა, ხალხს აღარ უნდა ერთი და იგივე სახეები და ამაში შეიძლება, კარგად გავუგოთ.

**— ოპოზიციამ მხარი არ დაუჭირა და სალომე ზურაბიშვილმა ხელი არ მოაწერა კანონს ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ. თქვენი შეფასებით, რა არის მათი უარის მიზეზი და რა შედეგებამდე შეიძლება, მიიყვანოს ქვეყანა ლგბტ პროპაგანდამ?**

— ოპოზიციამ ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონს მხარი იმიტომ არ დაუჭირა, რომ თავისი პატრონების წინააღმდეგ ვერ წავიდოდა. ესენი დამოუკიდებლად არაფერს არ წყვეტენ, აბსოლუტურად მონური დამოკიდებულება აქვთ და მოსწონთ კიდეც, როცა იმას აკეთებენ, რასაც გარედან ეუბნებიან.

რაც შეეხება **ლგბტ საზოგადოებას,** მათთან პრეტენზია არ უნდა გვქონდეს, რადგან ასეთი ადამიანები ჯერ კიდევ სოკრატეს დროიდან მოყოლებული და კიდევ უფრო ადრინდელი პერიოდიდან არსებობენ, მაგრამ პროპაგანდაზე ბოდიში მომითხოვია. საკუთარ სახლში ვისაც რა უნდა, ის აკეთოს, არავინ შედის და არავინ არავის მისდევს, მაგრამ პროპაგანდის და აგიტაციის შედეგად რამდენჯერ გაიზარდა ასეთი ადამიანების რიცხვი მსოფლიოში, ამის სტატისტიკა არსებობს. რატომ მიდის ამხელა პროპაგანდა და რატომ იხარჯება უზარმაზარი თანხები ამ პროპაგანდაში? ყველაზე დიდი გეი-აღლუმი, მგონი, ბარსელონაში ტარდება და ნახეთ კადრები — საშინელებები ხდება, 2-3 წლის ბავშვები მხარზე ჰყავთ შემოსმული და ყველანაირი ტიპის ორგია მიდის პირდაპირ ქუჩაში... გვეუბნებიან — მერე რა მოხდა, გამოვიდნენ ქუჩაშიო, მაგრამ სწორედ ასეთი მცირედით იწყება და მერე მიდის იქამდე, რომ ქალს ქალი აღარ დავუძახოთ და კაცს — კაცი; ბაღის ბავშვებში მიდის უკვე სექსუალური აღზრდის გაკვეთილები... ერთ-ერთ დიდ და განვითარებულ ქვეყანაში მასწავლებელი ციხეში ჩასვეს იმის გულისთვის, რომ თქვა — მხოლოდ მამრობითი და მდედრობითი სქესი არსებობსო! ციხიდან გამოსვლის შემდეგ პრინციპულად გაიმეორა იგივე და ისევ ჩასვეს.

მიზანი მარტივია — **ადამიანმა ისიც კი აღარ უნდა იცოდეს, ქალია თუ კაცი. ეს დაპყრობისა და დამონების უახლესი იარაღია.** მოზარდს შეუძლია, რთული ოპერაცია გაიკეთოს და სქესი შეიცვალოს ისე, რომ მშობლებს არ შეუთანხმოს და, თუ მშობელი წინააღმდეგი წავა, ციხეში ჩასვამენ... ჩვენ ეს არ გვინდა! მადლობა ღმერთს, ჩვენ გვიცავს ჩვენი მართლმადიდებლობა, ჩვენი ეკლესია და ჩვენი ისტორიული მახსოვრობა.

**— თქვენ აცხადებთ, რომ ნებისმიერ დროს მზად უნდა ვიყოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენისათვის. როცა გორში სიტყვით გამოსვლისას ურთიერთპატიების მნიშვნელობაზე ისაუბრეთ, ამას ოპოზიციამ ღალატი და მტრობა უწოდა. როგორ ფიქრობთ, ამ კონტექსტიდან გამომდინარე, რა მიზანი აქვს რადიკალურ ოპოზიციას?**

— შერიგებისათვის ბოდიშის მოხდა რომ აუცილებელია, აქ მე ახალი არაფერი მომიგონია, მაგრამ ოპოზიციამ დაამახინჯა — **თურმე, ბოდიშს ჩვენს ოს და აფხაზ თანამოძმეებს კი არა, რუსეთს ვუხდით!** ისიც თქვეს — **ბოდიშს რომ იხდის, ჩვენს გმირებს რას ეუბნებაო...** ამ ყველაფერს ელემენტარული მიზეზის გამო აკეთებენ — **თავიანთი დანაშაულის დაფარვა უნდათ!** ის გმირები, რომლებმაც 2008 წელს გულწრფელად იომეს საქართველოს დასაცავად, ჩემ თვალში ოდნავადაც არ კნინდებიან, მათ ოჯახებს დღესაც გულწრფელად თანავუგრძნობ და თითოეულს დიდი სითბოთი და სიყვარულით მოვიხსენიებ. **ჩვენი გმირები გულწრფელად გამოვიდნენ სახელმწიფოს დასაცავად, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურმა და მისმა კრიმინალურმა ბანდამ ჩაიდინეს დანაშაული, როცა გარედან მიღებული დავალებით ქვეყანა ომში ჩართეს.**

რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, ეს საქართველოს არ გაუკეთებია, ეს გააკეთა ნაციონალური მოძრაობის კრიმინალურმა დაჯგუფებამ! განა იმის თქმა შეიძლება, რომ გირგვლიანი საქართველომ მოკლა? არა, **გირგვლიანი მოკლა კრიმინალურმა სისტემამ და 2008 წლის ომიც დაიწყო კრიმინალურმა სისტემამ, რისთვისაც უნდა გასამართლდეს!**



„რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, ეს საქართველოს არ გაუკეთებია, ეს გააკეთა ნაციონალური მოძრაობის კრიმინალურმა დაჯგუფებამ!"

## „ისეთი მყარი საფუძველი, როგორიც ჩვენ გვაქვს ნაციონალური მოძრაობის ასაკრძალად, შეიძლება, მხოლოდ ფაშისტურ გერმანიაში არსებობდა, როცა ნიურნბერგის პროცესი ჩატარდა!"



„ჩვენ ევროპაში წელგამართულები უნდა შევიდეთ, გავძლიერდეთ, სახელმწიფო გავხდეთ და აქეთ შეგვეხვეწებიან – შემოდითო, ამის პირობას და გარანტიას მე გაძლევთ!"

# P.S.

ჟურნალისტის კითხვაზე — **არჩევნების კვალდაკვალ, ექნება თუ არა რადიკალურ ოპოზიციას არეულობისა და რევოლუციის მოწყობის მცდელობა? — ბიძინა ივანიშვილმა ასე უპასუხა:**

— მცდელობა, რა თქმა უნდა ექნებათ, რადგან მათთვის მეტი არაფერი უსწავლებიათ, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენ უკვე გავიგეთ ამ გლობალური ძალების ხელწერა, გავმაგრდით და პრევენციებს ვაკეთებთ. რაც შეიძლებოდა, ყველაფერი უკვე გააკეთეს და ამაზე მეტს ვერაფერს იზამენ. მიუხედავად ამისა, ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს და სანამ უკრაინაში ომი არ დასრულდება, ყველა დღისა და ყველა კვირის უნდა გვეშინოდეს, რადგან პატარა შეცდომაც რომ დავუშვათ, შეიძლება, ქვეყანა დავკარგოთ!

*— დავემშვიდობოთ ილუზიებს და დღეიდან ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ,* ***— აცხადებს დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი და ბევრ ისეთ ფაქტზე საუბრობს, რაც შეიძლება საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უცნობი იყოს:***

# «საქართველოში რევოლუცია ვერ შედგება!»

## მაია ნიკოლეიშვილი:



**წარმოიდგინეთ, როგორი იდიოტები ვგონივართ, მათ შორის, სალომე ზურაბიშვილს, რომ სანდუს დემოკრატიის შუქურად წარმოგვიჩენენ!**

— თქვენთან ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში აღვნიშნე, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდება კვანძების გახსნა და ფაქტების გამომზეურება-მეთქი. დაახლოებით ამგვარი ეფექტი ჰქონდა ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს ტელეკომპანია „იმედის" ეთერში, რომელიც მავანმა **მამაკაცის რქემდე** დაიყვანა და ის საფრთხეები, რაც საქართველოსა და მსოფლიოს ემუქრება, საქილიკოდ აქცია. არადა, მას ძალიან რთული და საოცრად მასშტაბური გათვლები აქვს, სხვა შემთხვევაში ასეთი თავდაჯერებით არ ისაუბრებდა.

პირადად მე დღეს არც ის ზეწოლები მიკვირს, რაც, ბიძინა ივანიშვილის თქმით, საქართველოს მაღალჩინოსნების კაბინეტებში ხდებოდა. დასავლელი ე.წ. პარტნიორები გვიყურებენ როგორც ცხვრების ფარას და ზედმეტად კითხვაც არ უნდა დაუსვა. ამის გამო ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებს ჯერ კიდევ 2003 წელს დავუპირისპირდი, როცა ექსპერტიზის ცენტრის დირექტორი გახლდით.

**— საინტერესოა, რამ გამოიწვია მაშინ თქვენი აღშფოთება?**

— მათი წინადადებით, დიდი სახელმწიფო კრედიტი უნდა ამეღო. მოვითხოვე სათანადო დოკუმენტები, მაგრამ არც ლაბორატორია მანახეს და არც ნივთების ჩამონათვალი გამაცნეს. ლამის ჭკუიდან გადავედი და პირდაპირ ვუთხარი ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებს — თქვენ მე ჩადრიანი ქალი ხომ არ გგონივართ-მეთქი. ისიც მივახალე — თქვენ არაფრით განსხვავდებით ხრუშჩოვისაგან, რომელიც გვარწმუნებდა, იმ მთის იქით კომუნიზმიაო. სხვათაშორის, რამდენიმე თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამერიკელების „საჩუქარი" ჟანგიანი სკამები და მაგიდები იყო. კიდევ ერთი დიდი სიცრუის შესახებ რომ ამოვიღე ხმა, უკვე საგანგებოდ დამიბარეს საელჩოში და გამაფრთხილეს — **რიჩარდ მაილსის** სახელიც არ ახსენოო.

2005 წელს ბუში რომ ჩამოვიდა საქართველოში და უკანალი იქნია, მაშინვე ვთქვი — ეს წავა და ჩვენს ტერიტორიებს დავკარგავთ-მეთქი. ასეც აგიხდეთ ყველაფერი კარგი.

ბევრმა დაინახა მათი ვერაგი სახე, მაგრამ ბევრიც, ვინც ნაცმედიის მარწუხებშია მოქცეული, აზრზე არ არის, რა ხდება რეალურად მსოფლიოში. ერთი ბიჭი ამბობდა ტელევიზიით — 27 ოქტომბერს რომ გავიღვიძებ და ფარდას გადავწევ, ევროპაში ვიქნებიო. ჩამოდი, შვილო, დედამიწაზე, რა ევროპაში გაიღვიძებ, კავკასიაში ცხოვრობ და პატარა ჭანჭიკიც არა ხარ დიდი მოთამაშეების ხელში!

მე თუ მკითხავთ, ყველაზე დიდი პრობლემა, იცით, რა არის? ნაციონალებისგან დაზომბირებულმა ადამიანებმა ბიძინა ივანიშვილის იმხელა ინტერვიუდან მხოლოდ მამაკაცის რძე რომ გაიგეს და იმაზე ატეხეს ხარხარი.

**— ეს მართლაც ყურში მოსახვედრი იყო...**

— სიცილ-ხარხარი **„კაცის რქაზე"** იმან ატეხა, ვისაც ამის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია. არადა, ბრიტანეთის ჯანდაცვის უწყებამ ქალისა და მამაკაცად დაბადებული ტრანსგენდერის რძე, რომელსაც მამაკაცი ჰორმონული პრეპარატების ზემოქმედებით გამოყოფს სარძევე ჯირკვლებიდან, ერთმანეთთან მიახლოებულად ჩათვალა და ახალშობილის კვებისთვის ვარგისად მიიჩნია. ახალი რეკომენდაციით, მას **ადამიანის რძე** უნდა უწოდონ. საბედნიეროდ, ჯერ არ ყოფილა კაცად დაბადებული ტრანსგენდერის მიერ ბავშვის მუცლადღების, ორსულობისა და მშობიარობის პრეცედენტი.

ზოგადად, ცნობილია, რომ გარკვეული დაავადებებისა და სტრესის დროს მამაკაცებში სითხის გამოყოფა ხდება. მაგალითად, საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფ მამაკაცებში, რომლებიც დიდი სტრესის ქვეშ იყვნენ, პროლაქტინი იმატებდა და სითხე მოსდიოდათ. ბევრმა, ვინც დღეს ამაზე ღლიცინებს, ალბათ, ისიც არ იცის, რომ დანიაში ქალთა მუზეუმი **გენდერულ მუზეუმად** გადაკეთდა და ამის ნიშნად შესასვლელში მამაკაცის ფიგურა დაიდგა ძუძუმწოვარა ჩვილით ხელში. რომ ჰკითხო, ბავშვის არჩევანს სცემენ პატივს, არადა, რეალურად უფლებას ართმევენ, ჰყავდეს დედა. **იქნებ არ სურს ბავშვს, ისეთ პირობებში გაიზარდოს, როგორსაც ტრანსგენდერები სთავაზობენ?! აი, ეს არის უდიდესი ცინიზმი და არა მამაკაცის რძეზე უკბილო ხუმრობები!** ბოროტ მოღლიცინეთა კაცებს ისემც უქნიათ, დღეში სამჯერ უმშობიარიათ! მე სრულად ვიზიარებ ბიძინა ივანიშვილის აზრს. მან ხმამაღლა თქვა ის, რაზეც სხვები ვერ ან არ ლაპარაკობენ! კიდევ რამდენი რამ არის, რაც საზოგადოებისთვის უცნობია და დაუჯერებელიც! გსმენიათ **ციფსოს** შესახებ?

**— არა. რა უნდა ვიცოდეთ?**

— **ციფსო,** ანუ ინფორმაციული და ფსიქოლოგიური ოპერაციების ცენტრი — არის უკრაინის სპეცოპერაციების ძალების ქვედანაყოფი, ოღონდ, თუ ჩვეულებრივი ჯარები იბრძვიან იარაღით, ციფსო სპეციალიზებულია ინფორმაციულ, ჰიბრიდულ ომსა და მტერზე ფსიქოლოგიურ ზეწოლაში. ის ამერიკული წარმონაქმნია და უკრაინიდან მართავს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინფორმაციულ ომს. ზოგიერთი ქართული ტელევიზიის დღის წესრიგსაც კი განსაზღვრავს.

ეს განმარტება იმიტომ გავაკეთე, რომ **ციფსოდან** გადის ე.წ. მესიჯ-ბოქსები. მაგალითად, ინფორმაციები რომ ვრცელდებოდა, აფეთქებები იქნება სკოლებშიო, ჩემმა ახლობელმა იგივე ინფორმაცია ნახა ყაზახეთში და რუსეთის სხვადასხვა ქალაქშიც... ზუსტად ისეთივე პანიკა იყო მოსახლეობაში, როგორც ჩვენთან. ასევე ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს **ზელენსკიმ** თქვა, **ბოევიკები შემოვლენ სააკაშვილის გასათავისუფლებლადო.** ამ დროს იგივე ტიპის ინფორმაცია გავრცელდა მოლდოვაშიც — **ბოევიკები მაია სანდუს დასახმარებლად მიემართებიანო.** ზელენსკი ბეტმენად იქცა, ერთი უკრაინას ვერ უშველა, თორემ საქართველოსა და მოლდოვას გადასარჩენად მზად არის, გამოფრინდეს ამერიკაში ნამათხოვრები ფულით. მათთვის რომ გეკითხათ, სამი თვის წინ უკრაინა იგებდა ომს. **სწორედ ამ ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობს ე.წ. მოხითხითე ფეისბუქ-საზოგადოება და ნაცმედიის მაყურებელი. რეალობას აბსოლუტურად მოწყვეტილნი არიან!**

რეალობა კი არის ის, რომ ევროელჩები პოლიტიკურ შავ რეიდერებად იქცნენ! რასაც ისინი სჩადიან, ეს არის ხელისუფლების ახევის, წაგლეჯის მცდელობა. მაფიოზებიც კი არ იქცეოდნენ ასე ურცხვად. ქურდული სამყარო ტყუილად, უმიზეზოდ არავის არაფერსართმევდა.

**შავო ევრობიუროკრატებო, შავი რეიდერების მეთოდებით რომ მოქმედებთ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაინც არაფერი გამოგივათ. სწორედ საქართველო გაგეჩხირებათ ყელში!**



სალომე ზურაბიშვილი და მაია სანდუ

**— მათ აქვთ საამისო მიზეზი — სურთ, ეს ქვეყანა რუსეთს გამოგლიჯონ პირიდან!**

— ეს საკენკი თავიანთ ქათმებს დაუყარონ! მოუსმინეთ, რას ამბობს **სი ძინპინი** ბრიქსის სამიტზე — **პარტნიორობა შერწყმის გარეშე!** ეს არის დღევანდელი ახალი სამყაროს ფორმულა, რაც ყველასთვის მისაღებია, განსაკუთრებით, ჩვენთვის. ე.წ. ევროელჩები, დასავლელი „პარტნიორები" გვეუბნებიან, უფრო სწორად გვაპროგრამებენ, გინდა თუ არა, რუსეთისკენ მიექანებითო. არა, ბატონებო, ცდებით, ჩვენ გვინდა ურთიერთობა ყველასთან, ოღონდ შერწყმის გარეშე!

სამწუხაროდ, მსგავსი ჩარევები და ზეწოლები დასავლეთის მხრიდან მხოლოდ ჩვენზე არ ხდება. ამასწინათ ერთ-ერთ ინტერვიუში სერბეთის ვიცეპრემიერმაც აღნიშნა — უმკაცრესი ამერიკული ზეწოლებისა და სანქციების ქვეშ ვართო. ზუსტად იგივე სანქციები და ზეწოლებია აზერბაიჯანსა და უნგრეთშიც. ევროკავშირმა და ამერიკამ საერთაშორისო სამართალი ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს კოსოვოს პრეცედენტით გაანადგურეს. ისინი არ გვიყურებენ, როგორც სრულფასოვან ქვეყნებს.

**ყველა ერთ დღეს რომ გავწყდეთ, მათ ეს არ ანაღვლებთ ისევე, როგორც არ აწუხებთ ღაზას სექტორში ბავშვებისა და ქალების უდიდესი მსხვერპლი, ერაყში დაღუპული უამრავი ადამიანი,**

## კვირგვინოსნები

**კახა კახიშვილი**
*პარლამენტარი*



კარგი იქნებოდა, **სალომე ზურაბიშვილს** სიტყვები — **„ივანიშვილს ნუ უსმენთ",** არჩევნებზეც ეთქვა, როდესაც **ბიძინა ივანიშვილის სიტყვითა და მხარდაჭერით გახდა პრეზიდენტი.** „პირველი არხი"

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



დრო მოვიდა, **ქვეყნის მოღალატეები** გასამართლდნენ. „საერთო გაზეთი"

**დიმიტრი სამხარაძე**
*უმრავლესობის დეპუტატი*



ჩვენ — ქართველი საზოგადოება **სამშობლოს დესტაბილიზაციას არ დავუშვებთ** და პოლიციასთან ერთად პროვოკაციების ნებისმიერ მცდელობას აღვკვეთავთ. „საერთო გაზეთი"

**სანდრო თევზაძე**
*ექსპერტი*



„ქართულ ოცნებაში" **პიროვნებები არ არსებობენ.** უკაცრავად და, ამ პარტიაში, **ძირითადად, არიან კლონები.** „კვირის პალიტრა"

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



აგენტურას — **ოთხ პარტიას, რომელიც რადიკალურ ოპოზიციას წარმოადგენს,** სასამართლოს წინაშე დადგომა და გასამართლება მოუწევს. „ინტერპრესნიუსი"

**ნიკუშა შენგელაია**
*მხატვარი*



ეს **სამარცხვინო რევოლუციები** ევროპის ისტორიას უნდა დარჩეს. **სამშობლო ვიზებში არ იცვლება.** „საერთო გაზეთი"

# «სიცილ-ხარხარი „კაცის რძეზე“ იმან ატეხა, ვისაც ამის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია!»

**ავღანეთში განადგურებული თაობები.**

მათ არა აქვთ იმის განცდა, რომ შენც ადამიანი ხარ და გტკივა. საერთოდ, ვინ გვესაუბრება დემოკრატიაზე, როცა მათ მიერ გმირად წარმოჩინებულ **მაია სანდუს** 2022 წლის მარტიდან გამოცხადებული აქვს საგანგებო მდგომარეობა, ანუ ქვეყანას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში უწყვეტად მართავს, არჩევნებიც ასეთ პირობებში ჩაატარა. საგანგებო მდგომარეობის დროს რომ დემოკრატია არ არსებობს, ეს ხომ ყველასთვის ნათელია?! წარმოიდგინეთ, როგორი იდიოტები ვგონივართ, მათ შორის, **სალომე ზურაბიშვილს,** რომ **სანდუს** დემოკრატიის შუქურად წარმოგვიჩენენ. გესმით, რამხელა სიცრუის გორგალია ყველგან და ყველაფერში?! ქალმა პირველ ტურშიც ვერ გაიმარჯვა მაშინ, როცა საგანგებო მდგომარეობა აქვს გამოცხადებული და ყველა რეალური კონკურენტი მოხსნა. მოლდოვა დღემდე **დსთ**-ის წევრია, ხოლო ორივე პრეზიდენტობის კანდიდატი რუმინეთის მოქალაქე გახლავთ.

ისე თუ გინდათ, ვინმე დათარსო, **სალომე ზურაბიშვილს** უნდა აძახებინო მისი სახელი. მაია, მაიაო, ისე შეუძახა, სანდუს წინ მეორე ტური აქვს. პირადად მე, ცხოვრებაში არ მსმენია ჩემი სახელის, სადაც 4 ასო ბგერიდან სამი ხმოვანია, ასეთი უხეში გამოთქმა. აქლემს რომ ასწავლო **„მაია“,** ის ვერ დაიზმუვლებს ისე უხეშად, როგორც სალომე ზურაბიშვილი გაჰყვიროდა რადიკალების მიტინგზე.

**— კვლავ არის რევოლუციის საფრთხე?**

— იმ ძალებს, რომლებიც ცდილობენ საქართველოში რევოლუციის გზით ხელისუფლების შეცვლას, ერთი რამ ავიწყდებათ, **საქართველოში ფერადი რევოლუცია რომ მოხდეს, ამისთვის აუცილებელია მეტაფორული „ივანოვი“!**

**— ეს როგორ გავიგოთ?**

— დააკვირდით, არსად არცერთი ფერადი რევოლუცია არ მომხდარა რუსეთის ან პირდაპირი თანხმობის ან მისი მონაწილეობის გარეშე. **გორბაჩოვისა და ელცინის დანატოვარი ლიბერალური რუსი დიპლომატები ხავერდოვანი რევოლუციების დროს ან ჩუმად იყვნენ, ან თანხმობას აძლევდნენ.** დღევანდელი რუსეთი ამ ომში ლიბერალების მხარეს არ დადგება. აბსოლუტურად სხვა რელსებზეა რუსული პოლიტიკა, უფრო პრაგმატულად უდგებიან საკითხებს. შილაფლავს თუ ძირა არ უქენი, შილაფლავი არ არის. ასევეა — **ფერად რევოლუციას თუ რუსეთის თანხმობა არ ექნება, ის რევოლუცია ვერ შედგება!**

*ესაუბრა*

***ნატო ფოცხიშვილი***

***რედაქციისაგან:***

***რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, რძის გამომუშავება მამაკაცის ორგანიზმსაც შეუძლია. როგორც ცნობილია, ძუძუთი კვებისათვის ქალის ორგანიზმში პასუხისმგებელია***

***ჰორმონი პროლაქტინი, რომელიც ჭარბად გამოიყოფა ორსულობის დროს.***

აღნიშნული ჰორმონის არსებობა არც მამაკაცებისათვის არის უცხო, თუმცა, მისი დონე ვერ აღწევს იმ ზღვარს, რომ რძე გამომუშავდეს. ამერიკელი ფიზიოლოგის **ჯარედ დაიმონდის** გამოკვლევის მიხედვით, რომელიც 1995 წელს ჟურნალ „დისქავერში“ გამოქვეყნდა, **პროლაქტინის** რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ჰორმონული დისბალანსის ან შიმშილობის გზით, აგრეთვე ძუძუს კერტების ხანგრძლივი მექანიკური სტიმულირებით. **ასე რომ, მამაკაცის ორგანიზმსაც აქვს ლაქტაციის უნარი და ძუძუთი კვების არაერთი შემთხვევაც ფიქსირდება.**

1896 წელს თავის წიგნში **„მედიცინის ანომალიები და კურიოზები“** დოქტორი **ჯორჯ გულდი** და დოქტორი **უოლტერ პაილი** ასახელებენ რამდენიმე მაგალითს, როდესაც მამაკაცებმა საკუთარი რძით ბავშვები გამოკვებეს. მოყვანილია მეზღვაურის ისტორია, რომელიც მკერდში იკრავდა პირმშოს, რათა მას ტირილი შეეწყვიტა, ხოლო საბოლოო ჯამში რძის გამომუშავება დაეწყო. აღწერილია სხვა შემთხვევებიც, როდესაც ცოლის გარდაცვალების შემდეგ მამაკაცს ბავშვის ძუძუთი კვება საკუთარ თავზე აუღია.



## ბიძინა ივანიშვილი:

**ნორმალურია** ეს აგიტაცია? **ნორმალურია,** რომ ამბობენ, ქალს ქალი აღარ დაუძახოთ და კაცს — კაცი? **ნორმალურია,** რომ 5 წლამდე ბავშვებში მიდის უკვე სექსუალური აღზრდის გაკვეთილები? **ნორმალურია,** რომ ერთ-ერთი განვითარებული ქვეყნის მასწავლებელი ციხეში მეორედ შეუშვეს იმის გულისათვის, რომ პრინციპულად თქვა, რომ მხოლოდ 2 სქესი არსებობს — მამრი და მდედრი? **ნორმალურია,** რომ მამაკაცის ტუალეტებში ჰიგიენურ სალფეთქებს დებენ? **ნორმალურია,** ის, რომ მამაკაცის რძე იგივეა, რაც დედაკაცის? **ქალია თუ კაცი, გოგოა თუ ბიჭი, არ უნდა თქვა. ადამიანმა ისიც კი არ უნდა იცოდეს — ქალია თუ კაცი!!! ეს არის უახლესი იარაღი დაპყრობის!**


Row as hospitals say hormone-filled milk from trans women who were born male is just as good for a baby as the real thing

By ANNA MIKHAILOVA
PUBLISHED: 23:45 BST, 17 February 2024 | UPDATED: 14:05 BST, 19 February 2024

Share 644 shares 1.7k View comments

Drug-induced milk from transgender women who were born male is as good for babies as a mother's breast milk, an NHS Trust has said.

A leaked letter from the Medical Director of University Hospitals Sussex NHS Foundation Trust describes both as 'human milk' and says that they are the 'ideal

თეორიულად, ყველა მამაკაცს შეუძლია, გამოიმუშაოს რძე, რადგან აქვს ლაქტაციისათვის აუცილებელი ორი პირობა — **სარძევე ჯირკვლები** და **ჰიპოფიზი.** ასეა აგებული ყველა ძუძუმწოვრის ორგანიზმი, მათი სქესის მიუხედავად. მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანმა ძუძუთი კვება შეძლოს, საჭიროა სარძევე ჯირკვლების აქტივაცია, რაც ბუნებრივად ხდება ქალებში ორსულობის დროს. **პროლაქტინის გამომუშავების მასტიმულირებელი შეიძლება გახდეს არაორსული ქალების ტვინში მიმდინარე პროცესებიც, მაგალითად, ბავშვის შვილად აყვანის შემდეგ.**

ცენტრალურ აფრიკაში, **აკას** სახელით ცნობილი **პიგმების** 20-ათასიან პოპულაციაში ხშირია შემთხვევები, როცა დედა ნადირობს, ხოლო მამა პირმშოს აწოვებს ძუძუს. მკვლევარი და მოგზაური **დევიდ ლივინგსტონიც** (1813-1873) აღწერს შოტლანდიაში დაფიქსირებულ ფაქტს, როდესაც მეძუძური დედა დაიღუპა და მის ქმარს, რომელიც ბავშვს გულში იხუტებდა, რძე ჩაუდგა.

დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც მამაკაცს რძის გამომუშავება დაეწყო იმ მიზეზით, რომ ტვინის სიმსივნის სამკურნალო პრეპარატებს იღებდა, რამაც მის ორგანიზმში **პროლაქტინის** დონე ასწია.

ბრიტანეთის ჯანმრთელობის სამსახურის ცნობით, იმ **ტრანსგენდერთა რძე,** რომლებიც მამაკაცებად დაიბადნენ, არ ჩამოუვარდება ქალების რძეს და შემოთავაზებულ იქნა ერთგვარი ტერმინი **„ადამიანის რძე“,** ანუ პროდუქტი, რომელიც წარმოიქმნება ბუნებრივი გზით ქალებში და ჰორმონალური პრეპარატების ზემოქმედების შედეგად — **მამაკაცებში.** აღნიშნულთან დაკავშირებით საზოგადოების ზნეკეთილ ნაწილში გაჩნდა სერიოზული პროტესტი, რომ არ შეიძლება ახალშობილთა გამოსაკვებად ასეთ ექსპერიმენტებს მივმართოთ, რაკიღა ვიღაცამ თანაცხოვრების არატრადიციული წესი აირჩია და სურს ტერმინების — **„დედისა“** და **„მამის“** შეცვლა ტერმინებით — **„მშობელი №1“** და **„მშობელი №2“.**

•

ცხადია, ზემოთ მოყვანილი ისტორიები და ფიზიოლოგიური ანომალიები მკითხველის მიერ არაერთგვაროვნად, უფრო მეტიც, გარკვეული ზიზღით იქნება აღქმული, მითუმეტეს, **როცა ლიბერალური მსოფლიო წესრიგის მოსურნეთ მამაკაცსა და ქალს შორის არსებული სქესობრივი ზღვარის წაშლა სწადიათ.** განსაკუთრებით მიუღებელი იქნება მავანთა სწრაფვა, ჰორმონალური კოქტეილების საშუალებით მიაღწიონ რძის ჩადგომას მამაკაცების მკერდში, რაც ერთნაირსქესიანთა ქორწინების შემთხვევაში, აყვანილ ბავშვზე მშობლიური ზრუნვის გამოხატულებად შეიძლება შემოგვასაღონ. **საბედნიეროდ, ქართულმა სახელმწიფომ საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა ოჯახისა და ქორწინების არსი და ის ზნეობრივი კრიტერიუმები, რომლებიც ჯანსაღი საზოგადოების შენებასა და ჯანსაღი შთამომავლობის აღზრდას ემსახურება.**

## კვირგვინოსნები

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



ყველამ იცის, რომ კახეთში ნაციონალები ვერ ჩადიან. **მელია** და მისი მხარდამჭერები იყვნენ თელავში და **სასტუმროდან შიშით გარეთ ვერ გამოვიდნენ;** ზვარამია ხომ საერთოდ **კახეთში ფეხის ჩადგმას ვერ ბედავს.**

„რეზონანსი“

**ტიერი მარიანი**
*ფრანგი ევროპარლამენტარი*



მახსოვს ზუსტად ათი წლის წინანდელი **მაიდანი,** სადაც ევროპარლამენტარები იდგნენ მოედანზე და ამბობდნენ, **თუ იანუკოვიჩის მთავრობას გადააყენებთ, ხვალ ევროპაში იქნებითო.** ათი წლის შემდეგ არიან თუ არა ევროპაში? **შეხედეთ უკრაინაში არსებულ მდგომარეობას.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დათო მაღრაძე**
*პოეტი*



**ევრობიუროკრატიის** მნიშვნელოვან ნაწილს აქვს აშკარა სურვილი, წადილი და ცდაც, რომ **აქ ხელისუფლება შეიცვალოს, თუ არჩევნებით არა, სხვა გზით მაინც,** მაგრამ ეს არის სურვილი, რომელიც საქართველოს მოსახლეობისას არ ემთხვევა.

„კვირის პალიტრა“

**მირიან მირიანაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**ივანიშვილისთვის** დასავლეთთან **კულუარული მოლაპარაკების** დრო დადგა, სხვა შემთხვევაში, ჩვენ აქ **საკმაოდ მშფოთვარე პერიპეტიები გველის.** სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდეგ **სურს, ოპოზიციის ლიდერი გახდეს** და ერთი წლისთავზე არჩევნებში სწორედ ის იყოს პროცესების სათავეში. მე როგორც ვიცი, **ეს იდეა მაკრონთან, ზოგადად, დასავლეთთან უკვე შეთანხმებულია.**

„კვირის პალიტრა“



# ირაკლი გოგავა: საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება არ ემუქრება!




*2024 წლის 20 ოქტომბერს ევროკავშირის წევრობის კანდიდატ მოლდოვაში ერთდროულად ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი „ევროკავშირთან შეერთების საკონსტიტუციო შესწორების შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ლიდერების მიერ დემოკრატიის შუქურად შერაცხილ მოლდოვაში კრიტიკული მედია და ოპოზიციური სპექტრი თითქმის ბოლომდე ჩახშობილია, მოქმედმა პრეზიდენტმა მაია სანდუმ არჩევნების პირველივე ტურში მოგება მაინც ვერ შეძლო და მეორე ტური 2024 წლის 3 ნოემბერს გაიმართება. რაც შეეხება რეფერენდუმს, ევროკავშირში ინტეგრაციის მომხრეთა რაოდენობამ მოწინააღმდეგეთა რიცხვს, სულ რაღაც, 0,78 პროცენტით გადააჭარბა. პოლიტოლოგ* ***ირაკლი გოგავასთან*** *საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ:*

— პროექტი — **სახელად დემოკრატია** — დასავლეთმა დიდი ხანია, დახურა და დღეს მისი მთავარი ამოცანაა, მაქსიმალურად შეუშალოს ხელი რუსეთის გავლენების ზრდას, რაც, ხშირ შემთხვევაში, დემოკრატიული ფასეულობების უგულებელყოფის ხარჯზე ხდება. ამის კლასიკური მაგალითია მოლდოვაც, სადაც არჩევნების წინ ოპოზიციური მედიასაშუალებები დახურეს და მთავარი ოპოზიციური პარტია აკრძალეს. რაც შეეხება რეფერენდუმს მოლდოვის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, მის შედეგზე გადამწყვეტი გავლენა არა მოლდოვაში მცხოვრები მოქალაქეების, არამედ ემიგრანტების ხმებმა იქონია.

**— თუმცა, რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მიზერული სხვაობა, სულ რაღაც, 0,78 პროცენტი დაფიქსირდა!**

— არადა, ევროკავშირმა მოლდოვას ძალიან დიდი დახმარების პაკეტი გამოუყო — ნახევარი მილიარდი ევრო მისცა ბიზნესის განვითარებისთვის, რამდენიმე ასეული მილიონი — ენერგეტიკის სექტორისათვის, 60 მილიონი — ჯარისთვის და ა.შ. ასეთი ქმედითი დახმარების პაკეტი ევროკავშირს საქართველოსათვის არასოდეს გაუმეტებია და ჩვენთან, ძირითადად, თავის მეხუთე კოლონას, ანუ ენჯეოშნიკებს აფინანსებს. მიუხედავად ამისა, მოლდოვის მოსახლეობის, ფაქტობრივად, ნახევარმა ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგ მისცა ხმა. ვფიქრობ, ეს იმიტომ მოხდა, რომ მოლდოვა ევროკავშირთან გეოგრაფიულად უფრო ახლოს არის, ვიდრე საქართველო, მილიონზე მეტი მოლდოველი ევროკავშირის ქვეყნებშია ემიგრირებული და მშვენივრად ხედავს, რომ მას დადებითთან ერთად ბევრი უარყოფითი მხარე გააჩნია.

**— მიუხედავად ამისა, ევროინტეგრაციის გზაზე მოლდოვას უფრო წინ აყენებენ, ვიდრე საქართველოს... მეტიც, ევროპელი ლიდერები მოლდოვას დემოკრატიის ოაზისად აცხადებენ, საქართველოსთან მიმართებაში კი „დემოკრატიულ უკუსვლაზე“ საუბრობენ. ამაზე უნდა გაგვეცინოს თუ სიმწრის ცრემლები წაგვსკდეს?**

— ვფიქრობ, ქართველებმა ამაზე საერთოდ არ უნდა ვინერვიულოთ, რადგან **საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება სრული ფიქცია და ილუზიაა!** სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება არ ემუქრება!

**— რატომ ფიქრობთ ასე?**

— ისტორიული კანონზომიერებაა, რომ ევროპის აღმოსავლეთი ნაწილის დასუსტების ხარჯზე მისი დასავლეთი ნაწილი ძლიერდება და პირიქით. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დაშლით აღმოსავლეთი ევროპა დასუსტდა და დასავლეთი ევროპა გაძლიერდა, დღეს კი, უკრაინის ომის ფონზე, ევროპის აღმოსავლეთი ნაწილი ძლიერდება, ხოლო დასავლეთი ნაწილი სუსტდება. ევროკავშირის ეკონომიკა უკვე რეცესიაშია შესული, რადგან იაფ რუსულ ენერგორესურსებზე — გაზსა და ნავთობზე უარი თქვეს, რის გამოც სამრეწველო სექტორისათვის ელექტროენერგია გაძვირდა და წარმოების ხარჯები საგრძნობლად გაიზარდა. გერმანიას, რომელიც ევროკავშირის ეკონომიკის ლოკომოტივს წარმოადგენს, მსხვილი ინდუსტრიული საწარმოები ტოვებენ და ჩინეთში, ჩრდილოეთ ამერიკასა და თურქეთში გადადიან.

აქედან გამომდინარე, საქართველოში სერიოზული განხილვის საგნად უნდა იქცეს, **რამდენად გვიღირს და გვჭირდება იმ სივრცეში შესვლა, რომელიც სერიოზულ ეკონომიკურ დაღმასვლას განიცდის და შესაძლოა, მალე მძიმე ეკონომიკურ კრიზისშიც აღმოჩნდეს?**

აღარაფერს ვამბობ ევროკავშირის იდეოლოგიურ მხარეზე, რომელიც ქართველებისათვის პრინციპულად მიუღებელია!

**— დააკონკრეტეთ, რა გაქვთ მხედველობაში?**

— ევროკავშირი საქართველოს პირობას უყენებს — თუ გინდა, ჩემი წევრი გახდე, **ლგბტ პროპაგანდა** უნდა აწარმოო და შენი მოსახლეობის 15-20 პროცენტი ჰომოსექსუალი უნდა იყოს! ისედაც მძიმე დემოგრაფიული პრობლემის წინაშე ვდგავართ და კიდევ 600 000 ჰომოსექსუალი გვინდა საქართველოში? თანაც, ჰომოსექსუალიზმი, ნარკომანიის მსგავსად, სოციალური მოვლენაა და თუ აგიტაცია-პროპაგანდის საშუალება მიეცი, გეომეტრიული პროგრესიით ვრცელდება.

ცალკე საკითხია რელიგიასთან, ეკლესიასთან, პატრიოტიზმთან და ეროვნულ სახელმწიფოსთან ბრძოლა, რაც ნეოლიბერალური იდეოლოგიის მთავარი მიმართულება გახლავთ და ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს.

მოკლედ, **იდეოლოგია, რომელსაც ევროკავშირი გვახვევს თავს, ჩვენთვის დაღუპვის გზაა!**

**— თუმცა, საქართველოს მოსახლეობის ნაწილისათვის ევროკავშირის წევრობა ეკონომიკურ კეთილდღეობასთან ასოცირდება!**

— რეალურად, ევროკავშირიდან საქართველოსკენ არავითარი ეკონომიკური კეთილდღეობა არ მოდის, პირიქით, ევროკავშირს საქართველოდან გააქვს რესურსები და ისე გვეპყრობა, როგორც კოლონიას. იმასაც ვხედავთ, რომ ევროპული კეთილდღეობის სატყუარათი უკრაინა უზარმაზარ ომში ჩააბეს ისევე, როგორც 2008 წელს — საქართველო, თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ჩვენი მხედართმთავარი მხდალი აღმოჩნდა და მალევე ააფრიალა თეთრი ბაირაღი. არადა, გლობალურ ძალებს საქართველოში გრძელვადიანი კონფლიქტი ჰქონდათ დაგეგმილი — ტყეებში უნდა გავსულიყავით და რუსეთის წინააღმდეგ პარტიზანული ომი გვეწარმოებინა. სწორედ ამისთვის იყო გამიზნული 100 000 რეზერვისტის მომზადების პროგრამა, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება ინტენსიურად აპიარებდა.

## «დიდი ევრაზიული სავაჭრო გზა

### ქვირგვინოსნები

**ირმა ჭკადუა**
*ადვოკატი*



**გამჭვირვალობის კანონი** ამოქმედდა და ქვეყანა არ ჩამოქცეულა. ხომ ვხედავთ, რომ **არცერთი ტელევიზია არ დაიხურა** და ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც იყო, იგივე ფორმით აგრძელებს მოღვაწეობას.

„TV იმედი“

**ზაზა ნიშნიანიძე**
*ბიზნესმენი*



ბოლშევიკმა პოეტმა დაწერა ასეთი ლექსი — **„დავახრჩობ დედას, დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ მეტყვის ამას“** — დღეს სიტყვა „რევოლუცია“ შეიძლება სიტყვა **„ევროკავშირით“ ჩავანაცვლოთ.** პოლიტიკური პროცესების ასეთი ფეტიშიზაცია დამღუპველია.

„TV იმედი“

**ზაალ მიქელაძე**
*პარლამენტარი*



ომით გამდიდრებული **ქეზერაშვილის** ფონზე, არსებობენ სხვა ადამიანებიც, რომელთაც **ამ ქვეყანაში კვლავ ომის გაჩაღება და საკუთარი მოგების ნახვა სურთ.**

„რუსთავი-2“

**ვახტანგ ჩოჩია**
*„ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის სპიკერი*



2017 წლიდან მოყოლებული **ქართველი ხალხის 90 პროცენტის ნება არის ასახული კონსტიტუციაში,** სადაც წერია, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყანა.

„რუსთავი-2“

# „ჩინეთის გლობალური მეგაპროექტი ჩვენთვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას აჩენს, რადგან „ერთი სარტყელი – ერთი გზის“ ფარგლებში აფხაზეთის გზაც უნდა გაიხსნას და როკის გვირაბიც!“



პეკინი, 2023: საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ჩინეთის პრეზიდენტი სი ძინპინი

**— როგორც ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუდან შევიტყვეთ, საქართველოს ტყეში გასვლასა და რუსეთთან პარტიზანულ ბრძოლას ორი წლის წინათ, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგაც სთავაზობდნენ!**

— არსებობს ცნობილი ინგლისელი გეოპოლიტიკოსის **ჰელფორდ მაკინდერის დოქტრინა,** რომელიც გულისხმობს, რომ რუსეთს გარშემო უნდა შემოარტყან ე.წ. რიმლენდი, ანუ მოსაზღვრე ქვეყნებისაგან შემდგარი ცეცხლოვანი სარტყელი, სადაც მუდმივი დესტაბილიზაცია იქნება. სწორედ ამ პროექტში მოვყევით ჩვენც, უკრაინაც, ცენტრალური აზიაც, აზერბაიჯანიც... ანგლოსაქსური გეგმის მიხედვით, მთელ ამ პერიმეტრზე მუდმივი დაძაბულობა უნდა სუფევდეს და დროგამოშვებით ომიც იყოს, რათა რუსეთი მაქსიმალურად დასუსტდეს.

საქართველოს მთავარი ამოცანა უნდა იყოს, რომ აღარავის გამოაყენებინოს თავი ისე, როგორც 2008 წელს. ის კი არა, მგონია, რომ 1990-იანი წლების საომარი კონფლიქტებიც ანგლოსაქსების ინტერესებში შედიოდა. თუ ასე არ იყო, ჩვენმა ე.წ. სტრატეგიულმა მეგობრებმა რატომ არაფერი იღონეს აფხაზეთის ომის შესაჩერებლად? როგორც ჩანს, აწყობდათ ეს ომი, რადგან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სახით ისეთი პრობლემა გაჩნდა, რომლის მოგვარების გარეშეც რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზება წარმოუდგენელია, დაპირისპირება კი, პირიქით, ადვილია.

**— ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ჯეიკ სალივანმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა:** *„ვფიქრობ, საქართველოში არავის სურს საკუთარი ქვეყნის გირაოთი გადაცემა სხვა ქვეყნისთვის, მათ შორის, ჩინეთისთვის“.* **როგორ ფიქრობთ, ამერიკელი მაღალჩინოსნის ეს განცხადება საქართველოს მთავრობის მიერ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დაწყების პრეზენტაციას დროში შემთხვევით დაემთხვა?**




— ამერიკელები საქართველოში და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩინეთის გააქტიურების გამო ძალიან ნერვიულობენ და მართლაც აქვთ სანერვიულო, რადგან ეს თვით უკრაინის ომზე დიდი და გლობალური საკითხია.

საქმე ეხება ძველი აბრეშუმის გზის აღორძინების მეგაპროექტს, რომელიც ჩინეთმა წამოიწყო და რომელსაც ჰქვია **„ერთი სარტყელი — ერთი გზა“.** ამ ინიციატივას, რომელსაც ევრაზიის კონტინენტის ძირითადი ქვეყნებიც მხარს უჭერენ, უზარმაზარი გეოპოლიტიკური ცვლილებები და ანგლოსაქსური სამყაროს სერიოზული დასუსტება მოჰყვება.

მე-17 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე მსოფლიო გადაზიდვების 80 პროცენტი ხორციელდება საოკეანო და საზღვაო მარშრუტებით, რომლებსაც ანგლოსაქსური ქვეყნები აკონტროლებენ, რის გამოც ჩინეთისა და ევრაზიის სხვა დიდი ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სავაჭრო მარშრუტები ზღვიდან ხმელეთზე გადაიტანონ.

ისტორიული პარალელი რომ გავავლოთ, საქართველოს დასუსტება ზუსტად იმ პერიოდიდან დაიწყო, როცა სავაჭრო მარშრუტები ხმელეთიდან ზღვაზე გადავიდა და ჩვენს ტერიტორიაზე გამავალი აბრეშუმის გზა ნელ-ნელა დაკნინდა. შესაბამისად, ქართველ მეფეებს შემოსავალი აღარ ჰქონდათ, ჯარს ველარ ინახავდნენ, საკმარისი რაოდენობის იარაღს ვეღარ აწარმოებდნენ და სხვადასხვა იმპერიის ნადავლი ვხდებოდით.

**დღეს ჩინეთის მიერ წამოწყებული პროცესით დიდი ევრაზიული სავაჭრო გზა საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნდება და ანაკლიის პორტიც ამ პროცესის ნაწილია. შეიძლება, ეს საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რენესანსის დასაწყისი იყოს!**

**— გამოდის, რომ საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობის დაძაბვის მთავარი მიზეზი ჩინეთს უკავშირდება?**

— ამერიკისათვის მთავარი გამაღიზიანებელი ის არის, რომ საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ დანთებულ კოცონში ფიჩხის როლის შესრულებაზე უარი თქვა! თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ჩინეთი ანგლოსაქსურ სამყაროს მთავარ მკვებავ არტერიას — საოკეანო ვაჭრობას უკეტავს და საქართველო ამ გლობალური პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი ხდება.

ახალ აბრეშუმის გზას სამი განშტოება ექნება, რომელთაგან ერთი რუსეთზე გავა, მეორე — ირანზე და მესამე — საქართველოსა და აზერბაიჯანზე. ამ განშტოებებს შორის იქნება დამაკავშირებელი გზები, რაც ჩვენთვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას აჩენს, რადგან **„ერთი სარტყელი — ერთი გზის“** ფარგლებში აფხაზეთის გზაც უნდა გაიხსნას და როკის გვირაბიც.

**— უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის შესახებ ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერთა ოპტიმისტური განცხადებები სწორედ აქედან გამომდინარეობს?**

— უდავოდ! გიგანტური ქვეყნები — ჩინეთი და ინდოეთი დაინტერესებული ხდებიან, რომ სამხრეთ კავკასიაში ყველა საკომუნიკაციო არხი გაიხსნას. ინდოეთი ირანში აშენებს ჩაბაჰარის პორტს, საიდანაც რუსეთის მიმართულებით ერთი მაგისტრალი აზერბაიჯანზე გაივლის, ხოლო მეორე — სომხეთსა და საქართველოზე, რომელშიც აფხაზეთის ტერიტორიაც მოიაზრება.

**— ამ ყველაფრისთვის, ალბათ, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როდის და როგორ დამთავრდება ომი უკრაინაში?**

— ცალსახაა, რომ უკრაინაში პროცესები დასავლეთის გეგმის მიხედვით ვერ მიმდინარეობს და ამიტომაც ცდილობენ, საქართველოს ომში ჩართვას, რათა რუსეთის ძალები როგორმე დაქსაქსონ. პროგნოზის გაკეთება რთულია, მაგრამ **უკრაინაში ომის დასრულება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რას გადაწყვეტენ მსოფლიოს მმართველი უმდიდრესი ოჯახები, რომლებიც გლობალურ ომის პარტიაში მოიაზრებიან. თუ ისინი დარწმუნდნენ, რომ უკრაინაში სიტუაცია ჩიხში შევიდა და კონფლიქტი უნდა შეწყვიტონ, მაშინ ტრამპის გაპრეზიდენტებას შეუწყობენ ხელს და ომიც დამთავრდება!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

# საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნდება!»

## კვირგვინოსნები

**ლუკა ბასილაძე**
*საპატიმროების რეჟიმის მსხვერპლი, პროდიუსერი*



**„წითელ პარასკევს“** ეძახდნენ ხოლმე **ყოველი კვირის პარასკევს,** როდესაც ახალი პატიმრები შეჰყავდათ ციხეში და ყველას ერთად ყრიდნენ კარანტინში. პირველად რომ **პარასკევი მოვიდა** და დავდექი ამ რიგში, არ ვიცოდი, რა ხდებოდა. როგორ მახსოვს, სადღაც **80 წლამდე ბაბუ იყო, ოთხზე დააყენეს, ძროხასავით აბღავლებდნენ და ისე სცემდნენ.** კატასტროფა იყო. **ერთი მოზარდი შემოიყვანეს, 18 წლის გახდა ჩვენთან. რომ გამოვედი ციხიდან, ორ კვირაში გავიგე, რომ თავი მოუკლავს.** ღამე მეზიზღებოდა, ისეთი ხმები ისმოდა ციხეში.

„TV იმედი“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ლიდერი*



ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც **საკანში შეგნებულად ათავსებდნენ ტუბერკულოზიან ადამიანს, რომ ყველა დაავადებულიყო.** ეს იყო იმ პატიმრების დასჯის მეთოდი, რომლებიც დაუმორჩილებლობას იჩენდნენ. გუანტანამო არ უნდა დაივიწყო, არ შეიძლება იმის დავიწყება, რაც ხდებოდა მერვე საპყრობილეში, იმიტომ, რომ **ეს არის დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.**

„TV იმედი“

**რამაზ კაკუაშვილი**
*საფრანგეთში „ქართული სახლის“ დამფუძნებელი*



დრო **გვჭირდება,** სტაბილურობა **გვჭირდება,** მუშაობა **გვჭირდება,** მაგრამ პირველად ვხედავ, რომ **სწორი მიმართულებით მივდივართ** — ჩვენ შევალთ ევროპაში, **რადგანაც** ამაყები ვართ, **რადგანაც** ავწიეთ ჩვენი ეკონომიკა და ცხოვრების დონე, **რადგანაც** სწორი სტრატეგია გვაქვს, **რადგანაც** მზად ვართ, ვიყოთ კარგი პარტნიორები და არა მათხოვრები. ამიტომ **ევროპის გზა უნდა იყოს ნელი, პროგრესული.**

„TV იმედი“

**ლევან გიგინეიშვილი**
*ფილოსოფოსი, პროფესორი*



არ ვიცი ოჯახი, **ვისაც რაღაც ტკივილი არ შეეხო ნაციონალური მოძრაობის რეჟიმისგან,** ამას ძირითადი შეფასება უკვე აქვს, მაგრამ **ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რადგან, თუ არ გავიხსენებთ, გამეორდება.**

„TV იმედი“

# „ჰგონიათ, ხალხს ისევ ილუზიებში აცხოვრებენ, მაგრამ ეს აღარ მოხდება, ისინი დამთავრდნენ!“

## ლალი მოროშკინა:

# არ შეგეშინდეთ, მივენდოთ ბიძინა ივანიშვილს!



***— ოჰ, როგორ გაგაკვირვებთ ბევრს, რაც 26 ოქტომბრის მერე მოხდება! — ამბობს, პოლიტოლოგი, პიარტექნოლოგი ლალი მოროშკინა და იმ ადამიანებს მიმართავს, ვინც ჯერ კიდევ ნაცტელევიზიების შექმნილ ირეალურ სამყაროში ცხოვრობს:***

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ — „ქართული ოცნების“ გამარჯვებით ომი არ სრულდება — წინ გვაქვს საკმაოდ რთული და მძიმე პერიოდი! როგორც **ბიძინა ივანიშვილმა** აღნიშნა, გეოპოლიტიკურად ბევრი რამ იცვლება და ფხიზლად უნდა ვიყოთ. კიდევ ერთხელ ვამბობ, იგი ნამდვილი გროსმაისტერია. წაუგებელ თამაშს თამაშობს. შემთხვევით არასოდეს არც ამბობს და არც არაფერს აკეთებს.

აი, თუნდაც ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რამდენიმე ძალიან საინტერესო აქცენტი გააკეთა.

**— მათ შორის, ყველაზე ნიშანდობლივი რა იყო?**

— დიპლომატიურ კორპუსს პირდაპირ უთხრა, რომ აქვს მტკიცებულებები, თუ როგორ ცდილობდნენ ქართველების გაწყვეტას. შემთხვევით არ გაიხსენა **ირაკლი ღარიბაშვილის** პრემიერ-მინისტრობის პერიოდი და ის ფაქტი, როდესაც მაღალი რანგის დიპლომატმა ქართველების ომში ჩაბმა მოითხოვა.

თავის ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ეს „ოცნებისთვის“ ბოლო არჩევნებია, სადაც ის, როგორც მმართველი პარტია იქნება წარმოდგენილი. შემდეგი არჩევნები კარგსა და უკეთეს შორის გაკეთდება. მართლაც,

**დღეს „ქართულ ოცნებაში“ ბევრია ისეთი, რომელიც არათუ პარლამენტში ყოფნას, გამარჯობის თქმასაც არ იმსახურებს.**

ძალიან ბევრი გადაცდომებია, განსაკუთრებით რეგიონებში, თუმცა, ახლა ამაზე საუბრის დრო არ არის. ჯერ გამოცხადდეს საბოლოო შედეგები, არჩევნებმა მშვიდობით ჩაიაროს და ამის დროც მოვა! **ყველაფერს მოეფინება ნათელი, მათ შორის, იმასაც, თუ ვისი ხელით ხდებოდა იმ ადამიანების დაბლოკვა, რომელთა აზრიც, გონიც და ინტელექტიც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია.** ძალიან ბევრმა არცთუ კარგი როლი ითამაშა წინასაარჩევნოდ „ოცნების“ სასარგებლოდ. მერწმუნეთ, საკმაოდ ბევრ ინფორმაციას ვფლობ და ყველას ვამხელ!

**— ხალხს არჩევნების შედეგების გამოცხადებაზე მეტად შემდგომი პერიოდის ეშინია. უკრაინაში მებრძოლმა ქართველმა ბოევიკმა ლადო გამსახურდიამ ჯერ კიდევ არჩევნებამდე დააანონსა რევოლუცია — ჩვენ სისხლის არ გვეშინიაო!**

— ეს არის ჩვეულებრივი კურდღლის განცხადება. შორს არის და ჰგონია, ვერ მისწვდებიან. ტყუილად ზაფრავს ხალხს. არავის ეშინია არც უკრაინელების, არც უკრაინაში მებრძოლი ქართველების და, ზოგადად, არც ქვეყნის მტერი ბოევიკების. ჩვენი სპესამსახურები ყველაფრისთვის მზად არიან — არ მისცემენ მათ აქ თარეშის საშუალებას. რაც მთავარია, საზოგადოება არის საოცრად მობილიზებული. 23 ოქტომბერს „ოცნების“ მხარდასაჭერ აქციაზე შეკრებილი აუარება ხალხი იმის დასტურია, რომ ამ არჩევნებს ლეგიტიმაცია აქვს. ვის გადაატრიალებენ ეს ჩმორები. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ჩემი თანამოაზრეა!

**— კრებსითი ნაციონალები ასე არ ფიქრობენ. კვლავ გამარჯვებაზე საუბრობენ...**

— ისინი ასევე ზეიმობდნენ 2008 წელს წაგებულ ომს, ასევე აჩვენებდნენ უცხოელებს ევროპულ ციხეებს, მაშინ, როდესაც ათიათასობით ადამიანი დილეგებში ჰყავდათ გამომწყვდეული. ასე გაჰყვიროდნენ დემოკრატიაზე, რომელიც რეალურად არ არსებობდა. მათი გამარჯვება ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, სააკაშვილი რომ კვდებოდა და წამებს უთვლიდნენ.

მათ თავიდანვე იცოდნენ, რომ წაგებისთვის განწირულნი იყვნენ. ამიტომაც არ დაუხარჯავთ ფულები შეკრებებსა და ხალხის მობილიზაციაზე. არც წინასაარჩევნო პროგრამა წარუდგენიათ და არც ხალხთან შესახვედრად გასულან. მხოლოდ ირეალური რეალობა შექმნეს, რომელიც ძალიან მალე დაემხობათ თავზე. ჰგონიათ, ხალხს ისევ ილუზიებში აცხოვრებენ, მაგრამ ეს აღარ მოხდება, **ისინი დამთავრდნენ!**

შექებას იმსახურებს უსაფრთხოების სამსახური და პოლიცია. მათ არაერთხელ აგვაცილეს უმძიმეს მომენტებს. დროულად გამოავლინეს სერიოზული დაჯგუფება **უჩა აბაშიძის** მეთაურობით. ის ხომ არ ყოფილა უბრალოდ მანიაკი, რომელიც ვიდეოებს უღებდა პოლიტიკოსებს. ეს გახლდათ კარგად აწყობილი სქემა, სერიოზული შანტაჟის მანქანა. ამიტომაც არიან ნირწამხდარნი და გასაქცევად გამზადებულნი.

**— და მაინც, რას ელოდებით 28 ოქტომბრის შემდეგ?**

— ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია დადებითად შეიცვლება; სალომე კენწეროში გატკბილდება; რუსეთ-უკრაინის ომი უკრაინისთვის უმძიმესი შედეგით დასრულდება; კავკასია შეერთებული შტატების გავლენისგან განთავისუფლდება; ჩინეთი თავის ერთადერთ გზას ნატოს ბაზების ავლით შუა აზია-საქართველო-თურქეთი-ევროპას კოსმოსიდან გააკონტროლებს; რამდენიმე ხმაურიანი დაჭერის მომსწრენი გავხდებით, ანაკლიის პორტს აფხაზეთის დაბრუნება მოჰყვება და პატრიარქი, როგორც ყოველთვის, დანაპირებს აასრულებს!

მოკლედ, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება და ამის გარანტი თავად ბიძინა ივანიშვილია. ვინ-ვინ და მან კარგად იცის, ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნების სულ მცირე შანსიც რომ იყოს, არათუ მას და მის ოჯახს, საქართველოს მოსახლეობის 30 პროცენტს არ დატოვებენ ცოცხალს. 23 ოქტომბერს მეც ვიყავი „ოცნების“ დასკვნით შეხვედრაზე და საკუთარი თვალით ვნახე, ბიძინა ივანიშვილი როგორ ეკონტაქტებოდა ადამიანებს, როგორ მიდიოდა მათთან და ართმევდა ხელს. მას არანაირი შიში არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ცენტრში არც ისე უსაფრთხო ადგილას იყო.

მე, რომელიც პირველ ოცეულში ვარ ნაციონალების დასაჭერთა სიაში, არ მეშინია და არც თქვენ შეგეშინდეთ. **ბოლომდე მივენდოთ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც პირველ ფლანგზე საკუთარი შვილები დააყენა სწორედ თქვენი სიმშვიდისთვის და ნიშნად იმისა, რომ ყველაფერი კარგად იქნება!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***




**ბიძინა ივანიშვილი და მისი ვაჟები - ცოტნე და ბერა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის დასკვნით ღონისძიებაზე თბილისში. 2024 წლის 23 ოქტომბერი**

# გენერალისიმუსი

№51-52 (287-288)★2024 წლის 28 ოქტომბერი★გამოდის 2003 წლიდან


***დღეს, როდესაც მთელი კაცობრიობის ყურადღება მიპყრობილია ევროკავშირის, ნატოს და ამა თუ იმ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების საპირწონე ახალი საერთაშორისო გაერთიანების — ე.წ. ბრიქსის (BRICS) მე-16 სამიტისადმი, რომელიც 22-24 ოქტომბერს რუსეთის ქალაქ ყაზანში გაიმართა, მკითხველს ვთავაზობთ ინფორმაციას იმ გიგანტურ კონგლომერატზე, რომელმაც უახლოეს მომავალში მსოფლიოს დღის წესრიგი უნდა შეცვალოს.***

# ბრიქსის მე-16 სამიტმა ყაზანში წერტილი დაუსვა დასავლეთის ჰეგემონიას!

BRICS 2024 KAZAN, RUSSIA 22-24 OCTOBER






**ბრიქსი** — იგივე BRICS (Brazil, Russia, India, China, South Africa), იგივე БРИКС (Бразилия, Россия, Индия, Китай, ЮАР) შეიქმნა რუსეთის ინიციატივით 2006 წლის ივნისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის ფარგლებში, როგორც 4 სახელმწიფოს — **ბრაზილიის, რუსეთის, ინდოეთისა და ჩინეთის** ერთობა და მისი თავდაპირველი დასახელება იყო БРИК (Бразилия, Россия, Индия, Китай), თუმცა, ორგანიზაციის პირველი გაფართოების შემდეგ, 2011 წელს, მის შემადგენლობაში შევიდა **სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა,** ხოლო სახელწოდება ტრანსფორმირდა, როგორც BRICS იგივე БРИКС. 2024 წლიდან БРИКС-ის სრულუფლებიანი წევრი გახდა კიდევ 4 ქვეყანა — **ეგვიპტე, ირანი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები და ეთიოპია.**

აბრევიატურა BRIC პირველად შემოთავაზებულ იქნა 2001 წელს ბრიტანელი ეკონომისტისა და ფინანსისტის **ჯიმი ო'ნილის** მიერ აშშ-ის მსხვილი საინვესტიციო ბანკის Goldman Sachs Group ანალიტიკურ ჩანაწერში მშპ-ის მოცულობით მსოფლიოს ყველაზე ზრდადი ქვეყნების — ბრაზილიის, რუსეთის, ჩინეთის და ინდოეთის აღსანიშნავად. ასოთა თანწყობა აღნიშნულ დასახელებაში განპირობებული იყო არამარტო კეთილხმოვანებით, არამედ იმითაც, რომ BRICS ძალიან წააგავს ინგლისურ სიტყვას bricks **(აგურები),** რითაც ხაზი ესმება, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკური წინსვლა, როგორც საშენი მასალა, განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკის აღმშენებლობასაც.

2024 წლის მონაცემებით, БРИКС-ის ქვეყნების მოსახლეობის საერთო რაოდენობა დაახლოებით 3,5 მილიარდ კაცს შეადგენს, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 45 პროცენტს. БРИКС-ის პირველი სამიტი გაიმართა 2009 წლის 16 ივნისს რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში **(ადრ. სვერდლოვსკი).** ბრიქსის მე-16 სამიტზე 2024 წლის 22-24 ოქტომბერს შეიკრიბა მსოფლიოს 35 ქვეყნისა და 6 საერთაშორისო ორგანიზაციის დელეგაცია. БРИКС-ის წევრი ქვეყნების გარდა, ყაზანში ჩამოვიდნენ **აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის, ბოლივიის, ვიეტნამის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, კონგოს, მალაიზიის, თურქეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ვენესუელის, ლაოსის, მავრიტანიის, პალესტინის** წარმომადგენლები. ბრიქსის წევრი 9 ქვეყნიდან სამიტს ესწრებოდა 7 ქვეყნის პირველი პირი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი **ანტონიუ გუტერეში.** ღონისძიების დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ სამიტზე ვერ ჩამოვიდნენ **ბრაზილიის პრეზიდენტი ლუის ინასიუ ლულა და სილვა,** რომელმაც აბაზანაში წაქცევის გამო მიიღო ტრავმა და **სერბიის პრეზიდენტი ალექსანდრ ვუჩიჩი,** რომლის ნაცვლად ყაზანს პრემიერ-მინისტრი **ალექსანდრ ვულინი** ეწვია. ამასთან, **ინდოეთის** პრემიერ-მინისტრმა **ნარენდრა მოდიმ** ყაზანში ორი დღე დაჰყო მის ქვეყანაში გერმანიის კანცლერ **ოლაფ შოლცის** დაგეგმილი ვიზიტის გამო, ხოლო ჩინეთის ლიდერმა **სი ძინპინმა** და თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეპ ერდოღანმა** ასევე სამიტის მსვლელობის პერიოდში დატოვეს რუსეთი, ამ უკა-

## დაახლოებით ნახევარი კაცობრიობა ბრიქსის წევრ ქვეყნებში ცხოვრობს!




***გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე***


## ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან? ★

***დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე***

ნასკნელმა — ანკარაში თურქეთის აეროკოსმიური კომპანიის (TUSAS) ერთ-ერთ ობიექტზე ტერორისტული თავდასხმის გამო.

БРИКС-ისადმი ინტერესი ამა თუ იმ ფორმით მსოფლიოს 30-ზე მეტმა ქვეყანამ გამოხატა, თუმცა, ორგანიზაციის ნამდვილმა წევრებმა გადაწყვიტეს მისი გაფართოების გადავადება, სამაგიეროდ, ზოგიერთი წევრობის კანდიდატს შესთავაზეს **პარტნიორი ქვეყნის სტატუსი.** ასეთ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა თვით **ბელარუსიც** კი და კიდევ 12 სახელმწიფო.

ჯერ კიდევ 2023 წელს იოჰანესბურგში გამართულ სამიტზე БРИКС-ის შემადგენლობაში სხვა ქვეყნებთან ერთად მოწვეულ იქნა **არგენტინა,** სადაც გასული წლის მიწურულს ახალი პრეზიდენტი, ლიბერტარიანელი **ხავიერ მილეი** აირჩიეს, მის საარჩევნო პროგრამაში კი ერთ-ერთ პუნქტად სწორედ ბრიქსში გაწევრიანებაზე უარის თქმა იყო ჩაწერილი. რაც შეეხება ორგანიზაციაში ასევე მოწვეულ **საუდის არაბეთს,** მან მთელი მიმდინარე წლის მანძილზე არა და არ დაადასტურა ვიზიტისათვის მზადყოფნა და თათრეთის დედაქალაქ ყაზანში იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა თავკაცი **ფეისალ ბენ ფარხან ალ საუდი** დაგვიანებით, 23 ოქტომბრის საღამოს, ჩამოვიდა და ვიწრო წრეში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე მდუმარედ იჯდა.

# ამონარიდები რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის დასკვნითი პრესკონ-ფერენციიდან ბრიქსის ყაზანის სამიტზე

ყაზანის შეხვედრებით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ **ბრიქსი** არ გახლავთ ჩაკეტილი ფორმატი, ის ღიაა ყველასათვის, ვინც იზიარებს მის ღირებულებებს და მზადაა შემდგომი გაფართოებისათვის.

მინდა, მივაპყრო თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ **უკრაინაში ვითარების ესკალაციამდე მიგვიყვანა არა რუსეთის მოქმედებებმა, არამედ 2014 წლის სამხედრო გადატრიალებამ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უჭერდა მხარს.** საჯაროდ დასახელდა იმ თანხის ოდენობაც, რომელიც დახარჯა აშშ-ის იმდროინდელმა ადმინისტრაციამ ამ სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაზე. შემდეგ ჩვენ 8 წლის მანძილზე გვატყუებდნენ, თითქოს სურდათ კონფლიქტის აღმოფხვრა მშვიდობიანი ხერხებით, მინსკის შეთანხმებათა საფუძველზე. მოგვიანებით ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ლიდერებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ მართლაც გვატყუებდნენ, რათა ეს პერიოდი გამოეყენებინათ უკრაინის არმიის შესაიარაღებლად. **და სადამდე მივიდა საქმე? ცხადია, ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეთა პირდაპირ მონაწილეობამდე ამ კონფლიქტში!** ჩვენ ვიცით, როგორ ხდება უპილოტო აპარატების გაშვება შავ ზღვაზე, ვინ ესწრება ამ პროცესს და ნატოს წევრი რომელი ქვეყნიდან. ეს ეხება სამხედრო ინსტრუქტორებს და არა დაქირავებულ მებრძოლებს, ეს ეხება თანამედროვე ზეზუსტი შეიარაღების გამოყენებას, მათ შორის ისეთი რაკეტების ამოქმედებას, როგორიცაა ATACMS Storm Shadow და სხვ. **უკრაინელ სამხედროებს არ შეუძლიათ ამ იარაღის გამოყენება კოსმოსური დაზვერვისა და დასავლური წარმოების პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე, რასაც უშუალოდ ნატოს წევრი ქვეყნების ოფიცერთა ჩართულობა სჭირდება.** რაც შეეხება კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან კავშირებს, ამჟამად ხელმოწერილია შეთანხმება სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომლის რეალიზება უშუალოდ ჩვენი ქვეყნების საქმეა. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის არმია თავდაჯერებულად მოქმედებს ყველა მიმართულებით, მათ შორის, კურსკში, სადაც ბლოკირებული და გარშემორტყმულია იქ შეჭრილი უკრაინული არმიის ქვედანაყოფები. ეს დაახლოებით 2000 კაცია და რუსეთის არმია შეუდგა ამ დაჯგუფების განადგურებას.

რაც შეეხება კონტაქტებს **ბატონ ტრამპთან.** ეს ის საკითხია, რაზეც გამუდმებით ლაპარაკობენ ბოლო ერთი წლის მანძილზე. ერთი პერიოდი ჩვენ და საკუთრივ **ტრამპს** ბრალს გვდებდნენ, თითქოს რუსეთთან იყო შეკრული. შემდეგ გამოძიების საფუძველზე თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, და მათ შორის, კონგრესში, ყველამ გამოიტანა დასკვნა, რომ ეს სრული აბსურდია. რა მოხდება მომავალში, ეს თავად ამერიკის შეერთებულ შტატებზე და იქ გასამართ არჩევნებზეა დამოკიდებული. თუ აშშ მზად არის რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დასამყარებლად, ჩვენც გამოვთქვამთ მზაობას ამისათვის, თუმცა, მთავარი სიტყვა მაინც ამერიკის მომავალ ადმინისტრაციაზეა.

კითხვაზე — **მართალია თუ არა რომ ერთ-ერთ სატელეფონო საუბარში ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დაემუქრა რუსეთის პრეზიდენტს მოსკოვის ცენტრში ბომბის ჩამოგდებით, ვლადიმერ პუტინმა ასე უპასუხა:**

— დამუქრებით შეიძლება ვისაც გინდა, იმას დაემუქრო, მაგრამ უაზრობაა, დაემუქრო რუსეთს, რადგან ეს ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ გვახალისებს! არადა, მე ნამდვილად ვერ ვიხსენებ მსგავს საუბარს **ბატონ ტრამპთან.** ახლა ამერიკაში საარჩევნო ორთაბრძოლა მწვავე ფაზაშია შესული და ვფიქრობ, ასეთი ტიპის განცხადებებს სერიოზული ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. მაგრამ მე მახსოვს, რომ **ბატონი ტრამპი** ახლახანს ლაპარაკობდა მის სწრაფვაზე — ყველაფერი იღონოს უკრაინაში კონფლიქტის აღმოსაფხვრელად. ასეთი ტიპის განცხადებებს ჩვენ, ცხადია, მივესალმებით!

ამასთან, რამდენად სამართლიანია უსაფრთხოების კუთხით ჩვენი მოთხოვნების იგნორირება, რომ ნატო აღმოსავლეთით აღარ გაფართოვდება? თუნდაც იგივე უკრაინის გულღვიძლში შემოძრომა და იქ სამხედრო ბაზების მშენებლობა? **დიახ, რამდენად სამართლიანია სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა ისე, რომ მიაფურთხო საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას?** არის თუ არა ეს სამართლიანი თუნდაც იგივე მსოფლიო უსაფრთხოების კუთხით?

არა! არავითარი სამართლიანობა ამაში არ არის, ამიტომაც

# ჩვენ გვსურს სიტუაციის შეცვლა და შევცვლით კიდეც!



# ბრიქსის მე-16 სამიტმა ყაზანში წერტილი დაუსვა დასავლეთის ჰეგემონიას!




# ბრიქსის ახალი ფულადი ერთეული მოსპობს დოლარის ბატონობას!



## ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან? ★



მიხეილ კვესელავა

# ას ერგასის დღე

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-50*

## კანონიერი უსამართლობა...

ნიურნბერგის ტრიბუნალის ერთ-ერთ განაჩენში წერია:

— სამწუხაროდ, ჯერ კიდევ კაენის დროიდან მოყოლებული, ადამიანი კლავდა ადამიანს, ძმა — ძმას. ბოროტმოქმედნი და არამზადები ყოველთვის პოულობდნენ საამისო მიზეზს. ისინი კლავდნენ ძმას, რათა ხელთ ეგდოთ მისი სიმდიდრე,. ცოლი ან ტახტი; კლავდნენ ეჭვიანობის, შურისძიების, ვნებათაღელვის, გარყვნილებისა თუ კანიბალური ჟინის გამო. ასე იქცეოდნენ გვირგვინოსანი მეფეები, მონათმფლობელები, გიჟები და ყაჩაღები. მაგრამ მხოლოდ XX საუკუნეს ხვდა წილად, ეჟლიტათ ადამიანები ისე უჩვეულოდ, რომ ამის გამოსახატავად საჭირო გახდა ახალი ტერმინის, გენოციდის, გამოგონება.

ოსმანები რომ აღმოსავლეთ ევროპაში შეიჭრნენ, სულ ცეცხლითა და მახვილით გადაბუგეს იქაურობა... ხელფეხშეკრულ ტუსაღებს ისინი სარზე სვამდნენ ან კიდევ ორი ალვის ხის წვეროებს გადაზნექდნენ ერთმანეთისაკენ, ერთ წვეროზე ერთი ფეხით მიაბამდნენ მსხვერპლს, მეორეზე — მეორეთი, მერე ხელს გაუშვებდნენ და ასე გაგლეჯდნენ შუაში.

ადამიანურ უფლებათა ხელყოფისა და კანონად ქცეული უსამართლობის პარადოქსულ ამბებსაც ბევრს ვნახავთ ისტორიაში. თუნდაც, იმავე პერიოდის ე.წ. „თუქჩი ბეშის“ კანონი“ ავიღოთ, თურქებმა რომ შემოიღეს ბულგარეთში. ამ კანონის მიხედვით, როცა თურქი ბულგარელის ოჯახში შევიდოდა, მასპინძელი ვალდებული იყო, სასმელ-საჭმელი მიეცა მისთვის, რასაც კი იგი მოითხოვდა ან რისი შესაძლებლობაც იყო. მერე ჯარიმაც უნდა გადაეხადათ იმ ოსმან-აღასათვის, აქაოდა... თქვენი საჭმელების ჭამაში კბილები გამიცვდაო.

ეს კიდევ არაფერი! ოჯახში თუ მოსაწონი დიასახლისი ან ქალიშვილი იყო, ისიც უნდა „მიერთმიათ“ სტუმრისთვის და „გაწეული შრომის“ ქირაც გადაეხადათ...

ეს „კანონიერი უხამსობაც“ ისეთივე შინაგანი იუმორის შემცველია, როგორც ჰიტლერელების „საგმირო საქმეების“ ჩვენ მიერ უკვე მოტანილი ფაქტები...

მე შემეძლო ბევრი უფრო საშინელი ამბავიც გამეხსენებინა, ძველიცა და ახალიც, მაგრამ, ის, რაც ჩვენ თვალწინ მოხდა ამ ომის დროს, თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში, მაინც სხვაა. ჯერ ერთი, იქნებ უხერხულიც იყოს, გერმანელების — ამ უაღრესად განათლებული და მაღალი კულტურის მქონე ევროპელი ხალხის მიერ ჩადენილი ბოროტების შედარება მონღოლებისა და ოსმანების ბნელ საქმეებთან. მეორეც, მაშინ ყოველივე ეს დამპყრობლური თარეშის, დასჯისა და შიშველი სისასტიკის გამოხატულება იყო, ახლა კი — წინასწარ მოფიქრებული და სახელმწიფო პოლიტიკის შინაარსად ქცეული დანაშაული, „შეთქმულება მსოფლიოსა და მშვიდობის წინააღმდეგ“, როგორც ეს ფორმულირებულია ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებაში. ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული პირველი სამი ზოგადი პარაგრაფი ბრალდებისა — „შეთქმულება მშვიდობის წინააღმდეგ“, „სამხედრო დანაშაულობანი“ და „დანაშაულობანი ადამიანურობის მიმართ“ — აქ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და სახელმწიფოებრივ-პარტიული იდეოლოგიის შინაარსად გამოცხადებული.

ეს კი სულ სხვაა. მართალია, ასე განყენებულად ვამბობ, სულ სხვაა-მეთქი, მაგრამ, რასაც ამას იქით მოგიყვებით, იმედი მაქვს, სრულიად აშკარად დაადასტურებს ამ განსხვავებას. საქმე აქ, უწინარეს ყოვლისა, ჩადენილ დანაშაულობათა მიზნებს ეხება.



იბეჭდება შემოკლებით. ტ. I „თემიდას თვალები“

მას შემდეგ, რაც იმ ათასი ფუთი ბრალდების მცირე ნაწილზე მაინც ვილაპარაკე და ვცადე ასე თუ ისე პასუხი გამეცა კითხვაზე — **რას სჩადიოდნენ?“** უნდა აქედან გამომდინარე კითხვასაც შევეხო: **„რატომ სჩადიოდნენ ამას?“** თუ ასე მოვიქცევით, მე მგონი, უფრო ნათლად გამოჩნდება მომხდარი ამბების უპრეცედენტო ხასიათი...

...მართლაც! რატომ სჩადიოდნენ ამას გერმანელები? ეს კითხვა დღესაც ბევრს აწუხებს, რადგან ნორმალური ადამიანის გონება ასე ადვილად ვერ აღიქვამს ყოველივე ამას, როგორც შესაძლებელ ფაქტს. ამ თხრობის სიძნელეც, მოგეხსენებათ, ეს არის. მაგრამ სიძნელეს მაინც დაძლევა უნდა, თორემ გაუგებრობა ისევ გაუგებრობად დარჩება და მსმენელები, ვიცი, მხოლოდ მხრებს აიჩეჩთ ამაზე. მე კი მგონია, უბრალო კითხვა — „რატომ სჩადიოდნენ ამას?“ — უშუალოდ უკავშირდება ასევე უბრალოდ დასმულ, მაგრამ არცთუ ადვილად პასუხმისაგებ კითხვას: რა უნდოდათ?

ნიურნბერგიდან თბილისში რომ დავბრუნდი, მეც ისე უბრალოდ მეკითხებოდნენ ხოლმე, რა უნდოდათო, თითქოს ამაზე მართლაც ადვილი იყო პასუხის გაცემა!

ახლა კი საქმემ მოიტანა და მაინც უნდა ვცადო, ვუპასუხო ამ ორ, მაგრამ არსებითად ერთსა და იმავე კითხვას: რატომ სჩადიოდნენ ამას? რა უნდოდათ?

## სატანის ბიბლია...

კაცმა რომ თქვას, ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემა მაშინ ჩვენი განყოფილების მუშაკების სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა. უნდა გვცოდნოდა მოწინააღმდეგე ქვეყნების ისტორია, პოლიტიკა, იდეოლოგია, მიზანდასახულობა. საამისო საშუალებებიც გვქონდა: წიგნები, რადიო, ნადავლი, გაზეთები, დოკუმენტები და სხვ. ამისთვის ვაწარმოებდით ტყვეების დაკითხვას, ვსწავლობდით მათს პირად წერილებს.

მე ასეთი მუშაობის განგრძობა ომის შემდეგაც მომიხდა ნიურნბერგის პროცესზე. იქ იმდენი მასალა იყო ჩემს განკარგულებაში, რომ გავბედავ და, თუ შევძელი, ნაწილობრივ მაინც გავცემ პასუხს აქ დასმულ კითხვებს...

...ჩემს მოვალეობას, ამ შემთხვევაში, შეიძლება ის აადვილებდეს, რომ თავდაპირველად ნაცისტები თავიანთი პოლიტიკური და სამხედრო მისწრაფებებისაგან არავითარ საიდუმლოებას არ ქმნიდნენ. ჰიტლერი ისეთი ყბაღია პოლიტიკოსი იყო, რომ ყველაფერი სააშკარაოზე გამოჰქონდა. მას თითქმის არაფერი გაუკეთებია ისეთი, რომ წინასწარ არ ჰქონოდა გამოცხადებული. ენა ყოველთვის წინ უსწრებდა მოქმედებას: ჯერ იტყოდა, მერე აკეთებდა. ეს ისეთ საქმეებსაც ეხება, რისინაადრევი გამჟღავნებაც თითქოს წარმოუდგენელიცაა. ჯერ კიდევ 1933 წელს რაუშნინგთან საუბრის დროს ათიოდე კაცის (მათ შორის ქალების) თანდასწრებით, საუბარი რომ ვენასა და ავსტრიის კანცლერ დოლფუსს შეეხო, ჰიტლერი უცებ აყვირდა:

— ვენა გერმანული ქალაქი არ არის! იგი სავსეა ხუცებითა და ებრაელებით. მე იმ დოლფუსს კისერს მოვუღრეც, დამაცადოს ერთი! ვნახავ, მუხლებზე დაჩოქილი რომ მოდიოდეს ჩემთან! მე მას ჩავაძაღლებ როგორც მოღალატეს!..

რამდენიმე დღის შემდეგ დოლფუსი მოკლეს...

ასეთი ფაქტი უამრავია. ჰიტლერის სიტყვა კანონი იყო. ბრძანება — მოქმედების იარაღი, სინდისისა და ნამუსის შემცვლელი, ზნეობისა და მორალის უარმყოფელი... იტყოდა რამეს და ასეც უნდა მომხდარიყო. თუ ვინმე გაბედავდა და შეესიტყვებოდა, ეს უკანონოაო, ჰიტლერი იყვირებდა:

— როგორ! ჩემი სიტყვები არა სჯობია თქვენს აბსურდულ კანონებს?!

და მართლაც, სიტყვები ცვლიდა კანონებს, დადგენილ წესებს, ხელშეკრულებებს... ნათქვამი კია: ვინც საკუთარ სიტყვას ფეტიშად აქცევს, თავს ღმერთად თვლისო.

იოანეს სახარებაშიც წერია:

„პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა“.

ნაცისტები აქ ნაცვლად „ღმრთისა“ გულისხმობდნენ თვით ჰიტლერს. ამიტომაც სჯეროდათ მისი ყოველი სიტყვისა. მათი ნამდვილი სახარება ნაცისტური პარტიის პროგრამა და ჰიტლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა“ იყო. ყველაფერი, რაც მოხდა, ეწერა სატანის ამ ბიბლიაში და ეს არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯექსონმა თქვა კიდეც ნიურნბერგის პროცესზე:

— ადოლფ ჰიტლერის აგრესიული გეგმები ისეთივე „საიდუმლოება“ იყო, როგორც წიგნი „ჩემი ბრძოლა“, რომელიც ექვს მილიონზე მეტი ტირაჟით გამოვიდა...

იმავე პროცესზე ელვინ ჯონსონმა გაიხსენა დიდი გერმანელი ფილოსოფოსის სიტყვები, „იდეას ხელები და ფეხები აქვსო“ და განაცხადა:

— ბრალდებულებმა „ჩემი ბრძოლის“ იდეა აქციეს დოქტრინად და მოქმედების იარაღად. ამ წიგნს სტენიდნენ თავში ახალგაზრდებს ყველგან — სკოლაში, უმაღლეს სასწავლებლებში, ბიბლიოთეკებში, პროპაგანდისტულ წრეებში. იგი მიღებულ იქნა როგორც საღვთო წერილი — დაბადება, ანუ ბიბლია!..

...მერე ეს წიგნი გერმანიის მომავალი „ათასწლოვანი მსოფლიო იმპერიის“ იდეოლოგიურ საფუძვლად გამოაცხადეს და ეს აზრი რაღაც რიტუალურ პროცედურადაც აქციეს. ჯერ სპეციალური პერგამენტები დაამზადეს, საგანგებო კალიგრაფ-გადამწერლები მოიწვიეს, მერე უჟანგავი ლითონის გარეკანი გაუკეთეს, შეკრეს, დაბეჭდეს „ბეჭდითა შუიდითა“ და რკინის ურნით ჩამარხეს „გერმანულ მიწაში“, რომ ათასი წლის შემდეგ გაეხსნათ და ეკითხათ, როგორც ნაციონალ-სოციალისტური მსოფლიოს სახარება...

მაგრამ მათმა იმპერიამ ათასი წელი კი არა, ცამეტი ძლივს იარსება. ვერც იმ სატანის ბიბლიამ გაუძლო დროის გამოცდას. რამდენიმე წლის შემდეგ მას ტაბუ დაედო და დღეისათვის უკვე დავიწყებასაც მიეცა. თავის დროზე კი ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტი იყო...

ნიურნბერგის პროცესზე ინგლისელმა ბრალმდებელმაც თქვა:

— ამ წიგნმა მოწამლა ერთი თაობის შეგნება და გარყვნა მთელი ხალხის მსოფლმხედველობა... „ჩემი ბრძოლიდან“ პირდაპირი გზაა ოსვენციმის კრემატორიუმებამდე და მაიდანეკის გაზკამერებამდე!..

## არიელი ანტიქრისტე...

ყველაფერი, რასაც აქ გიამბობთ, შეეხება რასისა და სისხლის ნაცისტურ მისტიკას, პოლიტიკური მოძღვრებისა და მაგიურ-რელიგიური წარმოდგენების ერთიანობას, ძველი აღმოსავლური ლეგენდებისა და თანამედროვე ევროპული სინამდვილის გადაჯვარედინებას, იმას, რასაც როზენბერგმა XX საუკუნის მითი უწოდა.

ცხადია, ნაციონალ-სოციალისტური მოძღვრების გასაგებად ეს არ არის მთავარი, მაგრამ არც ისე უმნიშვნელოა, რომ უგულებელყოფილ იქნეს. თვითონ ჰიტლერის „ჩემი ბრძოლისა“ და ე.წ. „სუფრული საუბრების“ (Tischgesprache) უდიდესი ნაწილი ამ საკითხებს ეხება. ნათქვამიც აქვს: ვინც ნაციონალ-სოციალიზმში მარტო პოლიტიკურ მოძღვრებას ხედავს, იმას ამ მოძრაობის არაფერი ესმისო.

მაშინ ეს სიტყვები გაუგებარი იყო, მაგრამ შემდეგ ყველა მიხვდა, რომ **ჰიტლერს ნაციონალ-სოციალიზმი, გარდა პოლიტიკური მოძღვრებისა, ახალ ანტიქრისტიანულ რელიგიად უნდოდა ექცია. ამით იყო გამოწვეული მისი გაშმაგებული ბრძოლა ქრისტეს რწმენის წინააღმდეგ. ერთ-ერთი მორიგი სუფრული საუბრის დროს მან ასე ირონიულად გადმოსცა სახარების შინაარსი:**

— ღმერთმა შექმნა ადამიანი. მერე მოუხმო ეშმაკს და შეაცდინა. ცდუნებამ დაბადა ცოდვა: ქალწულმა მარიამ შვა ბუში. ამ როსკიპისა და რომაელი ჯარისკაცის ნაბიჭვარს — ქრისტეს უნდა განეწმინდა ადამიანები ცოდვებისაგან... ამიტომაც იქმნენ გვემულნი და მუხლმოდრეკილნი... ფუჰ! რა მოსწონს ხალხს ამაში! მე მესმის, მაჰმადის სამოთხე მაინც იყოს! ეს ალილუია კი სიკვდილის შემდეგ... საზიზღრობაა!..

მერე შუბლზე ჩამოშლილი თმები თითებით აივარცხნა და ყვირილი მორთო:

— ქრისტიანიზმი ბოლშევიზმის პროტოტიპია. ორივე ებრაულ-ფილოსოფიურ საფუძვლებს ეყრდნობა. ებრაელების ღმერთი იყო ოქრო, ამიტომ ეკლესიებშიც ყველაფერი მოოქროვილია. გალილეველები იბრძოდნენ ებრაული კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ქადაგებდნენ თანასწორუფლებიანობას და ამით დაღუპეს რომის იმპერია. ეს გააკეთა წმ. პავლემ, რომელიც ბოლშევიკი იყო. რომის წმიდა იმპერიის მემკვიდრეები გერმანელები არიან. მათ საწინააღმდეგოდ ახლა ებრაელებს ისევ ქრისტიანიზმის აღდგენა უნდათ ბოლშევიზმის სახით. მე კი ამის წინააღმდეგ ვიბრძვი!..

მერე კიდევ უფრო აუწია ხმას:

— ქრისტიანიზმი სისულელეა. ვისაც ტრანსცენდენტური ძალების სჯერა, ისიც სულელია... ცხოვრება ქმნის ცხოვრებას — ეს არის უკვდავება! იაპონური რელიგია ადამიანს აახლოებს ბუნებასთან, ქრისტიანული — ზებუნებრივთან. ვის რაში სჭირია ეს ტყუილი!

ჰიტლერი ერთი წუთით შეჩერდა, მაგიდასთან მივიდა, სტუმრებს ნამცხვრები გადაუღო და... ისევ აყვირდა:

— მე თუ მოვინდომე, გარწმუნებთ, ერთ-ორ წელიწადში დავანგრევ ეკლესიებს. ერთი შეტევა და ყველაფერი გათავდება. მე გავათახსირებ ღვთისმსახურთ, გამოვააშკარავებ მათ ნამდვილ სახეს კინოფილმებში... ჩვენს ბიურგერებს თმა ყალყზე უნდა დაუდგეთ, როცა კინოთეატრებიდან გამოვლენ. ამას ახალგაზრდობა გაითვალისწინებს მომავალში და ისწავლის სიმართლის გარჩევას სიცრუისაგან. მსოფლიოში 170 სხვადასხვა რელიგიაა. ყველა მათგანი „ერთადერთსა“ და „უზენაეს“ ჭეშმარიტებას ქადაგებს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ 170 რელიგიიდან 169 ტყუის. ყვე-

**რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★**

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-4 გვერდზე*

დასაწყისი
„გენერალისიმუსის“
მე-3 გვერდზე

ლამ უნდა იცოდეს, რომ რელიგია ჩვენი საქმე არ არის! იტალიელებს თუ უნდათ, შეუძლიათ, შეეგუონ ეკლესიას. ისინი სულელები არიან, ჰგონიათ ერთსა და იმავე დროს შეიძლება წარმართებიც იყვნენ და ქრისტიანებიც. ასეა ფრანგებიც. გერმანია სხვაა. ჩვენ ან წარმართები უნდა ვიყოთ, ან ქრისტიანები. ორივე ერთად შეუძლებელია. მუსოლინი ვერასოდეს ვერ იქცევა ფაშიზმის ნამდვილ გმირად, რადგან არც იცის, წარმართია თუ ქრისტიანი. ჩვენ არ გვინდა ებრაული ქრისტიანიზმი თავისი ეფემერული შეწყალების მორალით. ძველი და ახალი აღთქმა ებრაული მონაჩმახია. იგი ჩვენ ვერ მოგვცემს თავისუფლებას. გერმანული ეკლესია და გერმანული ქრისტიანობა ფაქტების უხამსობაა. ორში ერთი უნდა იყოს: გერმანელი ან ქრისტიანი...

ბოლოს სულ გაშმაგდა, დორბლმორეული დარბოდა ოთახში და ყვიროდა:

— მე აღმოვფხვრი ხალხის წარმოდგენიდან ქრისტიანულ რწმენას! და თქვენ როგორ გგონიათ, ისინი ისევ მოინდომებენ დაუბრუნდნენ ამ სისულელეს? არავითარ შემთხვევაში! გარწმუნებთ, როგორც მათ მიიღეს ჰეკელი და დარვინი, გოეთე და გეორგე ქრისტიანიზმის მქადაგებლად, ასევე შეცვლიან სვასტიკით ჯვარცმის ნიშანს. ისინი ეზიარებიან რწმენას გერმანული სულისა, როგორც ღვთაებრივ უნარს. ჩვენ არ გვინდა ხალხი, ვისაც ცალი თვალი ზეცისაკენ უჭირავს. ჩვენ გვინდა ადამიანები, რომელნიც იგრძნობენ და გაიგებენ, რომ ღმერთი თვით მათშია... ჩვენ გვინდა, ახალი რწმენა ჩავუნერგოთ მათ... ეს იქნება ჩვენი რასის რელიგია... დაფუძნებული ბუნებასა და სისხლზე...

მერე იმ „ძარღვითურთ წარწყმედილ“ შტრაიხერს მიუბრუნდა და ისტერიულად შესძახა:

— შტრაიხერ, მაშინ ჩვენ ისევ ავაგებთ ტაძრებს, თუკი ამას მოვისურვებთ, და მათში იღაღადებენ ჩვენს რელიგიას... მე ჯერ კიდევ არ ვიცი, როგორ იქნება ეს, მაგრამ ვგრძნობ კი ამას...

გრძნობდა კი არა, კარგადაც იცოდა, რაც უნდოდა: ახალი ნაცისტური ტაძრები ნაციონალ-სოციალისტური რწმენით, ჯვრის ნაცვლად — სვასტიკა, ხოლო ქრისტეს ადგილას — ანტიქრისტე: ადოლფ ჰიტლერი!..

სამწუხაროდ, იქ არავინ იყო ისეთი, სოლომონ ბრძენის სიტყვები რომ შეეხსენებინა მისთვის:

— ნუ იქადი ხვალისთვის, რამეთუ არა უწყი, რასა შობს შემომსვლელი დღე...

## პროცენტული შეფარდება...

ჰიტლერმა ერთ-ერთი „სუფრული საუბრის“ დროს თქვა:

— მე არ მიყვარს გოეთე, მაგრამ პატივს ვცემ მის ერთ ფრაზას: „პირველად იყო საქმე“.

ჰიტლერს, როგორც ჩანს, ეს დიდებული სიტყვები თავისებურად ესმოდა. მან ამ „საქმეს“ წინ „ჯოჯოხეთური“ წაუმძღვარა და ისეთი გამოთქმა მიიღო, რაც მის პოლიტიკას უფრო ეთანხმებოდა, ვიდრე გოეთეს სიბრძნეს.

„საქმე“ კი, მართლაც, ჯოჯოხეთური იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უცხო სახელმწიფოების ვრცელი ტერიტორიები იქნა დაპყრობილი. ამან ახალი და იქნებ ყველაზე საშინელი „საჭირბოროტო საკითხი“ დააყენა დღის წესრიგში: ამ ტერიტორიებზე გერმანელთა ბატონობის განსამტკიცებლად რამდენი დამპყრობელი იქნებოდა საჭირო და რამდენი დაპყრობილი? ჰიტლერელებისათვის ეს, უწინარეს ყოვლისა, „რაციონალური შეფარდების“ საკითხი იყო. ამისათვის ადგენდნენ გერმანელი დამპყრობლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სასურველი „რიცხობრივი შეფარდების“ გეგმას, რაც ათეულ მილიონობით „ადგილობრივი მოსახლეობის“ მოსპობას გულისხმობდა. არა რამე სხვა მიზეზის, წინააღმდეგობის ან დანაშაულის, არამედ აუცილებელი „პროცენტული შეფარდების“ მისაღწევად, რისთვისაც, ერთი მხრივ, „წმინდა არიული სისხლის გერმანელების“ რაოდენობა ევროპაში თანდათან 250 მილიონამდე უნდა გაეზარდათ, ხოლო, მეორე მხრივ, გაეჟლიტათ ათეულმილიონობით „დაბალი რასის“ წარმომადგენელი, რომ გერმანელი და არაგერმანელი მოსახლეობის სასურველი „წონასწორობისთვის“ მიეღწიათ, რაც, მათი აზრით, უზრუნველყოფდა ჰიტლერელთა „ათასწლოვანი მსოფლიო იმპერიის“ სამუდამო უშიშროებას...

ეს ისეთი შემაძრწუნებელი გეგმა იყო, რომ თვით ჰიტლერელებმა უწოდეს მას „ჯოჯოხეთური საქმე“ (Teufelswerk). თუ რა საშინელი ბოროტმოქმედება ჰქონდათ მათ ჩაფიქრებული ამ „საქმის“ შესასრულებლად, შეგვიძლია, „უბრალო ციფრებითაც“ წარმოვიდგინოთ.

ვთქვათ, ჰიტლერელებს ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილობრივ გაგერმანელებით, ე.წ. „ბორმანის კანონების“ გატარებით თუ ჰიმლერის მიერ შემუშავებული „ანთროპოლოგიური ღონისძიებებით“ ასი წლის განმავლობაში კიდეც მოეხერხებინათ გერმანელთა რაოდენობის 250 მილიონამდე გაზრდა. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის საერთო პერსპექტიული ზრდის მეცნიერულ-სტატისტიკურ მონაცემებს და შევადარებთ ერთმანეთს, ასეთ სურათს მივიღებთ:

სტატისტიკური ორგანოების ოფიციალური ცნობით,



მიხეილ კვესელავა

დედამიწის მოსახლეობა ყოველ წუთში 94 კაცით იზრდება, დღეღამეში ჩვენს პლანეტას დაახლოებით 135 ათასი კაცი ემატება. ერთ წელიწადში, მაგალითად, 1959 წელს, დედამიწის მოსახლეობის წმინდა მატება 50 მილიონს შეადგენდა. 1960 წელს დედამიწაზე 2914 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 1980 წელს ჩვენი პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 4223 მილიონი იქნება, ხოლო 2000 წლისათვის ეს ციფრი შვიდ მილიარდამდე გაიზრდება. ვინ იცის, რა იქნებოდა 2050 წელს, როცა, ნაცისტების აზრით, ევროპაში 250 მილიონი გერმანელი უნდა ყოფილიყო? ახლა იფიქრეთ, რამდენი მილიარდი ადამიანი უნდა გაეჟლიტათ ან რამდენად უნდა შეემცირებინათ მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა, რომ გერმანელებს უახლოესი ასი წლის განმავლობაში უზრუნველყოთ მსოფლიო ჰეგემონიისათვის აუცილებელი „პროცენტული შეფარდება“.

აი, კიდევ ერთი მითიური ამოცანა, დასმული ჩვენი წარმოსახვის წინაშე. თუმცა, ჰიტლერისათვის ეს მითი კი არა, პრაქტიკულად განსახორციელებელი პრობლემა იყო..

...ჰიმლერმა ჯერ კიდევ 1940 წელს შეადგინა ამ პრობლემის გადასაწყვეტად „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სრულიად საიდუმლო დოკუმენტი“, რომელშიც წერს:

— შაბათს, 25 მაისს, მე წერილობით წარვუდგინე ფიურერს საკუთარი მოსაზრებანი აღმოსავლეთ რაიონებში ადგილობრივ მოსახლეობასთან დამოკიდებულების შესახებ. ფიურერმა თავიდან ბოლომდე გადაიკითხა ექვსივე გვერდი ჩემი პროექტისა და მიიჩნია ის სავსებით სწორად. გარდა ამისა, მან განკარგულება გასცა, დაებეჭდათ ამ პროექტის მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი და გაფრთხილებოდნენ, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის საიდუმლო დოკუმენტს...

ჰიმლერმა მართლაც აკრძალა ამ პროექტის გამრავლება ან ციტირება ზეპირად თუ წერილობით და შეუდგა მის განხორციელებას პოლონეთის ტერიტორიაზე. ჯერ, ჰიტლერის ნებართვით, ეს პროექტი გააცნო პოლონეთის გენერალ-გუბერნატორს ფრანკს, რომელმაც მაშინვე აუღო ალღო „სიტუაციას“ და „თავის სატახტო ქალაქ კრაკოვში“ დაბრუნებისთანავე განაცხადა:

— ამიერიდან დასრულებულია პოლონელი ხალხის პოლიტიკური როლი. იგი წარმოადგენს მხოლოდ მუშახელს და სხვას არაფერს... ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ერთხელ და სამუდამოდ წაიშალოს თვით ცნება „პოლონეთი“...

ფრანკს ამ „ისტორიული მისიის“ შესრულებაში ესესისა და პოლიციის გარდა რეგულარული არმიაც ეხმარებოდა. სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსმა გენერალმა ჰალდერმა ასეთი ბრძანებაც გამოსცა: „იმპერიამ ხელი უნდა შეუწყოს გენერალ-გუბერნატორს ამ ჯოჯოხეთური საქმის დაგვირგვინებაში“. ფელდმარშალმა რუნდშტედტმა კი ბერლინის სამხედრო აკადემიის მსმენელებს უფრო გულახდილად განუცხადა:

— მეზობელი ხალხებისა და მათი სიმდიდრის მოსპობა სრულიად აუცილებელია ჩვენი გამარჯვებისათვის!..

თქვენ, ალბათ, გახსოვთ, ჰიტლერი ამგვარ „ჯოჯოხეთურ საქმეს“ „მთელი რასიული ერთეულების მოსპობას“ რომ უწოდებდა. ამ საქმის სპეციალისტი კი ჰიმლერი იყო. იგი საგანგებოდ ჩავიდა კრაკოვში და, „ვისაც ჯერ არს“, გააცნო თავისი პროექტი, რაც გულისხმობდა „ყოფილი პოლონეთის“ ტერიტორიიდან ადგილობრივი მოსახლეობის 80-85 პროცენტის გასახლებას ჩრდილოეთ კავკასიაში, ციმბირსა და სამხრეთ ამერიკაში.

...მერე, როცა აღმოსავლეთის უფრო ვრცელი ტერიტორიები იქნა დაპყრობილი, „საჭირო გახდა“ ამ მართლაც ჯოჯოხეთური გეგმის კიდევ უფრო გაფართოება. ჰიმლერის დავალებით იმპერიის უშიშროების სამმართველო ჯერ ჰაიდრიხის, ხოლო შემდეგ კალტენბრუნერის მეთაურობით გულმოდგინედ, გერმანული პუნქტუალობით, შეუდგა დაპყრობილი ტერიტორიების „განხალხებისა“ და ე.წ. „პროცენტული შეფარდების“ დამუშავებას. საერთო მითითება, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც ჰიტლერს ეკუთვნოდა. იგი ამბობდა:

— საქმე ეხება არა ხალხების დაპყრობას, არამედ ტერიტორიებისას, რაც „განხალხებულ“ უნდა იქნეს...

და შემდეგ:

# ას ერგასის

— ექსპანსიის განხორციელება შეიძლება მხოლოდ ცოცხალი ძალის შემუსვრით. წარსულში მთელი ტომებისა და ხალხების მოსპობა გამარჯვებულთა პრეროგატივას წარმოადგენდა...

რაუშნინგთან საუბრის დროს ჰიტლერმა თქვა:

— ყოველგვარი საშუალებით უნდა ვეცადოთ, რათა მსოფლიო დაიპყრონ გერმანელებმა. თუ ჩვენ გვინდა, შევქმნათ დიდი გერმანული იმპერია, უწინარეს ყოვლისა, უნდა განვდევნოთ და გავჟლიტოთ სლავები: რუსები, პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, ბულგარელები, უკრაინელები, ბელორუსები. არ არის არავითარი საფუძველი, რომ არ გავაკეთოთ ეს!

იგი არც ერიდებოდა რამეს. მისთვის არ არსებობდა ცნებები: გონება, განათლება, ჰუმანიზმი, კანონი, სამართალი, სინდისი, პატიოსნება... ამაყობდა კიდეც ამით.

— განგებამ წინასწარ განსაზღვრა, რომ მე ვიქნები კაცობრიობის უდიდესი მხსნელი, — დაიტრაბახა მან რაუშნინგთან საუბრის დროს. — მე ვათავისუფლებ ადამიანებს გონების დამაბრკოლებელი საწყისისაგან, რამაც შებოჭა ისინი; ჭუჭყიანი და გამრყვნელი დამცირებისაგან, რასაც პიროვნება იტანს; ქიმერისაგან, რომლის სახელია სინდისი და მორალი; თავისუფლებისა და პიროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნილებისაგან, რისი ატანაც შეუძლიათ მხოლოდ მცირეოდენთ. მე მადლობელი ვარ ბედისწერისა, რომ არ გამიმზადა კურთხევა სახელმწიფოსი და თვალებზე არ ჩამომაფარა ფარდა, რომელსაც მეცნიერული განათლება ეწოდება. ამით მოვახერხე, თავიდან ამეცილებინა მრავალგვარი გულუბრყვილო დაბნეულობა და ახლა ვიმკი ამის შედეგს. მე კოლოსალური ყინულისებური სიმშვიდით და რამე ცრურწმენის გარეშე ვუახლოვდები ყველაფერს.

საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისთანავე მან კიდევ უფრო გარკვევით განაცხადა:

— ჩვენი ძალა მოქნილობასა და სისასტიკეშია. ჩინგისხანმა სრულიად გულდამშვიდებით გაჟლიტა მილიონობით ბავშვი და ქალი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისტორია მასში, უწინარეს ყოვლისა, მაინც სახელმწიფოს დიდ ფუძემდებელს ხედავს. არც მე მენაღვლება, რას იტყვის ჩემზე ევროპის დაჩაჩანაკებული ცივილიზაცია. მე გავეცი ბრძა-

**– ევროპაში ოც მილიონამდე კაცი მოსპეს, 30 მილიონი კიდევ უნდა მოვსპოთ, ეს პირველ რიგში, დანარჩენი მერე, – ამბობს იგი და უმატებს – ასეთი იყო ფიურერის ბრძანება.**



ნება და დავხვრეტ ყველას, ვინც ერთ სიტყვას დაძრავს საწინააღმდეგოდ. ამ ომის მიზანია არა გარკვეულ საზღვრამდე მისვლა, არამედ მოწინააღმდეგის ფიზიკური მოსპობა.

ამგვარი მითითების საფუძველზე 1942 წლის აპრილისათვის ჰიტლერის უწყებაში შედგა დაპყრობილ ტერიტორიებზე „მოსახლეობის ფილტრაციის“ „გენერალური გეგმა“, რომელსაც მიეცა კოდური სახელწოდება „Ost“ („აღმოსავლეთი“). ეს გეგმა სახელმძღვანელოდ გადაეცა ალფრედ როზენბერგის სამინისტროს „კოლონიზაციის განყოფილების“ უფროსს ე. ვეტცელს, რომელმაც მოიწონა იგი, მაგრამ მაინც საჭიროდ მიიჩნია, თავისი შენიშვნები გაეკეთებინა. ეს „შენიშვნები“ ახლა ჩვენ ხელთაა.

გადმოსცემს რა გეგმა „აღმოსავლეთის“ შინაარსს, ვეტცელი წერს, რომ „უკვე დაპყრობილ ტერიტორიებზე დასახლებულ უნდა იქნეს 8 მილიონი გერმანელი“. ამის მიხედვით, — განაგრძობს იგი, — სწორი შეფარდების მისაღწევად, თანახმად მოცემული გეგმისა, დაპყრობილი ტერიტორიებიდან გასახლებულ უნდა იქნეს 31 მილიონი ადგილობრივი მცხოვრები.

ვეტცელს ეს „საკონტროლო ციფრი“ არასაკმარისად მიაჩნია. მთელი მისი შენიშვნების აზრი კი მდგომარეობს „გასასახლებელთა“ რიცხვის 31 მილიონიდან 45-51 მილიონამდე გადიდებაში, რაც თურმე უკეთ უზრუნველყოფდა გერმანელი კოლონიზატორებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სასურველ „პროცენტულ შეფარდებას“. ვეტცელი იმასაც „აგდებს ანგარიშში“, რომ „5-6 მილიონი ებრაელის ლიკვიდაცია მოხდება გასახლების დაწყებამდე“, მაგრამ მაინც მიაჩნია, რომ „გეგმით დასახული ციფრები“ ზუსტი არ არის.

— გარდა ამისა, მე მგონია, — წერს იგი, — გეგმაში გათვალისწინებული არ არის, რომ არაგერმანული წარმოშობის ადგილობრივი მოსახლეობა მომავალი 30 წლის განმავლობაში სწრაფად გაიზრდება;

ვეტცელი შეწუხებულია იმ სიძნელეებითაც, რასაც გერმანელთა ბატონობა ხვდება „სლავი ხალხის უზარმაზარი ბიოლოგიური ძალის სახით“. ამიტომაც მოითხოვს სლავების „ბიოლოგიური დასუსტების“ ღონისძიებათა გაძლიერებას და „გაგერმანელების“ პროცესის დაჩქარებას. იგი მწუხარებას გამოთქვამს, რომ „ებრაელთა მსგავსად“ სლავების სრული მოსპობა არ შეიძლება, რადგან ეს „პოლიტიკურ გართულებებს გამოიწვევს“. ისე კი, მათი გასახლება ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებულიო. ვეტცელი ანგარიშობს:

— თუ ამ 46-51 მილიონი ხალხის გასასახლებლად გეგმით გათვალისწინებული იქნება 30 წელიწადი, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად გასახლებულ უნდა იქნეს 700-800 ათასი კაცი, რისთვისაც საჭირო გახდება წელიწადში — 700-800, ხოლო ბარგისათვის კიდევ რამდენიმე ასეული მატარებელი.

ვეტცელის ანგარიშით, მარტო პოლონელების გასახლებას დასჭირდება წელიწადში 1000-1200 მატარებელი, „რაც მშვიდობიანობის პერიოდში ტექნიკურად შესაძლებელიაო“, დაასკვნის იგი.

ჰიტლერი და ჰიმლერი კი უფრო ადვილად უვლიდნენ გვერდს ამ სიძნელეს. „გასახლებაში“ ისინი ხომ უბრალოდ „მოსპობას“ გულისხმობდნენ. ნიურნბერგის პროცესზე დადგინდა, რომ დაახლოებით ამასვე ნიშნავდა „გაგერმანელება“. ჰიტლერს „განხალხებული ტერიტორიები“ სჭირდებოდა და არა „ადგილობრივი მოსახლეობა“. ამიტომ იყო, რომ „გერმანელი ხალხის საკრალური პრობლემა“ — „ხალხი სასიცოცხლო სივრცის გარეშე“, მან შეცვალა დასახული მიზნით — „სასიცოცხლო სივრცე ხალხის გარეშე“. ამის მიხედვით იქნა შედგენილი საგანგებო ღონისძიებანი: ერთი მხრივ, სიკვდილის კომბინატები დაბალი რასების გასაჟლეტად, „რომელნიც მატლებივით მრავლდებიან“, ხოლო, მეორე მხრივ, „არიული რასის წარმოების“ გაძლიერება მსოფლიო ჰეგემონიის უზრუნველსაყოფად.

ნიურნბერგში მე შემთხვევა მქონდა, საკუთარი ყურით მომესმინა, თუ როგორ „ასაბუთებდა“ კალტენბრუნერი ამ ჯოჯოხეთური გეგმის „აუცილებლობას.“ წინასწარ დაკითხვებზე იგი არც არაფერს მალავდა, პირიქით, აშკარად აცხადებდა ყველაფერს, რადგან უდანაშაულო ხალხის ასე მილიონობით ხოცვა-ჟლეტა ფიურერის მიერ დადგენილ „ბუნებრივ აუცილებლობად“ მიაჩნდა და არა თავის დანაშაულად...

სატანის მონა... ეს გავიფიქრე მაშინვე, როგორც კი ის დაკითხვის ოთახში შემოიყვანეს. იმ დღეს მუშაობა არ მევალებოდა, მაგრამ მარკოვმა მთხოვა და სიამოვნებით შევცვალე. ეს საინტერესო შემთხვევა იყო ჩემთვის, მართალია შემზარავი, მაგრამ მაინც საინტერესო. ახლაც მგონია, რომ სწორედ იმ დაკითხვაზე გავიგე მათი „ჯოჯოხეთური საქმის“ მთელი საიდუმლოება. ადრეც ვიცოდი, რომ ყოველგვარი საშინელება, რაც კი საკონცენტრაციო ბანაკებში ხდებოდა, კალტენბრუნერის სახელთან იყო დაკავშირებული. იგი წლების მანძილზე განაგებდა პროფესიულ ჯალათთა კორპორაციას — უშიშროების ორგანოსა და გესტაპოს. ჰიმლერმა თავი მოიწამლა, ჰაიდრიხი მოკლეს, იმპერიის ოფიციალური ჯალათი №3 კი განსასჯელთა სკამზე დასვეს.

— თქვენი სახელი და გვარი? — ეკითხებიან მას.

— ერნსტ კალტენბრუნერი! — ამბობს იგი უხალისოდ. მარტო ამ გვარის ხსენება სცემდა შიშის ზარს მილიონობით ადამიანს. გარეგნობაც ისეთი აქვს: უზარმაზარი, ტლანქი, თითქოს ნაჯახით გამოთლილი სახე, სტუდენტობის დროს დუელებით დაჩეხილ-დასახიჩრებული, ზეთისფერი უგონო თვალები და, რაც მთავარია, უზარმაზარი ყურები. ხელები კი სადღაც მუხლებს ქვევით სწვდება და ძალაუნებურად გორილას გვაგონებს!..

იშვიათად თუ სჯის ბუნება ადამიანს ასეთი გარეგნობით! ისე, ცენზი არც მის განათლებას აკლია! როცა ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა პირველად ჰანს ფრანკის სახელი ახსენა, თქვა: არ შემიძლია, სირცხვილის გარეშე განვაცხადო, რომ იგი იურისტიაო. კალტენბრუნერიც იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი იყო. მან კარგად იცოდა, რას აკეთებდა და რატომ აკეთებდა! მეც ამიტომ მიპყრობდა მოუთმენლობა. მინდოდა, გამეგო ყველაფერი: როგორ თავსდება ერთ სიბრტყეზე იურისპრუდენცია და კაცთმკვლელობა, საუნივერსიტეტო განათლება და ჯალათის ხელობა. ან ეთიკისა და მორალის ცნება თუ შეიძლება ახსენოს კაცმა აქ ისე, რომ მართლაც სირცხვილის გრძნობამ არ შეიპყროს! რაგინდ მრუში იყოს კაცის გონება, როგორ გაამართლებს იმას, რაც მოხდა ან რაც პირადად მან ჩაიდინა!..

...ის კი ზის ჩვენ წინაშე, მოთვინიერებული, ბედს შერიგებული და ჩლუნგი თვალებით მისჩერებია ერთ წერტილს. ასე მგონია, საცაა დაამთქნარებს-მეთქი და ტანში ჟრუანტელი მივლის. ეტყობა, ჯერ არც არის გარკვეული, რა ხდება მის გარშემო. არც არაფერს უარყოფს! რაც არ უნდა საშინელი ციფრი ან ფაქტი დაუსახელოთ, მაშინვე ადასტურებს. მის შუბლზე ერთი ძარღვიც არ ირხევა, როცა მილიონობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობის „ანგარიშს აბარებს“ გამომძიებლებს, გეგონებათ, ამდენი და ამდენი მილიონი ფუთი ხორბლის მოწევაზე ლაპარაკობდეს. სფინქსივითაა, გაყინული, გაქვავებული, ენა მოძრაობს მხოლოდ, ისიც დუნედ. ლაშები ძირს ჩამოუშვია და ტკეპნით ყვება, სად რამდენი დახოცეს და კიდევ რამდენი უნდა დაეხოცათ. თან სულ მესამე პირით ლაპარაკობს, თითქოს სხვის მიერ ჩადენილ ამბებს ყვებოდეს. ნიცშეს რომ უთქვამს, „განდეგილისთვის მეგობარი ყოველთვის მესამეაო“, იქნებ კალტენბრუნერს ეგონა, სწორედ ის „მესამე“ დაფარავს ჩემს დანაშაულსო. ამიტომ უქცევს ასე:

— ევროპაში ოც მილიონამდე კაცი მოსპეს, 30 მილიონი კიდევ უნდა მოესპოთ, ეს პირველ რიგში, დანარჩენი მერე, — ამბობს იგი და უმატებს:

— ასეთი იყო ფიურერის ბრძანება.

გამომძიებლებმა ჰკითხეს:

— მერე რამდენი?

— ეს ზუსტად არ ჰქონდათ დადგენილი, ისე, რამდენსაც აუცილებლობა მოითხოვდა, — „განმარტა“ მან.

ეს ისევ ის „აუცილებლობაა“, გეოპოლიტიკოსების „შეფარდების თეორიით“ რომ განისაზღვრა და საფუძვლად დაედო კალტენბრუნერის პრაქტიკულ მოღვაწეობას.

— სინდისის ქენჯნას მაინც თუ გრძნობთ, როცა ამას ლაპარაკობთ?! — ვერ მოითმინა გამომძიებელმა.

აქ კი შეიშმუშნა ბრალდებული, იწყინა კიდეც. ეტყობოდა, ვერც გაიგო, რა სახსენებელი იყო მისი სინდისი, როცა საქმე „სხვის მიერ ჩადენილ“ დანაშაულს ეხებოდა! ან თავს რატომ უნდა გრძნობდეს დამნაშავედ? არავითარ შემთხვევაში! ამ „საკონტროლო ციფრებს“ სხვები ადგენდნენ, ის კი მხოლოდ ასრულებდა, ე.ი. ეს მის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა. თორემ, რაც მას ჩაუდენია, ყველაფერი პერსონალურ დანაშაულად რომ ჩაუთვალონ, ათიათასჯერ უნდა ჩამოახრჩონ. ეს თვითონაც იცის და ოდნავ ეღიმება კიდეც, ალბათ, ფიქრობს, რა სისულელეაო!..

ასე იყო წინასწარ დაკითხვებზე. მერე კალტენბრუნერმა ტაქტიკა შეცვალა და ტრიბუნალის წინაშე თავდაცვის სრულიად მარტივ ხერხს მიმართა: ყველაფრის უარყოფას. როგორც ჩანს, ამ შემთხვევებში იგი სხვისი კარნახით მოქმედებდა, სახელდობრ გერინგისა, რომელიც ურჩევდა თავის კოლეგებს — ყველაფერი უარყავით, ნურაფერს ნუ აღიარებთო. კალტენბრუნერს კი რაღა გერინგის რჩევა-დარიგება უნდოდა, როცა თვითონ ეკუთვნოდა იეზუიტების ორდენს, რომლის კატეხიზმოში პირდაპირ წერია:

— უარყავი! გაჯიუტდი! თქვი: არაფერი არ ვიცი, არაფერი არ გამიგონია!..

კალტენბრუნერიც ასე იქცეოდა. იგი ჯერ ფიცს დებდა, ეთქვა „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი გარდა სიმართლისა“ და... მაშინვე მოხსნიდა თავს ტყუილების გუდას. მერე რა! იეზუიტების კატეხიზმოში ხომ ესეც ეწერა:

— დადე ფიცი, რომ იტყვი სიმართლეს და... იცრუე, რამდენიც გინდა!..

კალტენბრუნერიც ასე იქცეოდა. მართალია, ბრალდების ფაქტებს ვერ უარყოფდა, მაგრამ ამბობდა, ყველაფერი ეს ჰიმლერისა და ჰაიდრიხის საქმეა, მე კი მარტო დაზვერვას ვხელმძღვანელობდიო.

აბა, იმდენად გულუბრყვილო ვინ იქნებოდა, რომ ეს დაეჯერებინა, როცა იმ ათასი ფუთი საბრალდებო დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მის მიერ იყო ხელმოწერილი. კალტენბრუნერი კი ისე იყო „სიცრუით განგოზილი“, რომ არც საკუთარ ხელმოწერას ცნობდა და „სიყალბეაო“ გაიძახოდა. ამან არამარტო პროცესის მონაწილეების, არამედ თვით ბრალდებულთა ირონიული სიცილი გამოიწვია...

— კალტენბრუნერს ციხის ფსიქოზი სჭირს, იგი ყველაფერში ტყუის, — თქვა ბრალდებულმა შპეერმა.

ის კი თავისსას არ იშლიდა.

— რა საქმე მაქვს ამ საშინელ ამბებთან! მე მხოლოდ დაზვერვა მეხებოდა! — გაიძახოდა იგი და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— არა, არ ვიცი, არ მახსოვს, არ მინახავს, ხელი მე არ მომიწერია...

დარბაზში მყოფნი სიცილს ვერ იკავებდნენ. გაბრაზებული ლოურენსიც უკვე ვეღარ ახერხებდა მათ დაწყნარებას. ბრალდებულებიც გამოცოცხლდნენ. გერინგმაც კი ვერ შეიკავა თავი და დენიცს გადაულაპარაკა:

— ჰო... ჰო... ჰო... ჰო!.. ერთი ამას უყურეთ, რას ლაპარაკობს!

დენიცმა შავი სათვალე მოიხსნა, მეორე რიგიდან წინ, პირველზე, გადაიწია და გერინგს უჩურჩულა:

— იმას რცხვენია თავისი თავისა!

ნამდვილად კი კალტენბრუნერს სირცხვილის გრძნობა სულაც არ აწუხებდა. როცა ერთხელ კიდევ დაუდეს წინ საკუთარი დოკუმენტი მასობრივი მკვლელობის შესახებ, ისევ უტიფრად განაცხადა, ეს ჩემი ხელმოწერა არ არისო.

დარბაზი ისევ ახმაურდა. ლოურენსმა ერთხანს აბრახუნა ხის ჩაქუჩი მაგიდაზე და, როცა სიჩუმე ჩამოვარდა, კალტენბრუნერმა სულ ანგელოზის სახე მიიღო და დაუმატა:

— ვიღაცას მოუწერია ხელი ჩემ მაგივრად!..

ეჰ, სად იყო ჩვენი ტრაინინი, თორემ აქაც, ალბათ, სოლომონ ბრძენის სიტყვებს გაიხსენებდა:

— ...ურცხუინო პირი არა კეთილ არს სამსჯავროსა შინა...

...ყველაზე „ურცხუინო“ ტყუილი სწორედ ეს იყო: დანაშაული ჩადენილია, დამნაშავე კი არ არის! მთელი პროცესის მანძილზე მე არ მახსოვს, ჩადენილი დანაშაულის თუნდაც ერთი ფაქტი რომ უარეყოთ ბრალდებულებს, მაგრამ არცერთ მათგანს არ უღიარებია თავი დამნაშავედ. ტრიბუნალის მუშაობის პერიოდში გერმანიაში გაკრული იყო 200 ათასი განცხადება, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაციების წევრებს უფლება აქვთ, თვითონ წარდგნენ სასამართლოს წინაშე და იმართლონ თავი. ასეთი განცხადებები გამოქვეყნდა პრესაში და სისტემატურად ცხადდებოდა რადიოთი. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: 245 ათასმა კაცმა ითხოვა, მოესმინათ მათთვის. მარტო ერთ, აუერბახის სამხედრო ტყვეთა ბანაკში 923 ოფიცერმა და 16964 ჯარისკაცმა მისცა წერილობითი ჩვენება. ასევე მოხდა სხვა ბანაკებშიც. ნიურნბერგის ტრიბუნალში, როგორც მოგახსენეთ, 310 ათასი წერილობითი ჩვენება იდო, მაგრამ არცერთის ავტორი არ ცნობდა თავს დამნაშავედ: არც ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრები, არც ესესელები, გესტაპოელები თუ დამსჯელი რაზმელები, ე.ი. ისინი, ვინც მოსპო მილიონობით უდანაშაულო ადამიანი. ასე იქცეოდნენ მთავარი სამხედრო დამნაშავენიც ნიურნბერგის პროცესზე. ისინი აღიარებდნენ, რომ დანაშაული ჩადენილია, ამდენი ხალხი დახოცილია, მაგრამ პირადად თურმე არცერთ მათგანს არ მიუძღვის ამაში ბრალი. აქ ამერიკელ ბრალმდებელს ჯეკსონს ისევ შექსპირის გახსენება მოუხდა:

# დღე



იბეჭდება შემოკლებით. ტ. I „თემიდას თვალები“



წინასწარ დაკითხვებზე კალტენბრუნერი არც არაფერს მალავდა, პირიქით, აშკარად აცხადებდა ყველაფერს, რადგან უდანაშაულო ხალხის ასე მილიონობით ხოცვა-ჟლეტა ფიურერის მიერ დადგენილ „ბუნებრივ აუცილებლობად“ მიაჩნდა და არა თავის დანაშაულად...

## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-6 გვერდზე

***დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-3 გვერდზე***

იბეჭდება შემოკლებით. ტ. I „თემიდას თვალები“

**მიხეილ ქვესელავა**

# ას ერბასის

როცა ლედი ანა წყევლის რიჩარდ მესამეს „სხვების უღირსად, უსამართლოდ ხოცვა-ჟლეტისთვის“, ჯალათი რიჩარდი ამბობს:

— მე ხომ ტყუილად მაბრალებენ იმათ დახოცვას?

ამაზე გაგულისებული ანა მიუგებს:

— მაშინ მკვდარნიც არ იქნებიან... მაგრამ ისინი მკვდარნი არიან შენის ხელით, სატანის მონავ!

ნიურნბერგშიც ამას ამტკიცებდნენ ბრალდებულები: მოკლულები კი არიანო, მაგრამ მკვლელები — არა!.. და არც არავინ აღიარებდა თავს ასეთად...

...არც წინასწარ დაკითხვაზე მყოფი კალტენბრუნერი აპირებდა ამას და თავს იმართლებდა. მან, როგორც იურისტმა, კარგად იცოდა, რასაც ნიშნავს „აუცილებლობა“ და „მოვალეობა“! არც სხვებს ეშლებოდათ ეს. ცინიკური გულახდილობა არცერთს არ აკლდა, გარდა შახტისა და პაპენისა. თვითონვე ამბობდნენ, რომ ყოველივე ეს სასტიკია, არაადამიანური, შემაძრწუნებელიც, მაგრამ — აუცილებელი. ვიმეორებ, რომ ნაცისტური პროპაგანდის მთავარი მიზანი ამ „აუცილებლობის“ შთაგონება იყო გერმანელი ხალხისათვის. უნდოდათ, ეს ფატალური „აუცილებლობა“ შეგნებულ მოვალეობად ექციათ, ხოლო, ვინც ამ „მოვალეობას“ ასრულებდა, გაეთავისუფლებინათ ყოველგვარი იურიდიული და მორალური პასუხისმგებლობისაგან. ეს მექანიზმი აბრუნებდა მთელ ამ ჯოჯოხეთურ მანქანას.

— აუცილებლობა!.. — გაიძახოდა კალტენბრუნერიც წამდაუწუმ. ცხადია, უნდა გვეკითხა: რა აუცილებლობაა ეს, ათეულმილიონობით უდანაშაულო ადამიანის დახოცვას რომ მოითხოვს!..

— ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, ვერასოდეს განახორციელებდნენ ფიურერის იდეას, — ამბობს იგი: მათ ხომ განზრახული ჰქონდათ ბატონობა ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და საბჭოთა კავშირში ურალამდე ჩათვლით (inklusiv), — არაფერი გამოტოვა კალტენბრუნერმა. ამისათვის ეს მასობრივი რეპრესიები აუცილებელი იყო და ისინიც ითვალისწინებდნენ ამას. ან სხვა რა გზა ჰქონდათ! ასეთ ვრცელ ტერიტორიებზე და ხალხებზე რომ იბატონო, ჯერ მათი წინააღმდეგობის ძალა უნდა გატეხო, მერე კი კვლავ აღორძინების პოტენციური შესაძლებლობა მოუსპო მათ. თუ ამას არ გააკეთებ, ვერც იბატონებ მათზე, ვინც ათჯერ და მეტჯერაც გჭარბობს რიცხობრივად.

ეს კალტენბრუნერს „ბუნებრივ ჭეშმარიტებად“ მიაჩნდა, რადგან თვით ჰიტლერი შთააგონებდა ასეთ აზრებს. წიგნში — „ჩემი ბრძოლა“ მართლაც წერია:

— უფრო ძლიერი რასა განდევნის სუსტებს, რადგან საშინელი და გაბედული სწრაფვა წინ, სიცოცხლისაკენ, უარყოფს ინდივიდუალისტურად განწყობილი კაცობრიობის სასაცილო გზებს და გაუთავისუფლებს ადგილს ადამიანებს, რომელნიც მოქმედებენ ბუნების კანონების შესაბამისად, რაც გულისხმობს სუსტების მოსპობას ძლიერების მიერ...

თავისი აზრის ამ „აუცილებელი დადასტურების“ შემდეგ კალტენბრუნერმა მაინც საჭიროდ მიიჩნია, „სრულიად მარტივად“ აეხსნა ეს, თითქოს ჩვენ მერხზე მსხდომი მოწაფეები ვყოფილიყავით, ის კი — კლასის დამრიგებელი.

— აბა, წარმოიდგინეთ, — ამბობს იგი, — რამდენი ქალაქი, სოფელი ან, საერთოდ, დასახლებული პუნქტია ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და საბჭოთა კავშირში? დავუშვათ, რომ თქვენ სრულიად არ გაგეწიათ წინააღმდეგობა გერმანიის შეიარაღებული ძალებისათვის და გეთქვათ: კი ბატონო, მობრძანდით და იბატონეთ, წინააღმდეგობას არც გაგიწევთო. რა უნდა ექნათ მაშინ? თქვენ გგონიათ, ეს უზრუნველყოფდა მათ გამარჯვებას? არავითარ შემთხვევაში! მთელი მათი არმიები რომ გაენაწილებინა ამოდენა ტერიტორიებზე, თითო დასახლებულ პუნქტს იმდენი მაინც არ შეხვდებოდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ცარიელი ხელებითაც არ მიეხრჩო ისინი, როცა ამას მოისურვებდა. ამაზეც ხომ უნდა ეფიქრა ჩვენს ფიურერს?

აქ კალტენბრუნერმა თავისი უზარმაზარი თათი აისვა ნაიარევ ლოყაზე და უფრო დაფიქრებული გამომეტყველება მიიღო. ჩვენ გაოგნებულები ვუსმენდით მას და ტანში გვაზრიალებდა, ის კი ისევ კლასის დამრიგებლის ტონით გვიხსნიდა ამ „უბრალო ჭეშმარიტებას“. შეიძლება უკვირდა კიდეც, ასეთი ელემენტარული რამ როგორ არ ესმითო!

— ჰოდა, იფიქრა კიდეც, — განაგრძო მან, — თუმცა, აქ იმაზე მეტს რას მოიფიქრებ, თუ არა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის პოტენციური ძალის მოსპობას. ასეთ ძალას კი უმთავრესად ებრაელობა, კომუნისტები, სლავები და ინტელიგენცია წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივია, პირველ რიგში, სწორედ მათი მოსპობა გადაწყვიტეს. უამისოდ ფიურერის ცდა გერმანელებისათვის სასიცოცხლო სივრცის მოპოვებისა და მსოფლიო ბატონობის განმტკიცებისა სულ ამაო იქნებოდა, შეიძლება — კატასტროფულიც, რადგან მოწინააღმდეგე სრულიად ადვილად მოსპობდა გერმანიის არმიასა და, საერთოდ, მის აქტიურ ძალას. ამიტომ იყო, რომ საიდუმლო პოლიციის მუშაკებს მიცემული ჰქონდათ უმაღლესი სარდლობის კატეგორიული ბრძანება ამის თაობაზე.

კალტენბრუნერი აქ გულისხმობდა ფელდმარშალ კაიტელის ბრძანებას, სადაც ნათქვამი იყო: „აღმოსავლეთში დაპყრობილი ტერიტორიების ფართობის სიდიდის გამო უშიშროებისათვის განკუთვნილი ძალები საკმარისი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი წინააღმდეგობის ყოველგვარი ცდა აღიკვეთება არა სასამართლო გამოძიებებით, არამედ ისეთი ტერორის შემოღებით, რაც შეძლებს წინააღმდეგობისადმი ყოველგვარი მიდრეკილების აღმოფხვრას“. და შემდეგ: „სარდლებმა თვითონ უნდა გამონახონ უშიშროების დაცვის ღონისძიებანი არა ახალი ძალების გამოთხოვით, არამედ დრაკონული წესების შემოღებით“.

კალტენბრუნერს ეგონა, რაკი იგი ასრულებდა ფიურერის იდეას, გამოხატულს კაიტელის ბრძანებაში, ამიტომ მისი სინდისი თავისუფალი იყო ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან... იმას კი არ ფიქრობდა, რომ თვით ეს მსოფლიო ბატონობის იდეა იყო აბსურდული, რადგან მსოფლიო დიდია, გერმანია კი — პატარა. ხალხში რომაა ნათქვამი, „ცოტავ, სად მიდიხარო და — ბევრის მოსატანადო“, გერმანელებსაც ასე მოუვიდათ. კალტენბრუნერის ნათქვამიც ამას ადასტურებდა...

— კი მაგრამ, ბავშვებს რატომ ხოცავდით? — ვეკითხებით ამ ჯალათ „იურისტს“.

— იმავე მიზნით, — მშვიდად განაგრძობს იგი, — მომავალზე ხომ უნდა ეფიქრათ. ვთქვათ, მოესპოთ წინააღმდეგობის ძალა. მერე ეს ბავშვები რომ დაიზრდებოდნენ, ხომ ისევ გაჩნდებოდა საშიშროება. საჭირო იყო ამ საშიშროების ლიკვიდაციაც, ეს კი მაშინ უფრო ადვილი იყო, ვიდრე შემდეგ, როცა ისინი დაიზრდებოდნენ. ამიტომ ნაწილი ბავშვებისა უნდა დაეხოცათ, ხოლო ისინი, ვინც რასიულად სრულფასოვანი იქნებოდა, წაეყვანათ და გაეგერმანელებინათ. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებდა ადგილობრივ მოსახლეობას და ასევე მნიშვნელოვნად გაზრდიდა „ბატონთა რასის“ რიცხვს.

თავს ძალას ვატანთ და მშვიდად ვეკითხებით:

— კი მაგრამ, იმ ბავშვებს რას უპირებდით, მომავალში რომ უნდა დაბადებულიყვნენ?

გვეგონა, აქ მაინც მოვიდოდა გონს და მიხვდებოდა კითხვის ასე დაყენების ირონიას. საქმეში ხართ! კალტენბრუნერმა ახლა შუბლზე გადაისვა ხელი და ისევ მესამე პირით გვიპასუხა:

— ამისი რეგულირება მოხდებოდა სტერილიზაციის საშუალებით. გერმანელები თვითონ განსაზღვრავდნენ, რამდენი არაგერმანელი უნდა დაბადებულიყო მათ ტერიტორიებზე, ე.ი. რამდენი მუშახელი იქნებოდა საჭირო.

ამას რომ ამბობდა, ჩვენ უხერხულად ვიშმუშნებოდით, ის კი თავისი ჭროღა თვალებით მოგვჩერებოდა და არხეინად განაგრძობდა:

— ეს შედარებით ადვილი საქმე იყო. ჰიმლერის უწყებაში უკვე სათანადო ცდებიც იქნა ჩატარებული. სპეციალური ჯგუფები შეუდგნენ კიდეც ამის განხორციელებას...



ჰიმლერის ინსტიტუტები სპეციალურად სწავლობდნენ „ტყუპების ბიოლოგიას“

## ახალგაზრდა დედაბერი...

ჰიმლერის უწყებაში ამგვარ ცდებს უმთავრესად „მემკვიდრეობის საკითხების შემსწავლელ სამეცნიერო ინსტიტუტებში“ („Ahnenerbe“) ატარებდნენ.

ამ ინსტიტუტებს თავისი ფილიალები და ლაბორატორიები ჰქონდათ საკონცენტრაციო ბანაკებთან გახსნილი, სადაც გამოჩენილი პროფესორები, დოქტორები და ექიმები „მოღვაწეობდნენ“. „ცდის ობიექტები“ აქ ყოველთვის ხელთ ჰყავდათ. თუ ადრე ამისათვის ბაჭიებს, ვირთხებს ან ზღვის გოჭებს იყენებდნენ, ახლა ცდებს პირდაპირ ადამიანებზე ახდენდნენ. მართალია, ასეთი ცდები, როგორც წესი, „ობიექტების“ სიკვდილით მთავრდებოდა, მაგრამ ეს მათ არ აწუხებდათ, რადგან სათანადო კონტინგენტს მაინც „უფასო სალიკვიდაციო მასალით“ ავსებდნენ. ამ მხრივ დიდი „დამსახურება“ მიუძღვით პროფ. ფრიდრიჰ ჰილშერს და ვოლფრამ ზივერსს, რომელთაც 1933 წელს დააარსეს პირველი ამგვარი ინსტიტუტი. ჰიმლერს ისე მოეწონა ეს „ახალი წამოწყება“, რომ 1939 წელს ინსტიტუტი „აანენერბე“ ესესელთა შავ ორდენს დაუქვემდებარა. ინსტიტუტის წესდებაში ეწერა, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიზანია „ძიებანი ინდო-გერმანული რასის სულის, საქმიანობისა და მემკვიდრეობის დარგში, ამ ძიებათა შედეგების ადვილად გასაგები ფორმით პოპულარიზაცია ხალხის ფართო მასებში. ძიება უნდა წარმოებდეს მეცნიერული მეთოდებისა და სიზუსტის სრული დაცვით“.

ეს იყო ერთადერთი მეცნიერება, რომელსაც ჰიმლერი ცნობდა. მისი ხელმძღვანელობით „აანენერბე“ 1939 წელს უკვე 50 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და უამრავ ფილიალს აერთიანებდა. მათი მუშაობის კოორდინაციას ახდენდა მიუნხენის უნივერსიტეტის სანსკრიტული ენების კათედრის გამგე, პროფესორი ვურსტი.

ისტორიკოსები წერენ, რომ გერმანიამ იმაზე მეტი თანხა დაახარჯა ამ ინსტიტუტებს, ვიდრე ამერიკამ ატომური ყუმბარების წარმოებასო!..

ჰიმლერის ინსტიტუტებში, იქ გაბატონებული ეზოთერულ-ოკულტივისტური მეთოდების დამუშავების გარდა, რაზედაც შემდეგ გიამბობთ, არიული ჯიშის გამრავლებისა და დაბალი რასების „ბიოლოგიური დასუსტების“ სრულიად პრაქტიკული საკითხებიც წყდებოდა. მე წაკითხული მაქვს ამგვარი ინსტიტუტების ხელმძღვანელთა მიმოწერა ჰიმლერთან, რომელიც განსაკუთრებით დაინტერესებულა ერთი „უაღრესად მეცნიერულ-პრაქტიკული საკითხით“: შეიძლებოდა თუ არა სათანადო ტექნიკის განვითარება ისე, რომ დღეში „დაბალი რასის“ ორი ათასი მამაკაცისა და ქალის სტერილიზაცია მოეხდინათ. გამოჩენილმა ესესელმა პროფესორებმა დაადგინეს, რომ ეს შესაძლებელია. პრაქტიკამ დაადასტურა ამგვარი დასკვნის ჭეშმარიტება. საკონცენტრაციო ბანაკებში შეუდგნენ „არასასურველი რასების“ წარმომადგენელი მამაკაცებისა და ქალების სტერილიზაციას. ნიურნბერგის პროცესზე მოწმედ გამოძახებულმა ვოლფრამ ზივერსმა ნათელყო ამ „ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიებათა მტკიცე მეცნიერული საფუძვლები“. პრაქტიკულ შედეგებს კი ჩვენ თვითონ გავეცანით პროცესზე. ბრალმდებლები რამდენიმე დღის განმავლობაში აქვეყნებდნენ ცოცხალ ადამიანებზე ჩატარებული ცდების საზარელ დოკუმენტებს. როცა ამ სისაძაგლეს ვუსმენდით, თმა ყალყზე დგებოდა. ეს იმდენად შემაძრწუნებელი იყო, რომ, მართალი გითხრათ, არც მინდა, მისი მოყოლით თქვენს ნერვებზეც ვიმოქმედო. ამიტომ მხოლოდ ერთ ფაქტს გიამბობთ, რაც, ჩემი აზრით, საკმაო სიცხადით გადმოსცემს ამგვარი „მეცნიერული ძიებების“ მსხვერპლთა ტრაგედიას...

...ნიურნბერგში მარკოვმა მიჩვენა მოწმედ ჩამოყვანილი უკრაინელი ქალი, რომელსაც დაახლოებით 60 წლის დედაბრის შეხედულება ჰქონდა.

— თუ იცი, ეს ქალი რამდენი წლისა იქნება? — მკითხა მარკოვმა.

— რა ვიცი, ალბათ, სამოცის, — ვუპასუხე მე.

მარკოვს გაეცინა და თქვა:

— წარმოიდგინეთ, რომ ის ჯერ ოცისაც არ არის!

ეს რომ მითხრა, გაოცებულმა იმ ახალგაზრდა „დედაბერს“ შევხედე და თვალწინ ასეთი სურათი დამეხატა: ძლიერ შეთხელებული ჭაღარა თმები, ჩაღამებული თვალები, დამჭკნარი სახე, მოხრილ მხრებს შორის ჩავარდნილი ვიწრო მკერდი...

გამეცინა, მეგონა, მარკოვი მატყუებდა. მაგრამ ახლა იმ ოცი წლის „დედაბერმა“ გამიღიმა და... საოცრებაც ის იყო, სახეზე სრულიად ახალგაზრდულმა, თითქმის ბავშვურმა იერმა რომ გადაჰკრა... თუ მომეჩვენა, არ ვიცი... დავიჯერე კია, რომ ის სრულიად ახალგაზრდა იყო.

მერე გავიგე კიდეც: ოსვენციმის ბანაკში „მემკვიდრეობის იმუნიტეტის“ გამოსამუშავებლად ისეთი ხანგრძლივი და საშინელი ოპერაციები გადაუტანია, როგორც „ცდის ობიექტს“, რომ ასე უცებ დაბერებულა, თმა გასცვენია, სახე დანაოჭებია და წელში მოხრილა. რაც იმან საშინელება მიამბო, მეც ჭაღარად შემრჩა თმებში. ადრეც გითხარით „სიჭაბუკის ჭაღარის“ შესახებ, ამჯერად კი ჩემ წინაშე სრულიად გაჭაღარავებული „ახალგაზრდა დედაბერი“ იდგა. მისი დამჭკნარი სახისა და ბავშვური ღიმილის გახსენება ახლაც ჟრუანტელს მგვრის...

...მას შემდეგ, რაც ჰიმლერის ინსტიტუტებმა დაბალი რასის „გამრავლების იმუნიტეტის“ ამგვარი „მეცნიერული მეთოდები“ გამოიმუშავეს, არიელი გერმანელების რაოდენობის სწრაფი ზრდის საკითხიც დადგა. მაგრამ არ იქნა და ვერ მოიძებნა გამრავლების ისეთი მეთოდი, რომ მოკლე ხანში უზრუნველეყოთ გერმანელთა პროცენტული უპირატესობა დაპყრობილ ქვეყნებში. 100 მილიონი გერმანელის დასახლება აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე — ასეთი იყო მათი „პერსპექტიული გეგმა“. მერედა, სად უნდა ეშოვათ ეს 100 მილიონი? მართალია, ჰიმლერის ინსტიტუტები სპეციალურად სწავლობდნენ „ტყუპების ბიოლოგიას“ და მრავალშვილიანობის გავრცელების შესაძლებლობას, მაგრამ ომის დროს რომ მამაკაცები ფრონტზე წავიდნენ, პირიქით, გამრავლებამ იკლო. ამით შეშფოთებული ჰიმლერი

**რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★**

1942 წლის 23 აპრილს სპეციალურად ეახლა ჰიტლერს ბერჰტესგადენში და მეტად ტრაგიკულ ფორმებში დაუხატა ეს საშიშროება.

— რა ვქნათ! ომში გვეკარგება ძვირფასი სისხლის გერმანელები. შთამომავლობის გამრავლების საკითხი საფრთხეშია!

ჰიტლერი დაფიქრდა და ასე მოიარებით უპასუხა ჰიმლერს:

— როცა მე აქ, ბერჰტესგადენში, გადმოვსახლდი, გარშემო სოფლებში დაბანაკდა ესესელთა ლაიბშტანდარტი. მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა და, აბა, გახედეთ, როგორ მომრავლდნენ ბავშვები! ყველგან, სადაც რასიული დეგენერაციის ნიშნები გაჩნდება, ასევე უნდა მოვიქცეთ: გავგზავნოთ ესესელთა ნაწილები. ჯარისკაცის მოვალეობაა, ჯანსაღი შვილი შესძინოს გერმანელ ქალს.

ჰიმლერმა, ცხადია, გაიგო ფიურერის შეგონების აზრი, მითუმეტეს, რომ იქვე მდგომმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა დარემ დააკონკრეტა ეს:

— როგორც ჰანოვერის ჯიშის ცხენები გამოგვყავს საცდელ

# დღე

ფერმებში, ჩემო ფიურერო, ისევე უნდა მოვამრავლოთ წმინდა სისხლის გერმანელები.

ეს შედარება არ უნდა გაგიკვირდეთ. თურმე, არიული ჯიშისა მარტო ადამიანები კი არა, ცხოველებიც და მწერებიც ყოფილა. ჰიმლერმა ტიბეტიდან ჩამოაყვანინა „არიული ჯიშის“ ცხენები და ფუტკრები გერმანიაში მოსამრავლებლად. არც „არიული ჯიშის ადამიანების მოშენების“ პრობლემა დარჩა გადაუჭრელი. ჰიტლერის „ბრძნული რჩევის“ შედეგად მან ესესელთა ნაწილები დააბანაკა ბავარიის ტყეებსა და აღმოსავლეთ პრუსიაში... მერე 100 სპეცბანაკის მოწყობის გეგმაც შეადგინა. ყოველ ბანაკში 1000 წმინდა სისხლის არიელი ქალიშვილი უნდა მოეთავსებინათ, რათა „რასიულად ძვირფასი მწარმოებლების“, უმთავრესად ესესელების, საშუალებით უზრუნველეყოთ ყოველწლიურად ამდენივე „არიული ნამატი“.

ამას „წმინდა სისხლის არიელების“ დაქორწინების რთული პროცედურა მოჰყვა. ვიდრე ახალგაზრდები ჯვარს დაიწერდნენ, 70-კითხვიანი ანკეტა უნდა შეევსოთ. ეს ისე ძნელი იყო, რომ გერმანიაში ქალიშვილები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ:

— რატომ არ თხოვდები, ელზა?

— რა ვიცი, ანკეტის შევსება მეზარება!..

ვინც ანკეტას შეავსებდა, მერეც რთული პროცედურა ჰქონდა გასავლელი: სიმაღლის გაზომვა, გულ-მკრედისა თუ თეძოების სიგანის შემოწმება და ათასი სხვა.

გაზეთებიც აივსო ამგვარი განცხადებებით:

— ვარ 27 წლის წმინდა სისხლის არიელი ქალიშვილი, სასიამოვნო გარეგნობისა, ქერა, თვალები — ცისფერი, სიმაღლე — 175 სანტიმეტრი, მკერდი — ამდენი, თეძოების სიგანე — ამდენი... ცხოვრების თანამგზავრად ვეძებ მტკიცე ხასიათის მამაკაცს, სასურველია ესესელი, სიმაღლე — არანაკლებ 180 სანტიმეტრისა და ა.შ.

ასეთი მამაკაცები მაშინ ფრონტზე იყვნენ და „ცხოვრების თანამგზავრის“ ძებნის თავი არ ჰქონდათ. „დედობას მონატრებული“ ჯიშიანი გერმანელი ქალიშვილები კი, რომელთაც ავსტრიელმა მწერალმა ფრანკ ვედეკინდმა „თეძოებით მოაზროვნეები“ უწოდა, მაინც დაჟინებით მოუხმობდნენ თავიანთ „ცხოვრების თანამგზავრებს“.

ამას ე.წ. „ბორმანის კანონები“ მოჰყვა. ნიურნბერგში მომიხდა, მეთარგმნა ამ „კანონების“ კოდექსები. ბორმანი მოუწოდებდა გერმანელ ქალიშვილებს, გათხოვების გარეშეც ეზრუნათ „ძვირფასი სისხლის შთამომავლობაზე“. იგი კატეგორიულად კრძალავდა ლიტერატურაში, თეატრსა და კინოში რამე ირონიულ დამოკიდებულებას „მარტოხელა დედებისადმი“, რადგან ამ შემთხვევაში „არიული ნამატი“ უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მორალისა და ზნეობის კანონები...

...ჰიტლერელები, მოგეხსენებათ, არც საკუთარ ზნეობაზე ზრუნავდნენ და სრულიად აშკარად ქადაგებდნენ „დაბალი რასების მოსპობას“, მოწინააღმდეგის „ბიოლოგიურ დასუსტებას“, „ბავშვთა სიმრავლის ლიკვიდაციას“, „მემკვიდრეობის იმუნიტეტის გამომუშავებას“, ბატონებისა და მონების „სასურველ პროცენტულ შეფარდებასა“ და „ადამიანთა შორის თანასწორუფლებიანობის აღმოფხვრას“, რომ ამით შეექმნათ მომავლის ისეთი მყარი იერარქიული სახელმწიფო, სადაც ყველას „ბიოლოგიურად განსაზღვრული“ ადგილი ექნებოდა საზოგადოებაში: ბატონს — ბატონისა, მონას კი — მონის. ჰიტლერის აზრით, ეს უმთავრესად ადამიანთა ახალი ჯიშის გამოყვანის, ანუ მუტაციის წესით შეიძლებოდა მომხდარიყო.

ერთხელ, ღამით, მან დიდხანს უქადაგა რაუშნინგს ამის შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც ვერ დააჯერა:

— კი მაგრამ, თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ დაეხმაროთ ბუნებას ამაში, — შეჰბედა მან ჰიტლერს: — ახალი ჯიშის გამოყვანა ხომ მარტო მას შეუძლია. აქამდე თვით ცხოველების სფეროშიც ძალიან იშვიათად თუ მიუღწევიათ მუტაციისთვის, ე.ი. ახალი სახეობის შექმნისთვის...

გაცოფებული ჰიტლერი მთელი ტანით აძაგძაგდა და ისე უყვირა თავის სტუმარს:

— ახალი ადამიანი უკვე ცხოვრობს ჩვენს შორის, ის აქაა. განა ეს თქვენთვის საკმარისი არ არის? გინდათ, საიდუმლოს გაგიმხელთ: მე ვიხილე ახალი ადამიანი, იგი მამაცია და სასტიკი, მის დანახვაზე შიშმაც კი შემიპყრო...

მერე, ცოტათი რომ დაწყნარდა, ასე განავითარა თავისი აზრი:

— მუტაციის პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა. ადამიანები მხოლოდ ახლა უახლოვდებიან ტრანსფორმაციის ფაზას. ძველი მოდგმა უკვე შევიდა დაცემის სტადიაში. ყოველ შვიდას წელიწადში კაცობრიობა ახალ საფეხურზე ადის. მათი უფრო ხანგრძლივი ბრძოლის იმპულსებს ღმერთ-კაცები იძლევიან. ბუნების მთელი შემოქმედებითი ძალა თავს იყრის ახალ რასაში, რომელიც ვითარდება, სხვები კი ისპობიან. მომავალი რასა უსაზღვროდ უფრო მაღალი იქნება, ვიდრე დღევანდელი.

ჰიტლერი ადრეც ამტკიცებდა, რომ „უმაღლესი ადამიანები“, რომლებიც მრავალი ასეული თუ მილიონი წლის წინ უკვე ცხოვრობდნენ ჩვენს პლანეტაზე, კვლავ დაბრუნდებიან და „დაიწყებენ არსებათა სრულ გარდაქმნას დედამიწაზეო“.

თავის მხრივ ჩრდილოეთის არიული რასის წარმომადგენლები „კოლოსალური კატასტროფების და ღრმა მუტაციის გზით“ უნდა გათანაბრებოდნენ თავიანთ შორეულ წინაპრებს...

— ამით დაიწყება ახალი კოსმოსური ციკლი! — აცხადებდა ჰიტლერი...

...ბატონ „ზეადამიანებისა“ და მონათა ამგვარი „მუტაცია“ იმდენად ჰიპერტროფიულია, რომ მისი წარმოდგენა პაროდიულობის გარეშე, მართლაც, შეუძლებელია. ამიტომაც მინდა, გაგახსენოთ ინგლისელი მწერლის ოლდოუს ჰაქსლის რომანი „ბედნიერი, მშვენიერი სამყარო“, რომელშიც სწორედ პაროდიულადაა აღწერილი ინკუბატორში ადამიანების ამგვარი „მუტაციისა“ და „სოციალური იმუნიტეტების“ გამომუშავების პროცესი...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


ჰიმლერის ინსტიტუტებში, არიული ჯიშის გამრავლებისა და დაბალი რასების „ბიოლოგიური დასუსტების“ სრულიად პრაქტიკული საკითხებიც წყდებოდა


ბესო მიქავა:

# ამერიკის საელჩოს წინ სამარცხვინო არარაობის კამალა ჰარისის ფიტულის დაწვის საკითხი განიხილება!

***„იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე ბესო მიქავა იმ მიზეზებზე საუბრობს, რამაც საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტიის გამარჯვება უზრუნველყო:***


აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან კამალა ჰარისი

— 2024 წლის 26 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ გამარჯვება მნიშვნელოვნად განაპირობა ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების სამარცხვინო და ცილისმწამებლურმა განცხადებებმა. სწორედ ამ შეურაცხყოფისა და არნახული ზეწოლის გამო ქართველი ხალხის იმ ნაწილმაც კი, რომელიც „ქართულ ოცნებაზე“ სრულიად გასაგები მიზეზების გამო გაბრაზებული იყო, ისევ მას დაუჭირა მხარი! საქართველო დააყენეს საშინელი არჩევანის წინაშე — **ომი გინდათ თუ მშვიდობა? გათხოვილი კაცები გინდათ თუ ქრისტიანული ტრადიციები?** შესაბამისად, შედეგმაც არ დააყოვნა და ქართველმა ერმა სწორი არჩევანი გააკეთა. მგონი, ეს გაკვეთილი უნდა იყოს დასავლეთისთვის, რომელიც საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას არის მიჩვეული.

დღეს საქართველოში „ქართულ ოცნებას“ საპირწონე არ გააჩნია, რადგან ე.წ. ოპოზიცია სუსტია და გაყიდული... რაც ყველაზე მთავარია, იქ თავმოყრილია ყოვლად ბინძური და ამორალური ხალხი. აი, მაგალითად, ავიღოთ სააკაშვილის პროკურორი **ნიკა გვარამია,** რომელმაც ზვიად გამსახურდიას შვილი **ცოტნე გამსახურდია** დაიჭირა და წლების განმავლობაში ციხეში ტანჯა. სამარცხვინო **ეკა ხერხეულიძე** გამოდიოდა და გაიძახოდა — კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს, **ცოტნე გამსახურდია რუსეთის აგენტიაო!** ამას ამბობდა ეს ნაძირალა ქალი, რომლის პარტიის წევრებმაც ქვეყანა რუსეთს ჩააბარეს, ყველაფერი პუტინს მიჰყიდეს, მაგრამ პასუხი დღემდე ძალიან ცოტა ვინმემ თუ აგო!

**—თქვენ მიიჩნევთ, რომ არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება ლოგიკური იყო?**

## არის ასეთი აზრი ★

— რა თქმა უნდა, ლოგიკური იყო! ქართველ კაცს ერეკლე მეფეს რომ შეუგინებ და იმას ეტყვი — **ჩაგ...სი** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **ლვინოშიო!** — ის ხმას რომ არ მოგცემს, არ უნდა იცოდე? **ხმის მიცემა და არჩევნები კი არა, ესენი, მე თუ მკითხავთ, სასიცოცხლოებიც არ არიან!** შევარდნაძისა და სააკაშვილის ნასუფრალზე გაქსუებული **ხაზარაძე,** რომელიც ხალხს დღემდე ძარცვავს, როგორ შეიძლება, ვიღაცის საპირწონე გახდეს?

**— ამერიკის არჩევნები ახ-**

**გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე**


„შევარდნაძისა და სააკაშვილის ნასუფრალზე გაქსუებული ხაზარაძე, რომელიც ხალხს დღემდე ძარცვავს, როგორ შეიძლება, ვიღაცის საპირწონე გახდეს?“

# არის ასეთი აზრი ★



## ბესო მიქავა:

# არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ დონალდ ტრამპს არჩევნები ახლაც გაუყალბონ!



*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-7 გვერდზე*

**ლოდება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უფრო დრამატული შეიძლება გამოდგეს. ვინ გაიმარჯვებს — დონალდ ტრამპი თუ კამალა ჰარისი?**

— ამერიკის არჩევნებში ნამდვილად წყდება პლანეტის ბედი და დღეს ამერიკის სახელმწიფოებრიობა დანის პირზე გადის! ამერიკაში რამდენი პრეზიდენტი მოკლეს, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მაგრამ ფაქტია, რომ **დონალდ ტრამპს** წინა საპრეზიდენტო არჩევნები გაუყალბეს. ამის შემდეგ მას ციხეში ჩასმა მოუნდომეს, მაგრამ ვერაფერი რომ ვერ დააკლეს, გადაწყვიტეს, მოეკლათ და ორჯერ მოუწყვეს თავდასხმა. პირველად ტრამპი სასწაულებრივად გადარჩა, როცა ყურში დაიჭრა, ხოლო მეორედ თავდასხმა აღკვეთეს. მანამდე ტრამპს გაუთიშეს „ტვიტერი“... **არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ დონალდ ტრამპს არჩევნები ახლაც გაუყალბონ. თუ ეს მოხდა, ამერიკის სახელმწიფოს დაშლა გარდაუვალია!**

ბევრი მიიჩნევს, რომ შეერთებული შტატები მსოფლიო ჰეგემონია და ყველაფერს ის წარმართავს, მაგრამ მე სხვაგვარად ვფიქრობ. მსოფლიოს მართავს დიდი ბრიტანეთის ანგლოსაქსური კლანი! ამიტომ იყო, რომ **დონალდ ტრამპს** ბრიტანეთი შემთხვევით არ გაუფრთხილებია — ამერიკის საქმეებში ცხვირს ნუ ყოფთო! ბრიტანეთი ევროპას ევროკავშირის საშუალებით ებრძვის... მოგეხსენებათ, ევროკავშირის შექმნის შესახებ ჩერჩილმა ჯერ კიდევ 1946 წელს გააკეთა განცხადება, მაგრამ ბრიტანეთმა ევროკავშირი ამ რამდენიმე წლის წინათ დატოვა. **ევროკავშირი კარგი რომ ყოფილიყო, ბრიტანეთს იქიდან ვინმე გამოიყვანდა?** ამიტომ, თუ ტრამპი ამერიკის არჩევნებში გაიმარჯვებს, შესაძლოა, ევროკავშირი დაიშალოს!

**— თქვენ ზემოთ დასავლეთიდან მომდინარე ზეწოლაზე საუბრობდით... სწორედ ამ ზეწოლას შეეწირა ზვიად გამსახურდია!**

— **ზვიად გამსახურდია** დღეს არამარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს სჭირდება! მას ჰქონდა ის პოლიტიკური და რელიგიური ცოდნა, რომელიც დღევანდელ მსოფლიოს დაალაგებდა. მაშინ საქართველოს საშინაო საქმეებში ამერიკის ჩარევა მართლაც უპრეცედენტო იყო. ბუშის ცნობილი სიტყვები — **გამსახურდია დიქტატორია!** — ეს... **გამსახურდია დინების წინააღმდეგ მიცურავს!** — იყო სანქცია არამარტო სისხლიან სახელმწიფო გადატრიალებაზე, არამედ ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ ლიკვიდაციაზე! ამიტომაც იყო, რომ მსოფლიოს ორი უძლიერესი სახელმწიფოს სპეცსამსახური გაერთიანდა და ზვიად გამსახურდია მოკლეს. **ელცინი,** როგორც ამერიკელების აგენტი, აკეთებდა იმას, რასაც ბუში და კლინტონი უბრძანებდნენ. ცნობილმა ამერიკელმა ანალიტიკოსმა **ჯეფრი საქსმა** პირდაპირ განაცხადა, რომ ის ელცინისა და პუტინის გვერდით, კრემლში იჯდა და მათთან იყო მიჩენილი. საქსი იმასაც ამტკიცებს, რომ ერთიც და მეორეც იყვნენ პროამერიკელები, მაგრამ ამერიკელებმა თავიანთი უხეირო პოლიტიკით განაწყვეს ანტიამერკულად და ანტიდასავლურად.

**— ეს ყველაფერი რა დასკვნის გაკეთების საშუალებას გაძლევთ?**

— აქედან გამომდინარე, ვინც ამბობს — **ზვიად გამსახურდია რუსებმა მოკლესო!** არ დაავიწყდეს, რომ მაშინ რუსეთის ხელისუფლება ამერიკის მარიონეტი იყო და ვაშინგტონის დასტურის გარეშე საქართველოს პირველ პრეზიდენტს თავიდან ერთი ღერი თმაც არ ჩამოუვარდებოდა! ასე რომ,

## ზვიად გამსახურდია ანგლოსაქსური კლანისა და პირადად ბუშების ოჯახის მიერ არის მოკლული!

ზვიადი დღეს რომ ცოცხალი იყოს, ანგლოსაქსური იმპერია ატომურ ბომბს ესროდა! ამიტომაა, ე.წ. ოპოზიცია, ეს **აგენტების ბუნაგი,** ზვიად გამსახურდიას შესახებ ხმას რომ ვერ იღებს!

**— თქვენ პროტესტის ნიშნად არაერთი პოლიტიკოსისა და პოლიტიკანის ფიტული გაქვთ დამწვარი თბილისში, ამერიკის საელჩოს წინ... კამალა ჰარისის ფიტულის დაწვასაც ხომ არ აპირებთ?**

— **კამალა ჰარისი** არარაობაა და არავითარი პოლიტიკური წონა ან ავტორიტეტი არ გააჩნია, მაგრამ ეს საკითხი დაფიქრებად მაინც ღირს... ამერიკის არჩევნებამდე ჯერ კიდევ დროა და ვნახოთ... ყოველ შემთხვევაში, ამერიკის საელჩოს წინ სამარცხვინო არარაობის კამალა ჰარისის ფიტულის დაწვის საკითხი განიხილება!

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*

## „ვინც ამბობს – გამსახურდია რუსებმა მოკლესო, არ დაავიწყდეს, რომ მაშინ რუსეთის ხელისუფლება ამერიკის მარიონეტი იყო!“



ბორის ელცინი და ბილ კლინტონი

## „ვაშინგტონის დასტურის გარეშე საქართველოს პირველ პრეზიდენტს თავიდან ერთი ღერი თმაც არ ჩამოუვარდებოდა!“





ჯორჯ ბუში და ბორის ელცინი

## „ელცინი, როგორც ამერიკელების აგენტი, აკეთებდა იმას, რასაც ბუში და კლინტონი უბრძანებდნენ!“


გენერალისიმუსი
2024 წლის 28 ოქტომბერი, №51-52 (287-288)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

*სამოქალაქო აქტივისტი გია ყრუაშვილი 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების გამომწვევ მიზეზებზე საუბრობს, თუმცა, აცხადებს, რომ სახელისუფლებო პარტიაში დაუყოვნებლივ წმენდაა დასაწყები:*



# გია ყრუაშვილი:

# ᲗᲣ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲕᲣᲓᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲪᲐᲕᲗ ᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ!

— „ქართული ოცნების“ გამარჯვება იმის შემდეგ აღარ გამკვირვებია, რაც 2024 წლის 23 ოქტომბერს თბილისში საკუთარი თვალით ვიხილე. ცხონებული ზვიადის პერიოდიდან მოყოლებული, უამრავ საპროტესტო აქციაზე ვყოფილვარ, ძალიან ბევრ და ხალხმრავალ მიტინგსაც დავსწრებივარ, მაგრამ ამდენი ქართველი ერთად არ მინახავს. 23 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ აქცია რომ დასრულდა, თავისუფლების მოედნიდან მეტრო „რუსთაველამდე“ ფეხით გამოვიარე და მთელ პროსპექტზე ხალხის ტევა არ იყო. რაც ყველაზე მთავარია, აქციაზე ვნახე ჩვენი ძმები, ჩვენი საერთო მეგობრები — ნაომარი და პატრიოტი ბიჭები, რომლებსაც თქვენც ძალიან კარგად იცნობთ და ყველა ვთანხმდებით ერთ რამეში —

**ᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲧᲕᲔᲓ ᲕᲔᲑᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲛ ᲞᲔᲓᲔ...ᲢᲔᲑᲡᲐ (ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲐ. ᲠᲔᲓ.) ᲓᲐ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔᲔᲑᲡ, ᲐᲜᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲕᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲗ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲢᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ!**

აქ უკვე „ქართულ ოცნებასა“ და არჩევნებში გამარჯვებაზე აღარ არის საქმე, აქ ქვეყანაა გადასარჩენი. ამიტომ მოვუწოდებ ამ პაჭაპუჭა პარტიებს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც პატრიოტობაზე აქვს პრეტენზია, გავერთიანდეთ და ამ ხელისუფლებას თავისი დანაპირები ბოლომდე მივაყვანინოთ — **ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲝᲡ ᲜᲐᲪᲮᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲓᲜᲔᲜ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲝᲜ ᲔᲡ ᲞᲔᲓᲔ...ᲢᲔᲑᲘ!** (ცენზურა ჩვენია. რედ.)

**— თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას დახმარება სჭირდება?**

— ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს რომ ვუყურე, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს კაცი მართლაც უდიდესი ზეწოლის ქვეშ ყოფილა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას ნამდვილად სჭირდება ხალხის გვერდით დგომა, მაგრამ ხელისუფლებაც უნდა დაუდგეს ხალხს გვერდით. დიდი ალბათობით, სწორედ ამ ზეწოლის შედეგი იყო, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში აღმოჩნდნენ **ᲘᲡᲔᲗᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲓᲔ...ᲢᲔᲑᲘᲡ** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ,** როგორებიც არიან — **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ, ᲐᲠᲛᲐᲖ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ, ᲫᲛᲔᲑᲘ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲣᲒᲝᲨᲕᲘᲚᲘ** და ა.შ. თურმე, **ᲜᲘᲜᲝ ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ** ყოფილა გმირი, რადგან ამ გამაუპატიურებლებს, ნარკობარიგებსა და გარყვნილებს უმღერის, ხოლო ჩვენ, ვისაც ამათი აღვირახსნილობა, ღალატი და გამყიდველობა ყელში გვაქვს ამოსული — რუსები!

არც 2012 წელს და არც ახლა „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი არ ვყოფილვარ, მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე, იძულებული გავხდი, მაინც „ქართული ოცნებისთვის“ მიმეცა ხმა, რადგან ამ **„ᲞᲔᲓᲔ...ᲢᲔᲑᲡᲐ** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **ᲓᲐ ᲒᲐᲗᲐᲮᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ** ორგანიზებულად და სახელმწიფო დონეზე სხვა ძალა ვერ ეწინააღმდეგება. მოკლედ, თუ საჭირო გახდება, ჩვენ დავუდგებით და დავიცავთ ამ ხელისუფლებას, მაგრამ ამ ხელისუფლებამაც უნდა მოგვცეს ამის საშუალება!

**— თქვენ ფიქრობთ, რომ არჩევნებში გამარჯვებულ ხელისუფლებას დაცვა დასჭირდება?**

— დიახ, დასჭირდება, რადგან ამ **ᲞᲔᲓᲔ...ᲢᲔᲑᲡᲐ** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **ᲓᲐ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ** უცხოეთიდან მილიონები შემოსდით და დავალება აქვთ მიღებული, რადაც უნდა დაუჯდეთ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება დაამხონ! საქართველოს უბედურებად და ტერიტორიების დაკარგვად დაუჯდა ის საბედისწერო შეცდომა, როცა ქართველმა ერმა ყურადღება მოადუნა და არ დაიცვა ბანდიტების, კრემლის აგენტებისა და ნარკომანების პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილი **ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ** ეროვნული ხელისუფლება. დღემდე ვიმკით ჩვენ იმ საშინელი შეცდომის შედეგებს...

შვილებისა და შვილიშვილების პატრონი იმერელი, ქართველი კაცი ვარ და თუ **ᲙᲔᲡᲐᲠᲘᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲚᲒᲑᲢ ᲒᲐᲗᲐᲮᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲛᲐ** უნდა დაიკავონ ჩვენი ადგილი, მაშინ მე და ჩემნაირები იარაღს ავიღებთ ხელში და ამ საქმეს შევეწირებით! ჩემსავით ბევრი ფიქრობს და ეს ამ ხელისუფლებამ კარგად გააცნობიეროს!

ჩემი ბიჭი გერმანიაში ცხოვრობს და გაოგნებულია — **ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲞᲔᲓᲔ...ᲢᲘ** (ცენზურა ჩვენია. რედ.) რამდენიც საქართველოშია, გერმანიაშიც კი არ არის! ბატონი ბიძინა „იმედის“ ეთერში გამოვიდა და თქვა — „ქართული ოცნების“ კარი ყველასთვის ღიააო! ლაპარაკი ერთია, მაგრამ „ქართული ოცნების“ კარი ჩემთვის და ჩემნაირებისთვის ყოველთვის დაკეტილი იყო. არადა, ამ დროს ის ნაცები, რომლებიც რკინიგზაში უმაღლეს თანამდებობებზე არიან მოკალათებული, გულში ჰყავთ ჩახუტებული. დიახ, ხარაგაულში, **ᲙᲝᲑᲐ ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** თავისთან არ მიმიღო მაშინ, როცა ნაცებს გვერდიდან არ იშორებს! ყველგან, ყველა სტრუქტურაში ასეა...

**— მაინც ვის გულისხმობთ, ვინ ჰყავთ ჩახუტებული, დააკონკრეტეთ!**

— „ქართულ ოცნებაშიც“ იციან იმ დახურული კვლევის შესახებ, რომელიც „საქართველოს რკინიგზაში“ არჩევნების წინ ჩატარდა. მიღებულ შედეგებს არ გავასაჯაროებ, რადგან უკვე ყველაფერი დასრულებულია, მაგრამ **ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲔᲑᲛᲐ, ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲔᲢᲘᲚᲛᲐ ᲛᲫᲝᲠᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲪ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲔᲑᲨᲘ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲡ ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲔᲜ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲚᲔᲑᲡ, ᲐᲜᲣ ᲜᲐᲪᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ.** აი, ამას უნდა მიხედვა...

ბოლოს და ბოლოს, უნდა გაირკვეს, ვინ დგას ამ ნაძირალა ხალხის უკან და რატომ ხდება, რომ ეს ნაგვები სულ პატივსა და დიდებაში არიან? თუ აინტერესებს, დამიბაროს ბატონმა ბიძინამ და მე ვეტყვი, რომელი ნაცი თანამდებობის პირი რა ტენდერებშია გარეული და რაში კეთდება მილიონები! დამღუპველმა კოჰაბიტაციამ ის შედეგი მოიტანა, რომ, თუ გინდა, „ქართულ ოცნებაში“ წინ წახვიდე, ან ნაცებიდან უნდა იყო გამოგდებული, ანდა იყო აგენტი! სიტუაცია ასეთია — გაბრაზდებიან, გამოვარდებიან „ქართული ოცნებიდან“ და შევარდებიან ნაცში, ხოლო ნაცები მოკალათებული არიან „ქართულ ოცნებაში“. აი, მაგალითად, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, იცით, რამ გამაოგნა? სანდრო გირგვლიანის საქმის გამომძიებლებს ჰქონდათ ჩაბარებული არჩევნების საქმე! გასაგებია, რომ გაწვებიან და დიდი ზეწოლის ქვეშ ხარ, მაგრამ ისიც ამერიკამ გადაწყვიტა, რომ მაინცდამაინც სანდრო გირგვლიანის საქმის გამომძიებლისთვის ჩაებარებინათ არჩევნები? აი, ეს უნდა დასრულდეს... ბიძინა ივანიშვილმა „იმედის“ ეთერში ისეთი რამეები ილაპარაკა, დიდი ალბათობით, ეს ყველაფერი დასრულდება!

**— მაინც რამ განაპირობა ამ არჩევნებში ხელისუფლების წარმატება?**

— „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები დიდი უპირატესობით იმიტომ მოიგო, რომ ნაცებს 20 ოქტომბერს თბილისში **„ᲞᲠᲐᲘᲓᲐᲜᲘ“** ჩაუფლავდათ! დიახ, ნაცები ოცნებობენ **„ᲛᲐᲘᲓᲐᲜᲖᲔ“,** მაგრამ 20 ოქტომბერს გამართეს **„ᲞᲠᲐᲘᲓᲐᲜᲘ“,** რომლის ორგანიზატორიც იყო **„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲞᲠᲐᲘᲓᲘ“, ᲐᲜᲣ ᲞᲔᲓᲔ...ᲢᲔᲑᲘ!** (ცენზურა ჩვენია. რედ.)

როგორც ძველი მემანქანე, ვაცხადებ, რომ **ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲓᲔ...ᲢᲔᲑᲘᲡ** (ცენზურა ჩვენია. რედ.) მატარებელმა ჩაიარა, მაგრამ

**ᲣᲙᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲗ ᲙᲣᲑᲝᲖᲔ ᲑᲝᲚᲝ ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲘ ᲓᲐᲕᲐᲭᲔᲓᲝᲗ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲨᲘ“ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲬᲛᲔᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲡ!**

*ესაუბრა*
***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***


Tbilisi Pride
5d ·

❗ 20 ოქტომბერს, 17:00 საათზე, არჩევნებამდე ბოლო მარში ევროპისთვის.

👉 შემოგვიერთდით ხუთი ლოკაციიდან:



**„ნაცები ოცნებობენ „მაიდანზე“, მაგრამ 20 ოქტომბერს გამართეს „პრაიდანი“, რომლის ორგანიზატორიც იყო „თბილისი პრაიდი“, ანუ პედე...ტები!“**

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲙᲐᲮᲐ ᲫᲐᲒᲐᲜᲘᲐ**
*„მემარცხენე ალიანსის“ წევრი*



შენ რომ კონსტიტუციისა და კანონების მიღმა რაღაც ქარტიებს ადგენ და ხელს აწერ, ესე იგი, **რაღაც არეულობას აპირებ;** შენ, პრეზიდენტი, რომელიც კონსტიტუციის მთავარი დამცველი უნდა იყო, **როგორ შედიხარ არაკონსტიტუციურ პროცესში?** მთავრობა არსებობს ერთი, რომელიც არის კონსტიტუციით და რომელსაც ირჩევს პირველ ადგილზე გასული, გამარჯვებული პარტია და მორჩა. ეს შავით თეთრზე წერია კონსტიტუციაში და **რა ტექნიკური მთავრობა, რატომ ატყუებთ ამ ხალხს, კაცო?**

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**ᲖᲐᲖᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*მომღერალი, ყოფილი პარლამენტარი*



ერთ-ერთი რთული პერიოდი პარლამენტში მუშაობას უკავშირდება. მაშინ დავინახე, რომ **ოპოზიციის გარკვეული ნაწილიდან ჩვეულებრივი ფრონტი გაიხსნა ჩემი მიმართულებით.** მაბრალებდნენ ყველაფერს, წერდნენ ათას სისულელეს, ისეთ რამეს, რაც არ მითქვამს. **ძალიან მძიმეა, როცა ადამიანს დაუმსახურებლად ლანძღავ.**

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ“

**ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐ**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ არ იყოს ომი!** ახლობელმა ოპერაცია გაიკეთა, გადარჩა. **არც სახლი ჩაუდია ხაზარაძის ბანკში და არც საცხოვრებელი გაუყიდია, როგორც სააკაშვილის დროს ხდებოდა.** მერიამ, ჯანდაცვის სამინისტრომ, ცოტაც მეზობლებმა შევუქუჩეთ და... **აგრძელებს ცხოვრებას!**

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲚᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*კონსტიტუციონალისტი*



ამ ქვეყნის მოქალაქეებს ყველაფერი უკვე ნანახი გვაქვს — **ომი, გადატრიალება, ღალატი, ერთმანეთის ქიშპობა, გაუტანლობა, სიდუხჭირე, სოციალური გაჭირვება.** მეტი რაღა უნდა მოხდეს, რომ გაგვიკვირდეს.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-44



# ლაზარე ჯორბენაძე:

# ზურაბ ჟვანიას მკვლელობას ჰქონდა ერთადერთი მიზეზი – დაპირისპირება სააკაშვილთან „საქართველოს რკინიგზის“, ფოთის პორტისა და კაზრეთის ოქროს გამო!

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე სააკაშვილისა და მისი ხროვის მიერ შევარდნაძის ხელისუფლების მაღალჩინოსნებისა და ცნობილი ბიზნესმენების დაყაჩაღება-გატყავების ისტორიებს იხსენებს და აცხადებს, რომ, სადაც კი მიტაცებული ქონების გადაფორმება ხდებოდა, ყველგან და ყველაფერში მონაწილეობდა ზურაბ ადეიშვილის „ღამის ნოტარიუსი“ ნუნუ გინტური, რომელიც დღეს პატიმარია, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ადეიშვილის სასამართლო და პროკურატურა აუცილებლად გაათავისუფლებს:***

— უპირველეს ყოვლისა, მადლობა უფალს, რომ ქართველმა ერმა 2024 წლის 26 ოქტომბერს ღირსეული არჩევანი გააკეთა და კიდევ ერთხელ უარი უთხრა მწამებლების, გამაუპატიურებლების, უცხო ქვეყნის აგენტებისა და საერთაშორისო სოდომისტების პარტიას — **კოლექტიურ ნაცმოძრაობას!** ღმერთმა დაგვიფარა, რომ ეს ყაჩაღები ხელისუფლებაში არ მობრუნდნენ... თუ როგორი ყაჩაღები არიან ესენი, ამის დასადასტურებლად ერთ ფაქტს მოგიყვანთ. **გიგი უგულავას** მერობის დროს მთელ თბილისში ხელყვეს ტრამვაისა და ტროლეიბუსის ხაზები — ტონობით სპილენძი, ალუმინი და ასეულობით ტონა რელსი... მთელი ეს ლითონი ჯართში ჩააბარეს და მილიონები ჯიბეში ჩაიდეს. ტრამვაის ვაგონებსა და ტროლეიბუსებზე აღარაფერს ვამბობ... კაციშვილი არ დაინტერესებულა, სად წავიდა ეს ფული! რაც შეეხება ცნობილი ბიზნესმენებისა და შევარდნაძის მაღალჩინოსნების გატყავებას, მოდით, დავიწყოთ „საქართველოს რკინიგზის“ ყოფილი შეფით **აკაკი ჩხაიძით,** რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც გააკულაკეს. **აკაკი ჩხაიძეს** სააკაშვილმა, ჩემი ინფორმაციით, 18 მილიონი დოლარი წაართვა! ოფიციალურად 724 ათასი ლარი შეატანინეს ბიუჯეტში, მაგრამ არაოფიციალურად 7 მილიონი დოლარი წაართვეს **მერაბ ჟორდანიას,** რადგან მან ფულის გიჟ სააკაშვილსა და მის სავირთხეთს არ გაუხსნა ფეხბურთის ფედერაციის ის არხები, რომელთა მეშვეობითაც „ფიფასა“ და „უეფას“ მილიონებს ადვილად მიიტაცებდნენ. დაიჭირეს ცნობილი ბიზნესმენი **თამაზ ელიზბარაშვილი...** ათეულობით მილიონის ქონება წაართვეს დიდებულ კაცს, ღირსეულ ქართველს **ანზორ ქოქოლაძეს.** სხვათაშორის, ამ სატანებმა მე რომ დამიჭირეს და გლდანის მე-8 დაწესებულებაში გამომკეტეს, **თამაზ ელიზბარაშვილი და ანზორ ქოქოლაძე** ჩემს კორპუსში იხდიდნენ სასჯელს. ერთიც და მეორეც იქცეოდნენ ვაჟკაცურად — ანზორმა სულ ტელევიზორები აჩუქა და დაუდგა კამერებში პატიმრებს, ხოლო თამაზი, ფაქტობრივად, მთელ კორპუსს აჭმევდა და ასმევდა, პატიმრებს კი ფილტრიან სიგარეტებს უგზავნიდა!

**— აკაკი ჩხაიძეს რატომაც დაებღვნენ გასაგებია, მაგრამ აქ პიროვნული ფაქტორი იყო გადამწყვეტი თუ მხოლოდ სისტემისა და სტრატეგიული ობიექტის ხელში ჩაგდების სურვილი?**

— აკაკი ჩხაიძე ცუდი კაცი არ არის, ბევრს ეხმარებოდა და პატივს სცემდა, მაგრამ იყო შევარდნაძის კორუმპირებული ნომენკლატურის ნაწილი, რომელსაც მაშინდელი **დსთ**-ის ბევრ წარჩინებულ და გავლენიან პირთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. საერთოდ, **ზურაბ ჟვანიას** მკვლელობას ჰქონდა ერთადერთი მიზეზი — დაპირისპირება სააკაშვილთან „საქართველოს რკინიგზის“, ფოთის პორტისა და კაზრეთის ოქროს გამო! **ჟვანია აკონტროლებდა ფოთის პორტსა და კაზრეთის ოქროს, რაც სააკაშვილს აგიჟებდა.** სააკაშვილმა მოახერხა და ფოთში ჩასვა თავისი ხელისბიჭი — ნარკომანი **კეზერაშვილი,** მაგრამ „საქართველოს რკინიგზა“ და კაზრეთის ოქრო მაინც მისი კონტროლის გარეთ იყო.

ჟვანიას მკვლელობის შემდეგ სააკაშვილმა კაზრეთის ოქროც დაითრია, სადაც თავისი მეორე ხელისბიჭი **კობა ნაყოფია** მიავლინა. რაც შეეხება რკინიგზას, მის ხელში ჩაგდებაზე პირდაპირ აბოდებდა სააკაშვილის ბიძას **თემურ ალასანიას.** სააკაშვილსა და თემურ ალასანიას გეგმა ასეთი ჰქონდათ — „საქართველოს რკინიგზა“ ხელში უნდა ჩაეგდოთ, გაეკოტრებინათ და მერე, როგორც სტრატეგიული ობიექტი, მიეყიდათ რუსეთისთვის! მოკლედ, როგორც **ზურაბ ნოღაიდელმა და ნიკა გილაურმა** „ენერგოპრო-ჯორჯია“ და მთელი საქართველოს ენერგოგენერაცია მიჰყიდეს რუსეთს და სინამდვილეში **ნოღაიდელის** ბიზნესის უკან სააკაშვილი იდგა, სწორედ იმავე სქემით უნდა მიეყიდათ კრემლისთვის რკინიგზა. ამას ეწინააღმდეგებოდა **ჟვანია,** რადგან ძალიან მომგებიანი სისტემა თავისთვის უნდოდა. ეს ყველაფერი, რაც მე ახლა მოგითხრეთ, სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ საქართველოს გენერალურ პროკურატურას დიდი ხანია, სძინავს!

**— კი მაგრამ, ზურაბ ნოღაიდელის ბიზნესის უკან დღესაც სააკაშვილი დგას?**

— ზურაბ ნოღაიდელს ხახვივით შერჩა ის ფული, რომელსაც ეგ და **რამაზ ნიკოლაიშვილი** საქართველოს ენერგოგენერაციასა და „ენერგოპრო-ჯორჯიაში“ ერთად აკეთებდნენ. ვიმეორებ: ზურაბ ნოღაიდელის ბიზნესის უკან სინამდვილეში მიხეილ სააკაშვილი იდგა, მაგრამ დღეს რა ხდება მათ შორის, არ ვიცი. ერთი რამ საქვეყნოდ ცნობილია — ნოღაიდელს სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში ჩვენება აქვს მიცემული! ასე რომ, **ყველაფერი იმ ავბედით დღეს, 2005 წლის 3 თებერვალს, არ დაწყებულა, როცა „მოქალაქეთა კავშირის“ ვაშლიჯვრის ოფისში ჰეროინით გაბრუებული და გაგიჟებული სააკაშვილი ჟვანიას დედის გინებით მიუვარდა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი თავში საფერფლის ჩარტყმით იატაკზე დააგდო.** სხვათაშორის, ჟვანია იქ არ მომკვდარა, გათიშული იყო, მერე მოკლეს და სხეულში CO-ს შეშხაპუნება სცადეს, ვითომ მხუთავმა გაზმა გაგუდა... მოგეხსენებათ, იმ დღეს სააკაშვილის კორტეჟს შემთხვევით ვიღაც სომხის ბიჭი დაეჯახა და ჰეროინით გაგლეჯილ, კაიფში მყოფ სააკაშვილს ზურაბ ჟვანიას პირადმა მტრებმა ენა მიუსისინეს — **ბატონო მიხეილ, ხომ ხედავ, ამ სომეხმა თქვენს მოსაკლავად სომხის ბიჭი დაიქირავაო!** აი, ამის მერე მიუვარდა ეს სულელი და მკვლელი საცოდავ ჟვანიას ვაშლიჯვრის ოფისში, რომელიც იქ დაცვის ორ წევრთან და კიდევ ერთ მეგობარ ბიზნესმენთან საუბრობდა და ყავას სვამდა. ხომ გეუბნებით, **სინამდვილეში ამ დაპირისპირების მიზეზი იყო რკინიგზა, ფოთის პორტი და კაზრეთის ოქრო!**

**— მივუბრუნდეთ აკაკი ჩხაიძის დაჭერას!**

— ჩხაიძემ იცოდა, რომ სააკაშვილი არ დაინდობდა, ხოლო მისი დაგეშილი ძაღლი — გენერალური პროკურორი **ირაკლი ოქრუაშვილი** დაჭერას უპირებდა. სხვათაშორის, **ირაკლი ოქრუაშვილი** სააკაშვილის სავირთხეთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო კორუმპირებული პირია, რომელსაც ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრის მოადგილეობის დროს (როცა სააკაშვილი შევარდნაძის იუსტიციის მინისტრი იყო), „ჯეოსელის“ საქმეზე 300 ათასი დოლარი ქრთამის სახით მიუტანეს! სააკაშვილმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა ნაცმოძრაობის გასაძლიერებლად გამოიყენა და, ფაქტობრივად, თბილისის ბიუჯეტი ნაცმოძრაობის პარტიულ ყულაბად გადააქცია. ამას დაემატა ისიც, რომ მალე მას ამერიკელებმა ჯერ 5 მილიონი დოლარი გადმოუგდეს, მერე — 30 მილიონი,, ხოლო ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დროს — 50 მილიონი! მოკლედ, 2003 წლის 30 დეკემბერს **აკაკი ჩხაიძეს** ბათუმის საავადმყოფოში ბრალი წაუყენეს, ხოლო 2004 წლის 16 იანვარს პირადად გიორგი ბარამიძის ხელმძღვანელობით, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, სპეცრაზმი შეიჭრა ბათუმში და აკაკი ჩხაიძე გამოიტაცეს თბილისისკენ. თავიანთი მოქმედება ასე ახსნეს — **ინფორმაცია გვქონდა, რომ 17 იანვარს ჩხაიძე ქვეყნიდან მიიპარებოდაო!** ეს ყველაფერი მოხდა ისე, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი **ჯემალ გოგიტიძე** საქმის კურსში არ ყოფილა. ჩოლოქის პოსტზე ეს ჭინკები გააჩერეს, თბილისისკენ არ უშვებდნენ და კინაღამ უბედურება დატრიალდა... რომ არა ჯემალ გოგიტიძის გონიერება, რომელიც მართლა ძალიან კარგი კაცი იყო და მოსკოვში მოკლეს, სააკაშვილი აჭარაში ომს დაიწყებდა და უბედურება დაგვემართებოდა. ჯემალი მიხვდა, რომ ქვეყნის მტრებთან ჰქონდა საქმე და დათმო — ეს პროვოკატორები გამოატარა. სხვათაშორის, ჯემალს ასე მოქცევა ურჩია ცხონებულმა **რომან დუმბაძემ,** რომელიც ხელვაჩაურში რომ რუსეთის ბაზა იდგა, იქ მსა-








# „ბანკ „კონსტანტას“ ისევე, როგორც ანზორ ქოქოლაძის საქმეში, აქტიურად მონაწილეობდა ზურაბ ადეიშვილის „ღამის ნოტარიუსი“ ნუნუ გინტური, რომელიც ძალიან ჭკვიანი იურისტია, იგი დღეს ციხეშია და დიდი ეჭვი მაქვს, რომ გამოუშვებენ, რადგან იმ დანაშაულებრივი სისტემის ნაწილია, რომელიც ზურაბ ადეიშვილმა შექმნა და დღესაც მოქმედებს!“





# „აი, ასე ჩაიგდო ხელში მამუკა ხაზარაძემ 14 მილიონ ლარად ანზორ ქოქოლაძის 275-მილიონიანი „ელიტ-ელექტრონიქსი“!

ხუროზდა ბატალიონის უფროსის მოადგილედ. ბატალიონის უფროსი მაშინ გახლდათ **გენერალი ბორისოვი.** ნიშანდობლივია, რომ **ჯემალ გოგიტიძეც და რომან დუმბაძეც,** რომლებმაც სააკაშვილის შესახებ ძალიან ბევრი რამ იცოდნენ, სწორედ მოსკოვში მოკლეს!

**— მაინც რა იცოდნენ?**

— **ჯემალ გოგიტიძემ** და გენერალმა **რომან დუმბაძემ** დეტალურად იცოდნენ იმ ანტიკვარების შესახებ, რომლებიც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ე.წ. „აჭარის რევოლუციის“ დღეებში ბათუმიდან გაიტაცეს! მოკლედ, **აკაკი ჩხაიძე** ჩამოიყვანეს თბილისში და გამოკეტეს მე-7 იზოლატორში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდა. იქ საშინელებები ხდებოდა, რაც **აკაკი ჩხაიძეს** აყურებინეს... იმ უბედურების შემხედვარე **ჩხაიძემ** ბიუჯეტში სასწრაფოდ შეიტანა ე.წ. „საგადასახადო დავალიანება“ — 134 121 ლარი, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჩემი ინფორმაციით, მას 18 მილიონი დოლარი გადაახდევინეს, რომელიც ისევ და ისევ სააკაშვილის ოფშორებში წავიდა. ასე ჩაიგდო სააკაშვილმა ხელში რკინიგზა, რომელსაც აკონტროლებდნენ **თემურ ალასანია და ზურაბ ადეიშვილი.** ადეიშვილის გარეშე რკინიგზაში არაფერი ხდებოდა... ფორმალურად კი რკინიგზას სათავეში ჩაუყენეს და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს პარლამენტის წევრი და სააკაშვილის მეგობარი, რომელიც ჩემი ოჯახის ნათელ-მირონია. ეს კაცი ოფშორებში სააკაშვილის სახელზე ასეულობით მილიონებს ქაჩავდა... როგორც ვიცი, 100 მილიონ დოლარზე მეტი იშოვა და დღეს ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტის მრჩეველია.

**— რა მოხდა ბანკ „კონსტანტასთან“ დაკავშირებით და როგორ აღმოჩნდა ის მამუკა ხაზარაძის ხელში?**

— ბანკ „კონსტანტას“ ისევე, როგორც ანზორ ქოქოლაძის საქმეში, აქტიურად მონაწილეობდა **ზურაბ ადეიშვილის „ღამის ნოტარიუსი“ ნუნუ გინტური,** რომელიც ძალიან ჭკვიანი იურისტია, იგი დღეს ციხეშია და დიდი ეჭვი მაქვს, რომ გამოუშვებენ, რადგან იმ დანაშაულებრივი სისტემის ნაწილია, რომელიც ზურაბ ადეიშვილმა შექმნა და დღესაც მოქმედებს! გაგახსენებთ ფაქტს — ნუნუ გინტურს ნოტარიუსის ლიცენზია ჩამოართვეს, მაგრამ სასამართლოს ძალით ლიცენზია დაიბრუნა და გამართლდა. როგორ მოხდა ეს ამბავი? ძალიან მარტივად... საქმე ის გახლავთ, რომ სასამართლოს დღემდე აკონტროლებს **სააკაშვილისა და ადეიშვილის კლანი,** რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ არ დაანგრია. გაგახსენებთ სააკაშვილისა და ადეიშვილის საუბრის ჩანაწერს კიევის საუნაში... იქ ადეიშვილი სააკაშვილს ეუბნება — **„ხომ იცი, სასამართლო ჩვენია!“** სასამართლო მართლაც ამათია და იმიტომაც აღუდგინეს გინტურს ჩამორთმეული ნოტარიუსობა... რაც შეეხება „კონსტანტას“ საქმეს, აქ **მამუკა ხაზარაძისა და ნუნუ გინტურის** მონაწილეობით, ძალიან მარტივი სქემა აამოქმედეს — „კონსტანტა ბანკის“ გამგეობის თავმჯდომარე **თამარ ლებანიძე,** მისი ძმა და მთელი სამეთვალყურეო საბჭო ღამით წაიყვანეს ზურაბ ადეიშვილის გენერალურ პროკურატურაში, სადაც ასევე მიიყვანეს ნოტარიუსი **ნუნუ გინტური,** ეროვნული ბანკის წარმომადგენელი და **მამუკა ხაზარაძის** „თიბისი ბანკის“ წარმომადგენელი. „კონსტანტა ბანკს“, რომელიც საქართველოში 60 ფილიალს ფლობდა, „თიბისი ბანკისგან“ აღებინეს 12 მილიონ 500 ათასი ლარის სესხი და ეს თანხა ოფიციალურად მაშინვე გადარიცხეს ვითომ სახელმწიფო ბიუჯეტში. სინამდვილეში ეს ფულიც წავიდა იმ გაურკვეველი დანიშნულების ე.წ. ფონდში, რომელსაც სააკაშვილი და მისი საახლობლო აკონტროლებდნენ. მეორე დღესვე ჩაატარეს სასამართლო პროცესი, და-ძმა ლებანიძეებსა და „კონსტანტას“ დაპატიმრებულ თანამშრომლებს გაუფორმეს საპროცესო შეთანხმება, რის შემდეგაც ყველანი გარეთ გამოუშვეს, ხოლო ბანკი „კონსტანტა“ გადავიდა „თიბისი ბანკის“ მმართველობის ქვეშ. ეს მოხდა 2011 წლის მაისში...

**— ანზორ ქოქოლაძეს „ელიტ-ელექტრონიქსი“ როგორ წაართვეს?**

— ბიზნესმენი **ანზორ ქოქოლაძე** 2010 წლის 3 აგვისტოს დაიჭირეს და მის წინააღმდეგაც აპრობირებული სქემა გამოიყენეს — **მამუკა ხაზარაძე-ნუნუ გინტური-პროკურატურა-სასამართლო...** მაგრამ ამ საქმეში მონაწილეობა მიაღებინეს **კეზერაშვილსაც,** რომელმაც უბინძურესი დავალებები პირნათლად შეასრულა.

**— კერძოდ!**

— დავიწყოთ იმით, რომ მაშინ **ანზორ ქოქოლაძეს** საქართველოში „ელიტ-ელექტრონიქსის“ 58 მაღაზია და წლიურად 725 მილიონ ლარზე მეტი ბრუნვა ჰქონდა. ანზორი ძალიან ბევრ ვინმეს ეხმარებოდა, რაც სააკაშვილს აგიჟებდა...

**— რატომ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ უამრავ სხვა უბედურებასთან ერთად სააკაშვილს ერთი უზნეობაც სჭირს — ძალიან აღიზიანებს, როცა ქველმოქმედება მისი სახელით არ ხდება! აქედან გამომდინარე, 2007 წლის აგვისტოში ანზორ ქოქოლაძეს უკვე დაუწყეს ძიძგილაობა და კომპანიის წართმევა დაუპირეს. კერძოდ, შეთითხნილი ბრალდებებით თანამშრომელი დაუჭირეს და აიძულებდნენ, ანზორისთვის ხელი დაედო. **კეზერაშვილის დავალებით, „ელიტ-ელექტრონიქსში“ სასწრაფოდ შეგზავნეს საგადასახადო სამსახური, რომელმაც ანზორ ქოქოლაძეს 14 მილიონი ლარის ჯარიმა დააკისრა.** ბუნებრივია, ამოდენა თანხის გადახდა ადვილი საქმე არ იყო... პარალელურად ანზორს ემუქრებოდნენ — სასწრაფოდ ჯარიმა გადაიხადე, თორემ ოჯახის წევრებს და ნათესავებს დაგიპატიმრებთო. უცბად საქმეში გამოჩნდა **მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკი“,** რომელმაც ანზორ ქოქოლაძეს ცოტა ხნით ადრე 1 მილიონი დოლარის სესხად მიცემაზე უთხრა უარი, მაგრამ ახლა 6 მილიონ დოლარზე, ანუ 15 მილიონ ლარზე, უპრობლემოდ გასცა საგარანტიო წერილი. ყველაფრიდან ჩანს, რომ **ეს იყო სააკაშვილის, კეზერაშვილისა და მამუკა ხაზარაძის მიერ დაგეგმილი სპეცოპერაცია,** რათა ანზორ ქოქოლაძისთვის „ელიტ-ელექტრონიქსი“ წაერთმიათ. მოკლედ, ანზორს აწვებოდნენ, რადგან ვალს ვერ გვიბრუნებ, კომპანიის 51 პროცენტი დაგვითმეო! ქოქოლაძემ ივარგა და გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც „ელიტ-ელექტრონიქსში“ აქციათა პაკეტი უნდა ეყიდა „ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს“. ცხადია, თუ ეს მოხდებოდა, სააკაშვილი, კეზერაშვილი და ხაზარაძე დარჩებოდნენ მშრალზე... ამიტომ ანზორ ქოქოლაძეს ამ გაფუჭებულებმა გაუჩალიჩეს უცნაური რამ — **2009 წლის აგვისტოში პირდაპირ სასამართლოს განჩინებით, მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკს“ გადაუფორმეს „ელიტ-ელექტრონიქსის“ აქციათა 55 პროცენტი, რითიც შექმნეს საფუძველი, რომ კომპანიაში მმართველად მამუკა ხაზარაძის ბანკის მენეჯმენტი შესულიყო.** გაგიკვირდებათ და ამ შემთხვევაშიც ივარგა ქოქოლაძემ...

**— მაინც რა გააკეთა?**

— მან მოასწრო და წესდებაში ცვლილება შეიტანა, რომლის თანახმადაც მენეჯმენტის შესაცვლელად აუცილებელი იყო კომპანიის 75-პროცენტიანი წილის ფლობა. სიტუაცია გაიჭედა — ეს მათხოვრები და ჩათლახები „ელიტ-ელექტრონიქსში“ ვერც შედიოდნენ, მაგრამ ანზორსაც არ ეშვებოდნენ. აი, ასეთ სიტუაციაში სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, კომპანიაში **ანზორ ქოქოლაძის** წილის იძულებით გამოსყიდვის შესახებ, ანუ სასამართლომ ანზორ ქოქოლაძე აიძულა, კომპანიის წილი გაეყიდა. ანზორი მართლაც იძულებული ხდებოდა, თანხა გადაეხადა, მაგრამ 14 მილიონი ლარი არ ჰქონდა... აი, სწორედ ასეთ სიტუაციაში იგი დაიჭირეს, დააპატიმრეს მისი თანამშრომლები, სიძე და იძულებით დაათმობინეს ყველაფერი, ხოლო 2011 წლის აპრილში 7 წელი მიუსაჯეს და როცა კაცი პირწმინდად გაძარცვეს, სააკაშვილმა ის შეიწყალა! მამუკა ხაზარაძის ბანკმა ანზორ ქოქოლაძისთვის წართმეული ქონება მიჰყიდა „სანპეტროლიუმ ჯორჯიას“, ანუ იმავე **„ბალფის“,** რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი იყო კეზერაშვილის ახლო ნათესავი **მიხეილ ბენიამინი,** ხოლო სამეთვალყურეო საბჭოში დანიშნეს „სანპეტროლიუმ ჯორჯიას“ ერთ-ერთი დირექტორი **ბროსმანი.** ჩვენი, ქართული მხრიდან კომპანიაში ერთ-ერთ დირექტორად დანიშნეს **იოსებ მგელაძე,** რომელიც **დავით კეზერაშვილის მამის შოთა კეზერაშვილის** წარმომადგენელია საჯარო რეესტრში.

**— მამუკა ხაზარაძის დანაშაული, რაც მან „ელიტ-ელექტრონიქსის“ მიტაცების საქმეში ჩაიდინა, რა მუხლით კვალიფიცირდება?**

— „ელიტ-ელექტრონიქსის“ საქმეში **მამუკა ხაზარაძემ** ჩაიდინა სისხლის სამართლის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც სხვისი ქონების მითვისებასა და გაფლანგვას გულისხმობს! აი, ასე ჩაიგდო ხელში **მამუკა ხაზარაძემ** 14 მილიონ ლარად **ანზორ ქოქოლაძის** 275-მილიონიანი „ელიტ-ელექტრონიქსის“ ქონება, ხოლო ყველა ის მოსამართლე და პროკურორი, რომლებმაც ანზორ ქოქოლაძის „ელიტ-ელექტრონიქსის“ მიტაცება სააკაშვილს, კეზერაშვილსა და მამუკა ხაზარაძეს დაუკანონეს, დღეს მაღალ თანამდებობაზეა!

მოკლედ, ჩვენ გვყავს სასამართლო და პროკურატურა, რომელიც გამოტენილია სისხლის სამართლის დამნაშავეებით! რაც შეეხება ნოტარიუს **ნუნუ გინტურს,** თუკი სადმე მიტაცებული ქონების გადაფორმება ხდებოდა, იგი თითქმის ყველგან და ყველაფერში მონაწილეობდა. დაახლოებით თხუთმეტამდე ასეთი სკანდალური საქმე მარტო მე ვიცი!



**„ჯემალ გოგიტიძემ და გენერალმა რომან დუმბაძემ დეტალურად იცოდნენ იმ ანტიკვარების შესახებ, რომლებიც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ე.წ. „აჭარის რევოლუციის“ დღეებში ბათუმიდან გაიტაცეს!“**



*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# რა უნდა იცოდეს ქართველმა აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?

დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2024 წლის №29–44

***მე-10 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი აფხაზეთად წოდებულ ქვეყანას ეგრისს უწოდებს, ხოლო ამ ქვეყნის მეფეებს — ეგრისის მეფეებს. კიდევ უფრო საინტერესოა მე-12 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობა, სადაც ის წერს, რომ აფხაზეთში მცხოვრები ხალხი მე-5 საუკუნეში მოღვაწე ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასლის ჩამომავალია.***

აკადემიკოს **მარიკა ლორთქიფანიძის** მოსაზრების თანახმად, ტერმინი **აფხაზთა მეფე** მხოლოდ მე-10 საუკუნის მიწურულიდან ჩნდება და ისიც მას შემდეგ, რაც ქუთაისში ერთიანი საქართველოს პირველი მეფის **ბაგრატ მესამის** (975-978-1014 წ.წ.) კორონაცია მოხდა. მანამდე მთელი დასავლეთ საქართველოს და, მათ შორის, დღევანდელი აფხაზეთის მეფეებს, რომლებიც ქართლზეც ავრცელებდნენ თავიანთ პოლიტიკურ გავლენას, არც **კონსტანტინე მესამეს** (893-922 წ.წ.), არც **გიორგი მეორეს** (922-957 წ.წ.) და არც **ლეონ მესამეს** (957-967 წ.წ.) თავიანთი თავისთვის **აფხაზთა მეფე** არ უწოდებიათ.

ეს ტენდენცია აისახა მე-10 საუკუნის დასაწყისში ქართული ნუსხა-ხუცურით შესრულებულ ცნობილ ძეგლში — „აფხაზთა მეფეთა დივანი“. ამ ძეგლს აფხაზეთის, ანუ მთელი დასავლეთ საქართველოს მეფის — **კონსტანტინე მესამის** (893-922 წ.წ.) დროის **„მეფეთა დივანი“** ერქვა, ხოლო **ბაგრატ მესამის** (975-978-1014 წ.წ.) დროიდან მოყოლებული **„აფხაზთა მეფეთა დივანი“** ჰქვია.

მე-10 საუკუნის მიწურულს საქართველოში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები, როგორც ჩანს, ჩვენს სამეზობლოშიც კარგად გაითავისეს. ამის უტყუარი ნიშანი ისიც უნდა იყოს, რომ მე-11 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი **არისტაკეს ლასტივერტცი,** იოანე დრასხანაკერტელისგან განსხვავებით, **ეგრისსა** და **ეგრისის მეფეებს** უკვე აღარ ახსენებს და მათ ნაცვლად შემოაქვს ახალი ტერმინები — **აფხაზეთი** და **აფხაზეთის მეფე.** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ბიზანტიელი თუ არაბი ისტორიკოსები ხშირად ქართველ მეფეებს მოიხსენიებდნენ ერთადერთი ტერმინით — **აფხაზი,** ანუ **აფხაზი და ქართველი** მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში იდენტური ცნებები იყო!

რაოდენ სამარცხვინოა, რომ **„აფხაზთა მეფეთა დივანი“,** რომელიც მე-10 საუკუნის ქართული ძეგლია და ქუთაისის საჭურჭლეში, ანუ სამეფო სალაროში ინახებოდა, 1979 წელს აფსუებმა აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში უსირცხვილოდ გამოფინეს, როგორც **„აფსუათა ენაზე შესრულებული ისტორიული დოკუმენტი“** და დამთვალიერებლებსაც ასე წარუდგინეს — ეს ჩვენი ისტორიული ძეგლიაო!

ეს იგივეა, შუმერული ლურსმული წარწერები, მაგალითად, გილგამეშისა და ენქიდუს ამბის ამსახველი თიხის ფირფიტები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გამოვფინოთ და შინაურსა თუ გარეულს უსირცხვილოდ ვუმტკიცოთ — ძველი წელთაღრიცხვის მე-4 ათასწლეულში ქართველებს უკვე დამწერლობა გვქონდა, შეხედეთ და დატკბითო!

სამართლიანობა მოითხოვს, ვაღიაროთ, რომ შუმერულ და უძველეს ქართულ ცივილიზაციებს შორის უფრო მეტია საერთო, ვიდრე ქართულსა და აფსუურს შორის, რომელშიც „ბორბლის, ზღვისა და ნავის“ აღმნიშვნელი სიტყვებიც კი არ არსებობს — ბორბალს **აბორბალს** ეძახიან, ზღვას — **ამორეს,** ხოლო ნავს — **ალოდკას ან აშხუნას,** რაც ინგლისური შხუნადან მომდინარეობს...

სწორედ უსინდისობა, უნამუსობა და ძალმომრეობა იყო იმ ბინძური აპარტეიდის საფუძველი, რომელსაც კრემლის მიერ ზურგგამაგრებული ერთი მუჭა აფსუები ქართველების წინააღმდეგ აფხაზეთში ახორციელებდნენ და რის შესახებაც ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი **ავთანდილ სონღულაშვილი** თავის მონოგრაფიაში — **„აფხაზი თუ აფსუა“** — წერს:

*„აფხაზეთის საოლქო კომიტეტი და მინისტრთა საბჭო არ ასრულებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის №338 დადგენილებას, 1975 წლიდან სოხუმში წელიწადში ორჯერ ქართულ ენაზე ალმანახის გამოცემის შესახებ!“*

მოგეხსენებათ,

## 1974 წელი შევარდნაძის ეპოქა იყო და აფხაზეთში ქართველთა აპარტეიდის გამო სწორედ შევარდნაძეს უნდა დაერისხებინა განგაშის ზარები, მაგრამ მას მაშინ სულ სხვა გეგმები ჰქონდა,

## რადგან ჯერ ლაზიშვილები და მეღვინეები ჰყავდა დასაჭერი

და ორ ფრონტზე ვერ იბრძოლებდა. ამდენად, მან აფსუებს დაუყვავა, თავზე ხელი გადაუსვა და რისი მიცემაც შეიძლებოდა, ყველაფერი მისცა, ხოლო ქართველები ციხეში გამოამწყვდია და გამაუპატიურებელი ცირეკიძე მიუქსია!

აკადემიკოსი **გიორგი ჩიტაია** წერდა:

*„იმას, რაც ხალხის მეხსიერებამ შემოინახა და თაობიდან თაობას გადასცა, ვერავითარი დოკუმენტი ვერ შეედრება. ხალხის მეხსიერება არის ყველაზე სანდო წყარო ისტორიული კანონზომიერების ასახსნელად.“*

თუ **ე.წ. აფხაზების,** ანუ სინამდვილეში საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუების ისტორიულ მეხსიერებას **აკადემიკოს ჩიტაიას** ფორმულის მიხედვით განვსჯით, მაშინ იქ დიდ გაურკვევლობასა და სიურპრიზებს წავაწყდებით. საქმე ის გახლავთ, რომ აფსუების ისტორიული მეხსიერებისთვის უცხოა თვით მეფე **ლეონ მეორეც** (753-792 წ.წ.) კი, რომელიც აფსუებმა თავიანთ **პირველ მეფედ** გამოაცხადეს და **ე.წ. დამოუკიდებელი აფხაზეთის** სახელმწიფო მარკაზეც მისი სახე გამოსახეს, რომელიც, რა თქმა უნდა, ხელოვნურად არის შექმნილი.

დიახ, აფსუათა მითებსა და ეპოსში **მეფე ლეონ მეორის** ხსენება არ არის ისევე, როგორც არსად იხსენიება არც **დავით აღმაშენებელი** და არც **თამარ მეფე,** რომლის დროსაც **დოთაღო შარვაშიძე** ცხუმის ერისთავი იყო და აფხაზეთს ნებიერად მართავდა. მეცნიერულად და ლოგიკურად ამის ახსნა მხოლოდ ერთადერთი არგუმენტით შეიძლება — **ეს თვითმარქვია ხალხი აქ არ ცხოვრობდა და საქართველოში ჩამოსახლდა მხოლოდ მაშინ, როცა ლეონ მეორეც, დავით აღმაშენებელიც, თამარ მეფეც და ამ უკანასკნელის თანამედროვე დოთაღო შარვაშიძეც შვიდასი და ოთხასი წლის გარდაცვლილი იყვნენ.**

ერთხელ უკვე აღვნიშნეთ და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ აფხაზეთის მთავრები — **შარვაშიძეები** ქართველ მთავრებს შორის ერთადერთი იყვნენ, რომლებიც გამუსლიმანდნენ. მართალია, სამცხის ათაბაგები — **ჯაყელები,** რომლებიც ბაგრატიონებს ექიშპებოდნენ და ტოლს არ უდებდნენ, ხშირად ღებულობდნენ ისლამს და საქართველოს დანგრევას ეკლესიურადაც ცდილობდნენ, მაგრამ შარვაშიძეების საგვარეულოში მიმდინარე პროცესი აბსოლუტურად სპეციფიკური და განსხვავებული იყო. საქმე ის გახლავთ, რომ მე-16-მე-18 საუკუნეებში აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა დიდი უმეტესობა ეთნიკურად ქართველი კი არა, **ეთნიკურად აფსუა** გახლდათ!

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ როგორც **დადიანი,** ისე **შარვაშიძეც** გახდა ტიტული...

ცნობილია, რომ დადიანთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები ბოლო ხანს ხშირად გვარად ჩიქოვანები იყვნენ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა — როგორც კი სამეგრელოს მთავრის ტახტზე მოკალათდებოდა, **ჩიქოვანი** მაშინვე **დადიანი** ხდებოდა... სწორედ იმავე პროცესს ჰქონდა ადგილი აფხაზეთშიც, სადაც **აფსუა ჩაჩბა** გახდა **შარვაშიძე,** ხოლო **აჩბა** — **ანჩაბაძე...**

საგულისხმოა ის ამბავი, რომ აფსუათა გადმოცემით, თავდაპირველად აფსუათა შორის **აჩბების** გვარი უფრო დაწინაურებული და პატივცემული ყოფილა, ვიდრე **ჩაჩბების.**

მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ **აფსუა შარვაშიძეებს,** როგორც წესი, საქართველოში კი არა, ჩრდილოეთ კავკასიაში, თავიანთ თვისტომებში აძიძავებდნენ. ამის უტყუარი მაგალითია აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის **მიხეილ შარვაშიძის** (1806-1866 წ.წ.) ცხოვრება, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში უბიხების წინამძღოლის **ჰაჯი ბარზეგ დაგუმოყვას** ოჯახში გააძიძავეს და იქ იზრდებოდა. **მიხეილ შარვაშიძის** თურქული სახელი იყო **ხამუთ-ბეი,** ის გახლდათ მუსლიმი და ქრისტიანობა მხოლოდ მამის — **საფარ-ბეის,** ანუ იმავე **გიორგი შარვაშიძის** თანხმობის შემდეგ მიიღო.

ჩვენ არაერთი ცნობა მოვიტანეთ იმის შესახებ, სადაც რუსი და ევროპელი ავტორები ერთხმად ადასტურებენ, რომ ე.წ. **აფხაზების,** ანუ **აფსუების** და ჩრდილოკავკასიელი ჩერქეზების თუ სხვა ადიღეელი ტომების ყოფა-ცხოვრება და საცხოვრისები ერთმანეთს ძალიან ჰგავდა. ამის დასადასტურებლად მოვიხმეთ გერმანული წარმოშობის რუსი მხვერავის, გენერალ-ლეიტენანტ **ფიოდორ ტორნაუს** (1810-1890 წ.წ.) ცნობა, სადაც ის დაბეჯითებით აცხადებს — აფსუებისა და ჩერქეზების სახლი, ფაქტობრივად, ერთი და იგივეაო!

ვთქვით ისიც, რომ **ტორნაუ** კავკასიას ძალიან კარგად იცნობდა და აქ შეცდომა გამორიცხულია.

კავკასიას **ფიოდორ ტორნაუზე** ნაკლებად არ იცნობდა წარმოშობით გერმანელი მოგზაური **ედუარდ ივანეს ძე აიხვალდი** (1795-1876 წ.წ.), რომელმაც კასპიისპირეთსა და კავკასიაში 1825 წლის მარტ-სექტემბერში იმოგზაურა. მან აფსუასა და ჩერქეზის შედარე-



### ედუარდ აიხვალდი:

**აფხაზთა სახის წყობა გამოირჩევა ჩერქეზთაგან; მათი ნაკვთები ნაკლებ სწორია; სახის ფერი მოშავო-ყავისფერი, თმები შავი, ტანი ხმელი, საშუალო სიმაღლის, მაგრამ მოყვანილი. ისინი შეჩვეული არიან სიველურეს, არიან უხეშნი, ჟინდონი და შურისმაძიებლები. მოსისხლე მტრები არიან მეზობელი მთის ხალხების. არა აქვთ კანონები, არ ეშინიათ თავიანთი ბატონების და მხოლოდ საკუთარ იარაღს ენდობიან, რომელსაც არასდროს იშორებენ. ამავე დროს ისინი, მსგავსად მთის სხვა ხალხებისა, სტუმართმოყვარე და მორწმუნეები არიან. ისინი ჩერქეზებივით იცვამენ!**

## კვირგვინოსნები

**ქეთი დოლიძე**
*რეჟისორი*



ძალიან ცდილობს ჩვენი ხელისუფლება, რომ **ქვეყანაში მშვიდობა იყოს,** თორემ ახლა უკრაინასავით ომის ქარცეცხლში ვიქნებოდით... **ძალიან მომწონს, რომ არ გაუწვა დასავლეთს,** თითის ქნევას არ აჰყვნენ.

ვინც ჩემს კოლეგებს ებრძვის, ვინც მათი ფასი არ იცის, **ის ჩემთვის ავტორიტეტი არ არის.** ვინ არის ჩემთან შედარებით **თეა წულუკიანი?!** დადეთ მისი ბიოგრაფია და დადეთ ჩემიც.

„კვირის პალიტრა“

**მერაბ კოკოჩაშვილი**
*კინორეჟისორი*



მალე 90 წელი მისრულდება და მხოლოდ ერთი ნატვრა მაქვს — ბედნიერ და ცივილიზებულ საქართველოს მოვესწრო! ყველა დემოკრატიაზე ლაპარაკობს, მაგრამ **ნამდვილი დემოკრატია სულ სხვა რამეს ნიშნავს:** უნდა შეგეძლოს, სხვებსაც მოუსმინო და გადამწყვეტი ნაბიჯები მხოლოდ ამის შემდეგ გადადგა. ალბათ, ამის გამო ვერ ვაღწევთ იმას, რის მიღწევასაც ამდენი ხანია, ვცდილობთ — **ნამდვილ დემოკრატიას და თავისუფლებას.**

„კვირის პალიტრა“

**დავით მესხიშვილი**
*საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელი*



რამდენი პოლიტიკური პარტიაა და არცერთი მათგანისგან არ მომისმენია საუბარი **ეკოლოგიაზე, საგზაო უსაფრთხოებაზე.** არადა, ბოლო 10 წლის განმავლობაში **ავტოავარიებს 5000-ზე მეტი მოქალაქე ემსხვერპლა, დაშავდა და დასახიჩრდა 100000-ზე მეტი.** ეს წარმოუდგენელი სტატისტიკაა... მართვის მოწმობის ქულათა სისტემას უნდა მიებას **სიჩქარის გადაჭარბების გამო ჯარიმები** და იმედია, ეს შეამცირებს ავტოავარიების მაჩვენებელს. ყველას ახსოვდეს, რომ **გადაჭარბებული სიჩქარე კლავს!**

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



სანამ აფხაზეთსა და ცხინვალში **რუსული ჯარი დგას,** ევროკავშირში კიდევ შეიძლება, მაგრამ **ნატოში გაწევრიანება წარმოუდგენელია.**

„კვირის პალიტრა“

# აფხაზი და ქართველი მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში იდენტური ცნებები იყო!

ბითი დახასიათების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში დაგვიტოვა. აი, რას წერს ედუარდ აიხვალდი:

*„აფხაზთა სახის წყობა გამოირჩევა ჩერქეზთაგან; მათი ნაკვთები ნაკლებ სწორია; სახის ფერი მოშავო-ყავისფერი, თმები შავი, ტანი ხმელი, საშუალო სიმაღლის, მაგრამ მოყვანილი. ისინი შეჩვეული არიან სიველურეს, არიან უხეშნი, უნდონი და შურისმაძიებლები. მოსისხლე მტრები არიან მეზობელი მთის ხალხების. არა აქვთ კანონები, არ ეშინიათ თავიანთი ბატონების და მხოლოდ საკუთარ იარაღს ენდობიან, რომელსაც არასდროს იშორებენ. ამავე დროს ისინი, მსგავსად მთის სხვა ხალხებისა, სტუმართმოყვარე და მორწმუნეები არიან. ისინი ჩერქეზებივით იცვამენ.“*

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1864 ივლისში, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორმა **ალექსანდრე პირველმა** აფხაზეთის უკანასკნელი ქართული სამთავრო გააუქმა, **მიხეილ შარვაშიძეს** ქუთაისში ცხოვრების უფლება არ მისცეს და ვორონეჟში გადაასახლეს, სადაც ის 1866 წელს გარდაიცვალა. **მიხეილ შარვაშიძე** მოქვის ტაძარშია დასაფლავებული. მიხეილისა და მისი ვაჟის, დიდი ქართველი მოღვაწის **გიორგი შარვაშიძის** საფლავზე ეპიტაფია ქართული ასომთავრული ანბანითაა ამოგვირისტებული. ეს არც გახლავთ გასაკვირი, რადგან ცნობილია, რომ **მიხეილ შარვაშიძისა** და, საერთოდ, შარვაშიძეთა საგვარეულო კანცელარიაში ოფიციალური თუ არაოფიციალური მიმოწერა **მხოლოდ ქართულ ენაზე** ხდებოდა. შორს რომ არ წავიდეთ, ამას **მიხეილ შარვაშიძის** კარზე მყოფი რუსი გენერალი, გერმანული წარმოშობის **პავლე ევსტაფის ძე კოცებუც** (1801-1884 წ.წ.) კი ადასტურებს, რომელიც აცხადებს, რომ „В фамилии князей Шарвашидзе употребительный письменный язык грузинский!“ **(რუს. მთავარ შარვაშიძეთა გვარში დამწერლობისთვის ქართული ენა გამოიყენებოდა.)**

1866 წლის ივლისში, როცა აფხაზეთში საგლეხო რეფორმა მზადდებოდა და რუსი ჩინოვნიკების აღვირახსნილობამ ყოველგვარი ზღვარი გადალახა, აფსუების მიერ გარდაცვლილი მიხეილ შარვაშიძის 20 წლის ვაჟის **გიორგი შარვაშიძის** მთავრად გამოცხადებას დიდი არეულობა და აჯანყება მოჰყვა. 1866 წლის აგვისტოში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა, თავადმა **დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკიმ** ეს აჯანყება სისხლში ჩაახშო და აფხაზეთში რეპრესიები დაიწყო. სწორედ ამან გამოიწვია **მუჰაჯირობა,** ანუ მუსლიმი აფსუების თურქეთსა და არაბულ ქვეყნებში ძალით გადასახლება. **მუჰაჯირობის მეორე ტალღას რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ცნობილი ომიდან ითვლიან, როცა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების გამო რუსებზე დაბოღმილმა აფსუებმა ომში თურქეთის მხარე დაიჭირეს და რუსებს დაუპირისპირდნენ.**

მუჰაჯირობას ჩვენ უფრო დაწვრილებით შევეხებით და იმაზეც აუცილებლად მოგახსენებთ, თუ რამდენს ცდილობდნენ ილია, აკაკი და ჩვენი ერის სახელოვანი შვილები, რათა გაეუქმებინათ რუსთხელმწიფის მიერ აფსუებისთვის მინიჭებული დამნაშავე ხალხის სტატუსი. ცნობილია, რომ ე.წ. აფხაზებს, ანუ სინამდვილეში აფსუებს დამნაშავე ხალხის სტატუსი ჯერ კიდევ 1878 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა, გვარდიის პოლკოვნიკმა **არაკინმა** მიანიჭა და ხელისუფლებას თავისი განზრახვა შემდეგნაირად დაუსაბუთა —

*„მე მივიჩნევდი, რომ ყოველგვარი ოფიციალური გამოძიების გარეშე გვეცნო აჯანყებული ადგილების მთელი მოსახლეობა დამნაშავედ და ღალატის მონაწილედ და სასჯელად გამოყენებულიყო ისეთი ღონისძიებები, რომლებსაც სასჯელის ხასიათის თვისებებიც ექნებოდა და, ამასთანავე, გადაიქცეოდნენ ამ ბედშავი ხალხის იმგვარ საწყისებზე შემდგომი მოწყობის საფუძვლად და საშუალებად, რაც შეესაბამება მთავრობის მიზნებსა და გეგმებს.“*

## გენერალი კოცებუ:

## В фамилии князей Шарвашидзе употребительный письменный язык грузинский!



**ასე იყო ამ 140 წლის წინათ, როცა დამნაშავე ხალხს – აფსუებს რუსეთი აფხაზეთიდან თურქეთისკენ მიერეკებოდა, მაგრამ ასეა დღეს, როცა რუსებმა სომეხი ბაგრამიანელების, აფსუებისა და სხვა ჩრდილო-კავკასიელების საფარქვეშ აფხაზეთიდან ქართველები გამორეკეს!**

*დიტო ჩუბინიძე*








**თარაზულად:** 5. ამერიკელი რეჟისორი; 8. იტალიელი ვიოლინოს ოსტატი; 9. ინფექციური დაავადება; 10. სარტრის პიესა; 13. აღმ. საქართველოს ძვ. სახელი; 17. საპყარი; 18. პიროვნების გამოცნობა ხელის თითების ანაბეჭდით; 20. კორეელი დიქტატორი ... ჩენ ინი; 21. ზამში; 22. გერმანული სპორტული ნაწარმის ფირმა; 26. არენდა; 30. ირლანდიის არმია; 31. ზურმუხტი; 32. კაკლის გულის ნახევარი; 33. კორეული მანქანა; 35. მაია ასათიანის ტელეარხი; 36. ორი კამათელზე; 37. საბერძნეთის კუნძული; 39. წარღვნას გადარჩენილი ბიბლიური პერსონაჟი; 40. ქართველი მწერალი ქალი; 43. ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი; 44. ტაჯიკი მწერალი; 46. რისამე ფასი კერძო ბაზარში; 48. მატერიის თვისება; 49. არგოს წინამძღოლი; 51. ფინური აბანო; 54. ავანსი; 55. სახლის ზედა ნახევარსართული; 56. ფიგურული სახაზავი; 58. ერთგვარი სიმსივნური დაავადება; 60. თეთრი, თხელი ქსოვილი; 63. პოეტი ... ამაღლობელი; 64. მატყუარა; 67. საეკლესიო წესების კრებული; 68. პატარა მაშა; 69. გრიბოედოვი — „... ჭკუისაგან“; 70. ღვინის დამსხმელი სუფრაზე; 71. ამერიკელი რეპერი.

**შვეულად:** 1. ჰოლივუდის მსახიობი ქალი; 2. პატარა სასაუზმე; 3. ინგლისელი კომიკოსი; 4. დრო, ხანი; 5. ასასვლელ-ჩასასვლელი; 6. სტადიონი ბრაზილიაში; 7. კერძო მასწავლებელი; 10. ქართველი მომღერალი ქალი; 11. გერმანელი მწერალი; 12. თივთიკი; 14. შუქის რკალი მთვარის ირგვლივ; 15. ინდოეთის ფული; 16. გემის მზარეული; 19. მე-7 ნოტი; 23. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 24. სამეფო საბჭო ძველ საქართველოში; 25. თქმულება; 27. ხვარაზმშაჰი; 28. საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწე; 29. ღამების გვარის ცხოველი; 30. აღმოსავლეთმცოდნეობის დარგი; 34. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 38. ყაჩაღების ჯგუფი; 40. პლანეტა სატურნის თანამგზავრი; 41. მოხსენების მოკლე შინაარსი; 42. ტბა აფრიკაში; 45. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი; 47. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; 50. ფრანგი კომპოზიტორი; 52. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები; 53. არჩვი; 54. ზანგების მუსიკა; 56. ქართველი მწერალი; 57. ჰაერის დაბალი ტემპერატურა; 58. კაზინოს თანამშრომელი; 59. ინგლისელი მომღერალი მამაკაცი; 61. სუსტი ქარი; 62. კრაისლერის მოდელი; 65. ერთგვარი მსუბუქი ნამცხვარი; 66. პანტომიმის მსახიობი.

**კროსვორდის პასუხები**

*თარაზულად:* 5. კრამერი; 8. სტრადივარი; 9. გრიპი; 10. ბუზები; 13. იბერია; 17. კუტი; 18. დიქტილოსკოპია; 20. კიმ; 21. ნატი; 22. ადიდასი; 26. იჯარა; 30. ირა; 31. სმარაგდი; 32. ლებანი; 33. კია; 35. მარაო; 36. დუ; 37. ლესბოსი; 39. ნოე; 40. მარიჯანი; 43. დეიმონი; 44. ნიაზი; 46. მაზანდა; 48. ენერგია; 49. იასონი; 51. საუნა; 54. ბე; 55. ანტრესოლი; 56. ლეკალო; 58. კისტოზი; 60. დოლბანდი; 63. რატი; 64. ცრუ; 67. ტიპიკონი; 68. პინცეტი; 69. ვაი; 70. მერიქიფე; 71. ემინემი.

*შვეულად:* 1. სტოუ; 2. კაფე; 3. ბინი; 4. ჟამი; 5. კიბე; 6. მარაკანა; 7. რეპეტიტორი; 10. ბედია; 11. ზაქსი; 12. ბაიკა; 14. ბაკმი; 15. რუპია; 16. კოკი; 19. სი; 23. დამბაჩა; 24. დარბაზი; 25. საგა; 27. ჯალალედინი; 28. რობესპიერი; 29. ვიკუნია; 30. ინდოლოგია; 34. ქიმია; 38. ბანდა; 40. მიმასი; 41. რეზიუმე; 42. ნიასა; 45. ზენონი; 47. ნიაგარა; 50. ლეი; 52. არმია; 53. ფსიტი; 54. ბლუზი; 56. ლეონიძე; 57. სიცივე; 58. კრუპიე; 59. სტინგი; 61. ბრიზი; 62. ნეონი; 65. ბეზე; 66. მიმი;

## კვირგვინოსნები

**გიორგი ჯაფარიძე**
*ეკოლოგი*



**მტკვარზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამუშავება** ზოგიერთმა აბსურდად მიიჩნია, მაგრამ ნამდვილად არ არის ასე. ჯერ ერთი, **ეს უკვე გამოცდილი საშუალებაა ევროპის არაერთ ქალაქში,** სადაც წყლის ტრანსპორტი საზოგადოებრივი ტრანსპორტია. ქალაქი იმდენად არის გადაჭედილი ავტომანქანებით, რომ **ეს თუ არ გაკეთდა, შეიძლება სატრანსპორტო კოლაფსამდე მივიდეთ.**

„კვირის პალიტრა“

**ასმათ ტყაბლაძე**
*მსახიობი*



**ვამაყობ,** ქართველი რომ ვარ; **ვამაყობ,** 300 არაგველის შთამომავალი რომ ვარ; **ვამაყობ** ჩემი წინაპრებით! ჩემში არის რაღაც ძალა, რომელიც მკარნახობს, **კონკრეტულ დროს კონკრეტულ ადგილზე მივიდე და ადამიანი გადავარჩინო!**

„სარკე“

*ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი კაკლოვანი მცენარეების სასარგებლო თვისებების შესახებ გვესაუბრება და გვაფრთხილებს, რომ დღის განმავლობაში ამ პროდუქტების 30-40 გრამზე მეტის მიღება ჯანმრთელობისთვის საზიანოა. მეცნიერი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ნიგვზის, თხილის, არაქისის, ნუშის, გოგრის თესლის, მზესუმზირისა და ფსტას მიღება წყალში დალბობის გარეშე, არ შეიძლება, რადგან მათში შემავალი ფიტინის მჟავა ორგანიზმის მიერ აუცილებელი მიკროელემენტების ათვისების პროცესს უშლის ხელს:*



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო-ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან ააცილა. **„გულის ელექსირი ფორტე“** — საიმედო დაცვა ინფარქტისა და ინსულტისაგან.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# ვისაც სურს, ახალგაზრდობა დიდხანს შეინარჩუნოს და კიბო თავიდან აიცილოს, დღეში ორი-სამი ცალი ნიგოზი მიირთვას!

— თანამედროვე საკონდიტრო მრეწველობა წარმოუდგენელია ნიგვზის, თხილის, არაქისის, ნუშისა და მზესუმზირის გარეშე. საკონდიტრო წარმოებაში არა, მაგრამ საქართველოში უხსოვარი დროიდან გამოიყენება გოგრის თესლიც, რომელსაც მოხალული სახით მიირთმევენ და ხუმრობით „წერეთლის მწვადს“ უწოდებენ. ზემოხსენებულ პროდუქტებს ადამიანის ჯანმრთელობაზე გარკვეული დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, მაგრამ საკვებად მათი გამოყენებისას გარკვეული წესების დაცვაა აუცილებელი, რადგან ზოგიერთი მათგანი ძლიერი ალერგიული თვისებებით გამოირჩევა.

**— მოდით, სათითაოდ დავახასიათოთ თითოეული მათგანი და ვისაუბროთ მათ ავკარგიანობაზე!**

— ზემოხსენებულ პროდუქტებს შორის **ნიგოზი,** სარგებლიანობის მხრივ, ნამდვილი ჩემპიონია. გარდა იმისა, რომ უამრავ ვიტამინს, მიკროელემენტსა და მინერალს შეიცავს, ის მცენარეული ცხიმის ნამდვილი საბადოა. ნიგვზის მასის 65 პროცენტი უჯერი ცხიმოვანი მჟავაა, რომელშიც დიდია „ომეგა-3“-ის წილი. მისი შემცველობით ნიგოზი მხოლოდ თევზსა და ჩიას ჩამოუვარდება. **დღეში სამი ცალი ნიგოზი სრულიად საკმარისია იმისათვის, რათა ორგანიზმმა „ომეგა-3“-ის დღიური ნორმა მიიღოს!** მოგეხსენებათ, „ომეგა-3“ ებრძვის კიბოს გამომწვევ თავისუფალ რადიკალებს და ორგანიზმის დაბერებას უშლის ხელს. აქედან გამომდინარე, **ვისაც სურს, ახალგაზრდობა დიდხანს შეინარჩუნოს და კიბო თავიდან აიცილოს, დღეში ორი-სამი ცალი ნიგოზი მიირთვას!**

**— მსმენია, რომ, ვისაც შაქრიანი დიაბეტი აწუხებს, მოხალული თუ მოუხალავი ნიგოზი ჯიბით დააქვს!**

— ეს მართლაც ასეა. ნიგოზს დაბალი გლიკემიური ინდექსი გააჩნია და **ადამიანები, რომლებიც სისტემატურად მიირთმევენ ნიგოზს, იშვიათად ავადდებიან მეორე ტიპის დიაბეტით.** ნიგოზი უხდება გულს, 20 პროცენტით დაბლა სწევს ცუდ ქოლესტერინს და ყოველდღიურად მიღების შემთხვევაში წნევას 5-10 ერთეულით ამცირებს.

ნიგვზის ლებნები ძალიან ჰგავს თავის ტვინს. ეს შემთხვევითი არ არის, რადგან მასში შემავალი „ომეგა-3“, იოდი და სელენი კონცენტრაციის უნარს ზრდის და მკვეთრად ამცირებს ალცჰაიმერის დაავადების წარმოშობის ალბათობას. თუ ნიგოზს გონივრულად მოვიხმართ, ის წონის კორექციაშიც დაგვეხმარება, რადგან ძალიან კალორიულია და შეიცავს ბევრ უჯრედისს, ცილასა და ცხიმს, რომელიც მადას აქვეითებს. ნიგოზი ფორმით ძალიან ჰგავს მამაკაცის სათესლე ჯირკვლებს. შემთხვევითი არ არის, რომ მისი მიღება მოძრავი სპერმატოზოიდების რიცხვს ზრდის. ამიტომ ყველა ახალდაქორწინებულმა მამაკაცმა დღეში სამიოთხი ცალი ნიგოზი უნდა მიირთვას. **თუ დღის განმავლობაში რვა-ცხრა ცალ ნიგოზზე მეტს შეჭამთ, ამან შესაძლოა, კუჭ-ნაწლავი გაბერილიზიანოს, რაც, დიდი ალბათობით, მუცლის შებერვით, კუჭის აშლით ან გულისრევით დასრულდება!** გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნიგოზში ბევრი ცილაა. აქედან გამომდინარე, მისი დიდი რაოდენობით მიღებამ შესაძლოა, ალერგია გამოიწვიოს.



**— რამდენად სასარგებლოა ნუში?**

— **ნუშის** შემადგენლობაში შედის შეუცვლელი ცხიმოვანი მჟავები, ანტიოქსიდანტები, ვიტამინები და მიკროელემენტები. **ნუში სიბერეს ანელებს და სერიოზული დაავადებების განვითარების რისკს ამცირებს.** ჩაატარეს ექსპერიმენტი და მწეველებს ყოველდღე, ორი კვირის განმავლობაში, 80 გრამ ნუშს აჭმევდნენ. შედეგად კიბოს გამომწვევი ოქსიდაციური სტრესი 35 პროცენტით შემცირდა. ნუშის მიღება კანს აახალგაზრდავებს, რადგან ის ახალგაზრდობის ვიტამინ E-ს, ანუ ტოკოფეროლს შეიცავს. ნუშში ბევრია მანგანუმიც, რომელიც კოლაგენს წარმოშობს. აქედან გამომდინარე, ქალბატონებმა ნაოჭების თავიდან ასაცილებლად ხშირად ნუში მიირთვან!

ნუში შეუცვლელია დიაბეტიანებისთვის, რომელთა 40-50 პროცენტს მაგნიუმის დეფიციტი აღენიშნება. 50 გრამი, ანუ 20-25 ცალი ნუში მაგნიუმის დღიური ნორმაა... ამიტომ უმჯობესია, მაგნიუმი მივიღოთ ბუნებრივად, ნუშის მეშვეობით, ვიდრე ათასგვარი ქიმიური ბიოდანამატის სახით.

ნუშში შემავალი მაგნიუმი ჰიპერტონიის დაუძინებელი მტერია. ამიტომ, ვისაც მაღალი წნევა აქვს, ნუში ხშირად მიირთვას! გვახსოვდეს ისიც, რომ ნუში ცუდ ქოლესტერინს დაბლა სწევს. რაც შეეხება წონას, ნუში მართალია, კალორიულია, მაგრამ მისი ცხიმი არ შეიწოვება და მასში ბევრია უჯრედისი. ამიტომ ნუში სიმაძღრის შეგრძნებას ქმნის და ვინც მას ხშირად მიირთმევს, ზედმეტ წონას ადვილად და სწრაფად იშორებს. **აქვე ისიც უნდა**

## „არაქისი ძალიან პრეტენზიული პროდუქტია და კარგი იქნება, თუ საერთოდ მოვერიდებით!“





# „ვისაც გული აწუხებს, თხილი ხშირად ჭამოს!“

## კვირგვინოსნები

**მარიკა კვალიაშვილი**
*კომპოზიტორი*



ჩემი მეუღლე წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, მოკრძალებული, განათლებული, სიკეთით სავსე. ჩვენს სიყვარულს ყავლი არასდროს გასვლია. **46 წლის ერთად ყოფნის განმავლობაში 46 ზედმეტი სიტყვა არ გვიკადრებია ერთმანეთისთვის.** ამქვეყნად ჩემზე ბედნიერი ქალი არ მეგულებოდა, არა — ქონებით, არამედ **ურთიერთსიყვარულით და პატივისცემით.**

„სარკე“

**ვახტანგ ფანჩულიძე**
*მსახიობი*



5 წელი სანტორინის კუნძულზე ვცხოვრობდი. პირველი სამი თვე უმუშევარი ვიყავი და იქაური მთავრობა **300 ევროს მიხდიდა.** მერე მძღოლად დავიწყე მუშაობა და **ხელფასი 1300 ევრო მქონდა.** 2003 წელს საქართველოში რომ ჩამოვედი, **ისე გამიჭირდა, სოციალურად დაუცველის სიაში შემიყვანეს.**

„სარკე“

**მაკა შალიკაშვილი**
*მსახიობი*



**მკერდის გადიდების სურვილი მქონდა,** მაგრამ გადავიფიქრე. როცა დავიბადე, პატარა წონის ვიყავი, ამიტომ მგონია, რომ **ჩემი ორგანიზმი და აგებულება პლასტიკურ ქირურგიას ვერ აიტანს.** 3 ზომა მკერდი რომ გავიკეთო, ამით ორგანიზმს დავსტრესავ.

„სარკე“

**ქეთი ცაქაძე (ასათიაშვილი)**
*პიანისტი*



დავასკვენი, რომ **6-7 წელია,** ჩემი მაქსიმუმი — **ორივე ოჯახი, დაახლოებით, ამ დროში დამენგრა.** იმიტომ არა, რომ ჩემს მეუღლეებში იყო პრობლემა, ალბათ, უფრო **მე ვვითარდები ძალიან სწრაფად და ძნელია ჩემს მხარდამხარ გამოყოლა.**

„თბილისელები“

# „ვისაც მაღალი წნევა აქვს, ნუში ხშირად მიირთვას!“



**გვახსოვდეს, რომ დღეში 15 ცალ ნუშზე მეტი არ უნდა მივიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მან შესაძლოა, გამოიწვიოს შეკრულობა, კუჭის სპაზმი და წონაში მატება.** გარდა ამისა, ნუშში შედის ცილა ამანდინი, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ყველაზე გავრცელებულ ალერგენად არის მიჩნეული. ვისაც თირკმელკენჭოვანი დაავადება აწუხებს, ნუშს უნდა მოერიდოს, რადგან ის ოქსალატებითაა მდიდარი.

**— თხილი საქართველოში ფართოდ გავრცელებული კულტურაა. რამდენად სასარგებლოა ის?**

— თხილი შემადგენლობით ძალიან წააგავს ნიგოზს. ამიტომ ყველა თვისება, რომელიც ნიგოზს ახასიათებს, თხილისთვისაც დამახასიათებელია. მასში ბევრია მაგნიუმი და მანგანუმი. მანგანუმისა და მაგნიუმის ნაკლებობა უმთავრესი მიზეზია მეორე ტიპის დიაბეტის განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, დიაბეტიანებმა თხილი ყოველდღე უნდა მიირთვან! თხილი ცუდ ქოლესტერინსაც დაბლა სწევს და ათეროსკლეროზის განვითარებასაც უშლის ხელს. ამიტომ ვისაც გული აწუხებს, თხილი ხშირად ჭამოს!

ბევრ ადამიანს და განსაკუთრებით ბავშვებს, თხილზე ალერგია აქვთ. ამიტომ ალერგიულები თხილს მოერიდონ! ბოლო დროს საქართველოში აშენებენ ამერიკულ პეკანს, რომელიც ძალიან ჰგავს ნიგოზს, მაგრამ ნიგვზისგან განსხვავებით, უფრო ნაზია და სიმწარეც არა აქვს. პეკანი გამოირჩევა 70-პროცენტიანი ცხიმიანობით. ის კალორიულობით ხორცს არ ჩამორჩება და ამიტომაც ზამთარში ჩრდილოეთ ამერიკელი ინდიელები მას ხორცის ნაცვლადაც იყენებდნენ. ამერიკული **პეკანი** შეიცავს E ვიტამინის იმ სახეობას, რომელიც კიბოს უჯრედების გამრავლებას აფერხებს. პეკანი ძალიან კარგია ანემიის, ავიტამინოზის დროს, ასევე ზრდის მამაკაცის პოტენციას. კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში ნამდვილი ჩემპიონია **ბრაზილიური თხილი,** რომელიც საქართველოში უკვე იყიდება. ერთი ცალი ბრაზილიური თხილის მიღება კიბოს პროფილაქტიკისთვის აბსოლუტურად საკმარისია, რადგან ის სელენის დღიურ ნორმას შეიცავს. ბრაზილიური თხილი ცხიმიანობის მხრივ პირველ ადგილზეა და მასში ცხიმის შემცველობა რეკორდულ მაჩვენებელს — 75 პროცენტს აღწევს!

**— საქართველოში ძალიან პოპულარულია მიწის თხილი, ანუ არაქისი!**

— მართალია, არაქისს ბევრი სასარგებლო თვისება აქვს, მაგრამ ყველანაირი არაქისის მიღება არ შეიძლება. არაქისი მიწაში მოდის, მისი კანი თხელია და ფორებიანი... ამიტომ თბილ და ნესტიან გარემოში მასში ადვილად აღწევს მომწამვლელი სოკოები, რომლებიც საშინელ კანცეროგენს — აფლოტოქსინს გამოყოფენ. ამიტომ არაქისი ძალიან პრეტენზიული პროდუქტია და კარგი იქნება, თუ მას საერთოდ მოვერიდებით!



## „ვისაც ღამისთევა უწევს, საღამოს 30-40 გრამი ფსტა მიირთვას!“



გოგრის თესლი ნამდვილი მცენარეული „ვიაგრაა“! ეს განპირობებულია იმით, რომ დიდი რაოდენობით შეიცავს ორ უმთავრეს კომპონენტს — თუთიასა და ელ-არგინინს. თუთია ხელს უწყობს სპერმატოზოიდების მოძრაობას და პროსტატის კიბოსა და პროსტატის ადენომის შესანიშნავი პროფილაქტიკაა. ელ-არგინინისგან კი წარმოიშობა აზოტის ოქსიდი, რომელიც ისევე, როგორც „ვიაგრა“, ერექციას ზრდის. გარდა ამისა, ელ-არგინინი უმატებს ტესტოსტერონს და მონაწილეობს სპერმის ცილების სინთეზში. ელ-არგინინი ორგანიზმში ნაკლებად გამომუშავდება და ამიტომ ის საკვების მეშვეობით უნდა მივიღოთ. 50 გრამი გოგრის თესლი ელ-არგინინის დღიურ ნორმას შეიცავს. გარდა ამისა, გოგრის თესლში შემავალი მანგანუმი ხელს უწყობს კალციუმის ძვლებში მოხვედრას და მათ გამაგრებას. გოგრის თესლი მდიდარია **მაგნიუმით,** რომელიც წნევას ამცირებს. ის შეიცავს **ტრიპტოფანს,** რომელიც ბედნიერების ჰორმონ **სეროტონინად** გარდაიქმნება. ამიტომ, ვისაც დეპრესია აწუხებს, ყველამ გოგრის თესლი უნდა ჭამოს!

## „გოგრის თესლი ნამდვილი მცენარეული „ვიაგრაა!“

**— ბოლო დროს ძალიან მოდური გახდა ფსტა... რამდენად სასარგებლოა ეს მცენარე?**

— ფსტას საქართველოში „ფისტაშკას“ ეძახიან... ფსტა ალერგიას თითქმის არ იწვევს. 100 გრამ ფსტაში 25 მილიგრამი მელატონინია. მოგეხსენებათ, მელატონინი ძილის ჰორმონია, რომელიც ადამიანს დღეღამეში სულ რაღაც 3-6 მილიგრამი სჭირდება. ამიტომ, ვისაც ღამისთევა უწევს, საღამოს 30-40 გრამი ფსტა მიირთვას! საერთოდ, **ნიგვზის, თხილის, ნუშისა და გოგრის თესლის დღიური ნორმა 30-40 გრამს არ უნდა აღემატებოდეს!** ფსტა ძალიან კარგია მხედველობისთვის, რადგან მასში დიდი რაოდენობით B6 ვიტამინი და სილიციუმია. B6 ვიტამინი მხედველობის სიმახვილეს განაპირობებს, სილიციუმი კი კოლაგენის სინთეზს, რომელიც სისხლძარღვებს უფრო ელასტიკურს ხდის და თვალის ცის სისხლით მომარაგება იზრდება!

ძალიან სასარგებლოა **მზესუმზირის თესლი,** რომელიც დიდი რაოდენობით B1 ვიტამინს, ანუ **თიამინს** შეიცავს. თიამინი ხელს უწყობს ტვინის ნეირონული კავშირების დამყარებას და აუმჯობესებს მეხსიერებას. ამიტომ ბავშვებს მზესუმზირის ჭამა არ უნდა დავუშალოთ! მზესუმზირა შეიცავს E ვიტამინს, რის გამოც ის კატარაქტის მტერია და ასაკოვნებმაც უნდა მიირთვან. გარდა ამისა, მზესუმზირაში ბევრია **სელენი,** რომელიც კიბოს ებრძვის. გვახსოვდეს, რომ ნიგოზი, ნუში, თხილი, არაქისი, ფსტა, მზესუმზირა და გოგრის თესლი მხოლოდ წყალში 4-5 საათით დალბობის შემდეგ უნდა მივირთვათ, რადგან ყველა მათგანი შეიცავს **ფიტინის მჟავას,** რომელიც მიკროელემენტების ათვისებას ხელს უშლის.

## „ბავშვებს მზესუმზირის ჭამა არ უნდა დავუშალოთ!“



**— ზემოხსენებული პროდუქტები მოხალული სჯობს თუ მოუხალავი?**

— მოხალვის დროს მათი სასარგებლო თვისებების დიდი ნაწილი იკარგება, ამიტომ ყველა ჩამოთვლილი პროდუქტი მოუხალავი და წყალში დალბობის შემდეგ უნდა მივირთვათ!

## „ამერიკული პეკანი შეიცავს E ვიტამინის იმ სახეობას, რომელიც კიბოს უჯრედების გამრავლებას ხელს უშლის!“



*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ზურა ყიფშიძე**
*მსახიობი, საპატიო თბილისელი*



არ მახსენდება უფრო **დიდი კრიზისი თეატრში,** როგორიც დღეს არის. საშინელი ფრაზაა — **დავანგრიოთ ყველაფერი და ახალი ავაშენოთო.** რატომ? ფასეულობების გადაფასება არ გულისხმობს ფორმის დაკარგვას. **თეატრი არ არის ქარხანა, რომელსაც უცხოელი ინვესტორი აგვიმუშავებს.**

„კვირის პალიტრა“

**ლევან ნვერავა**
*მომღერალი*



**შეუძლებელია, ჩაცმასა და ვიზუალზე არ ვიფიქროთ.** იყო წლები, როცა იმღერებდი კონცერტზე ან რამე ღონისძიებაზე და იქვე მთავრდებოდა ყველაფერი, **ამ გამოსვლის ჩანაწერიც აღარ არსებობდა.** დღეს შენს გამოსვლას შეიძლება მილიონი ნახვა ჰქონდეს, ამიტომ **სხვა გამოსვლის დროს იმავე ტანსაცმლით ვეღარ გამოჩნდები.**

„სარკე“

**ნიკა ფაიქრიძე**
*მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი*



არის შემთხვევები, როცა გგონია, რომ კარგად შეასრულე როლი, მაგრამ **გამოდიხარ და ნახევრად ცარიელ დარბაზში გიწევს თამაში.** ეს უკვე არის პასუხი, რომ **რაღაც სწორად ვერ გააკეთე** ან შენ, ან რეჟისორმა, ან დამდგმელმა ჯგუფმა და ეს სპექტაკლი მაყურებლისთვის გახდა უცხო.

„სარკე“

**ლია ჩივაძე**
*74 წლის თბილისელი ველომოყვარული*



არავინ იცოდა ჩემი საოპერო მოღვაწეობა, **ველოსიპედმა კი ისეთი პოპულარული გამხადა,** ყველა მცნობს. ქუჩაში ხალხი გაკვირვებული მიყურებს, **74 წლის ვარ, ჩემი ტოლი ქალებიდან დღეს ველოსიპედით თბილისში არავინ დადის.**

„კვირის პალიტრა“

## გია სულაქველიძე:

# უსმინეთ





„ჩემი აღმოჩენა საშუალებას გვაძლევს, მეცნიერულად ავხსნათ პლაცებოს ეფექტის მოქმედების მექანიზმი: წამლის სამკურნალო ეფექტში დარწმუნებული პაციენტი ცვლის მის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს, მათ შორის, მოლეკულურ დონეზე. მას შეუძლია, გამორთოს ერთი გენი და ჩართოს მეორე, უფრო მეტიც — შეცვალოს თავისი გენეტიკური კოდი“.

*ახალი მეცნიერული მიმდინარეობის — ეპიგენეტიკის პიონერი ბრიუს ლიპტონი ამტკიცებს, რომ აზრის ენერგეტიკას შეუძლია, ავადმყოფი ნებისმიერი სენისგან უწამლოდ განკურნოს. მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგი სენსაციური აღმოჩნდა. სწორედ ამის შესახებ ვესაუბრებით საქართველოს კომპლემენტარული და ალტერნატიული მედიცინის ნაციონალური ცენტრის ვიცე-პრეზიდენტს, ექიმ-ფსიქოთერაპევტსა და ფსიქოანალიტიკოს გია სულაქველიძეს.*

**— ბატონო გია, რა არის ეპიგენეტიკა?**

— **ეპიგენეტიკა** გენეტიკურ კოდზე გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებას სწავლობს. ამ ახალი მეცნიერული მიმდინარეობის პიონერია ამერიკელი გენეტიკოსი **ბრიუს ლიპტონი,** რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა გენურ ინჟინერიაში, წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და უამრავი საინტერესო კვლევის ავტორი გახდა.

**— ცნობილია, რომ აქამდე მეცნიერები ადამიანს თვლიდნენ ბიორობოტად, რომელიც გენებში ჩაწერილი პროგრამებით იმართება. მათი აზრით, თითოეული ჩვენგანის გარეგნობას, ტემპერამენტს, შესაძლებლობებს, ამა თუ იმ დაავადებისადმი მიდრეკილებას და სიცოცხლის ხანგრძლივობას გენები განსაზღვრავს, ხოლო ადამიანს არ შეუძლია თავისი გენეტიკური კოდის შეცვლა. როგორ მოახერხა ბრიუს ლიპტონმა ამ მოსაზრების გაბათილება?**

— გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მან უჯრედული მემბრანის თავისებურებების შესასწავლად ჩაატარა ექსპერიმენტები, რომელთა შედეგებმაც უარყვეს მანამდე არსებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სწორედ უჯრედის ბირთვში მდებარე გენები განსაზღვრავენ, რა უნდა გატარდეს მემბრანაში და რა — არა. **ლიპტონის** ცდებმა გვიჩვენა, რომ უჯრედზე სხვადასხვა სახის გარეგანი ზემოქმედებით შესაძლოა გენების ქცევისა და სტრუქტურის შეცვლა.

**— რამდენად რეალურია ფსიქიკური პროცესებით, ანუ აზრის ძალით გენეტიკურ კოდზე ზემოქმედება?**

— ამის თაობაზე **დოქტორი ლიპტონი** წერს: „ჩემი აღმოჩენა საშუალებას გვაძლევს, მეცნიერულად ავხსნათ პლაცებოს ეფექტის მოქმედების მექანიზმი: **წამლის სამკურნალო ეფექტში დარწმუნებული პაციენტი ცვლის მის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს, მათ შორის, მოლეკულურ დონეზე. მას შეუძლია, გამორთოს ერთი გენი და ჩართოს მეორე, უფრო მეტიც — შეცვალოს თავისი გენეტიკური კოდი“.**

**— თუ შეიძლება, მკითხველს შეახსენეთ, რას ნიშნავს პლაცებოს ეფექტი!**

— პაციენტს აჯერებენ, რომ არსებობს სასწაულმოქმედი წამალი, მაგრამ სინამდვილეში ასმევენ სრულიად ნეიტრალურ ნივთიერებას და ავადმყოფი იკურნება! ამას ჰქვია **პლაცებოს ეფექტი,** რომლის მეცნიერული ახსნაც **ლიპტონის** კვლევებამდე არ არსებობდა. მისი მტკიცებით, ადამიანს შეუძლია თავისი ბიოლოგიური ბუნების მართვა — აზრის ძალით, რწმენით ან მიზანდასახულობით. უფრო მეტიც, ადამიანი დედამიწაზე მცხოვრები სხვა ცოცხალი არსებებისგან იმით განსხვავდება, რომ აქვს თავისი სხეულის შეცვლის უნარი და შეუძლია, საკუთარი თავის განკურნება მძიმე დაავადებებისგან, მათ შორის, — მემკვიდრეობითი სნეულებებისგან. ჩვენ ვალდებული არ ვართ, ვიყოთ ჩვენი გენეტიკური კოდის მსხვერპლი, აღნიშნავს ლიპტონი, ირწმუნეთ, რომ შეგიძლიათ, განიკურნოთ და ნებისმიერი სენისგან გათავისუფლდებით. ირწმუნეთ, რომ შეგიძლიათ, 50 კილოგრამი დაიკლოთ და მართლა გახდებით!

**— თავის დროზე ზიგმუნდ ფროიდი წერდა:** „სანამ არაცნობიერს (იგივე ქვეცნობიერს) ცნობიერში არ გადმოიტანთ, თქვენი ცხოვრება უაზრო იქნება და სიცოცხლის ბოლომდე იძახებთ, რა ვქნათ, ეს ჩვენი ბედიაო, ხოლო ამ უაზრობას ბედს დაარქმევთ“. **ვფიქრობ, ფროიდის და ლიპტონის მოსაზრებები ეხმიანება ერთმანეთს. შეახსენეთ მკითხველს, რა აყალიბებს ჩვენს ქვეცნობიერს და რა მეთოდს გვთავაზობს მეცნიერი უწამლოდ**

## ბრძნული სიმშვიდით უწამლოდაც განვიკურნებით!

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ კახიძე**
*დირიჟორი, კომპოზიტორი*



ჯერჯერობით, არა მგონია, რამე ისეთი მქონდეს გაკეთებული, რომ მამასგან საყვედური მიმეღო. **მამას დღეს ძალიან ბევრ რამეს ვკითხავდი.** მიუხედავად იმისა, წლები და გამოცდილება მომემატა, მაინც უამრავი კითხვა მიჩნდება.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ახვლედიანი**
*პოლიტიკოსი*



რომ ვიცი, ჩემ წამოწოლას ან ფეხიფეხზე გადადებას რამდენი რამის გაფუჭება შეუძლია, ვერ ვჩერდები. **სულ მაფრთხილებენ, რომ ეს რესურსი სადღაც ამოიწურება და ერთ დღეს კომპიუტერივით ან აკუმულატორივით „დავჯდები“,** მე კი იმედი მაქვს, რომ გადავიტვირთები და გავაგრძელებ.

„თბილისელები“

**გიორგი გახელაძე**
*მოტომრბოლელი*



საქართველოს ისტორიაში პირველი ვარ, ვინც **რეკორდი დაამყარა არამხოლოდ მოტოსპორტში, არამედ, საერთოდ, სპორტის ექსტრემალურ სახეობაში.** ჯობდა, ფეხბურთელი ან მოჭიდავე გამოვსულიყავი, უფრო დავფასდებოდი.

„თბილისელები“

**გიორგი კალანდია**
*ხელოვნების სასახლის დირექტორი, ტელეწამყვანი*



არ დავმალავ და ვიტყვი, რომ **საკმაოდ მკაცრი უფროსი ვარ** და ხელოვნების სასახლის წარმატების ფორმულა ზუსტად ეს მგონია. **ის, რომ ხელოვნების სასახლე ნანგრევებიდან საქართველოს წამყვან მუზეუმად იქცა,** მხოლოდ და მხოლოდ რეჟიმის დამსახურებაა. ჩვენ, ყველანი, ვიყავით მკაცრ რეჟიმში. **ჩვენს ორგანიზაციაში რამდენიმე წუთით დაგვიანების პრეცედენტიც კი ძალიან მკაცრი რეაგირების საფუძველი იყო.**

„თბილისელები“

# ამ კაცს!



## ბრიუს ლიპტონი:

**ირწმუნეთ, რომ შეგიძლიათ, განიკურნოთ და ნებისმიერი სენისგან გათავისუფლდებით. ირწმუნეთ, რომ შეგიძლიათ, 50 კილოგრამი დაიკლოთ და მართლა გახდებით!**

**განკურნებისთვის?**

— ქვეცნობიერის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს დაბადებიდან 7 წლამდე დაფიქსირებული თუნდაც ისეთი უმნიშვნელო მოვლენები, როგორიცაა უფროსების მიერ ნებსით თუ უნებლიეთ ნათქვამი სიტყვები, სასჯელი თუ ტრავმები.. სამწუხაროდ, ჩვენი ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ ყველაფერი ცუდი უფრო ადვილად ილექება ქვეცნობიერში, ვიდრე კარგი. აქედან გამომდინარე, უმეტესწილად ჩვენი გამოცდილების 70 პროცენტი ნეგატივია, 30 პროცენტი — პოზიტივი. ქვეცნობიერი ავტომატურ რეჟიმში მუშაობს და ორგანიზმში მიმდინარე ნებისმიერ პროცესს აკონტროლებს. ამის გამო ადამიანს უჭირს, დაიჯეროს, რომ რაიმე ზებუნებრივი შეემთხვევა, რადგანაც მისი გამოცდილების 70 პროცენტი ნეგატიურია. წამლების გარეშე თვითგანკურნებისთვის აუცილებელია ნეგატივისა და პოზიტივის თანაფარდობის შეცვლა.

**— რა მიზეზით პროგრამდება ადამიანი მაინცდამაინც დაბადებიდან 7 წლამდე?**

— ბავშვის ტვინის ვიბრაციის სიხშირე დაბალია, ხოლო პირველი 7 წლის განმავლობაში ბუნება გვინერგავს პროგრამებს, რაც ამ პლანეტაზე საცხოვრებლად გვჭირდება. ბავშვი, უბრალოდ, უყურებს მშობლებს, დედმამიშვილებს, სოციუმს და მათგან ითვისებს ქცევას, წეს-ჩვეულებებს, ანუ სხვებზე დაკვირვებით პროგრამდება.

**— რამდენად რეალურია ნებისმიერი სენისგან განკურნება წამლების გარეშე?**

— **ბრიუს ლიპტონი** 79 წლის ასაკში ჩინებულად გრძნობს თავს. უკვე 20 წელია, არ ავადმყოფობს და ექიმი არ სჭირდება. მისი თქმით, თუ ქვეცნობიერის გადაპროგრამებას შევძლებთ, უწამლოდაც განვიკურნებით ნებისმიერი სენისგან და სანუკვარი სურვილებიც აგვიხდება.

**— როგორ გადავაპროგრამოთ საკუთარი თავი?**

— **დოქტორ ლიპტონის** თქმით, ამა თუ იმ პროგრამის ქვეცნობიერში ჩატვირთვა იოლად ხდება 7 წლამდე ასაკში და ორსულობის ბოლო ტრიმესტრში. აქედან გამომდინარე, საკუთარი თავის გადასაპროგრამებლად შეგვიძლია ის პერიოდები გამოვიყენოთ, როცა ჩვენი ტვინი ტეტა-ტალღებს ასხივებს.

**— რა პერიოდებს გულისხმობთ?**

— საერთოდ, ჩვენი ტვინი დღის განმავლობაში სხვადასხვა სიხშირის ტალღებს ასხივებს. მხნეობის დროს **ბეტა სიხშირეზე** ვართ მომართული. საღამოს, შინ დაბრუნებულები, ვდუნდებით და **ალფა სიხშირეზე** გადავდივართ, ძილი რომ მოგვერევა — **ტეტა სიხშირეზე,** ძილის დროს კი — **დელტა სიხშირეზე.** აქედან გამომდინარე, დღეში ორჯერ, დილით, ახალგაღვიძებულზე და საღამოს, ძილის წინ, როცა ჩვენი ტვინი **ტეტა-ტალღებს** ასხივებს, ანუ ჰიპნოზურ მდგომარეობაში იმყოფება, შეგვიძლია, საკუთარი თავი გადავაპროგრამოთ.

**— გავიგე, რომ ძილის წინაც ტეტა სიხშირეზე ვართ მომართული და გაღვიძების დროსაც დელტა სიხშირეს ტეტა ტალღები ცვლის, რის გამოც, პრაქტიკულად, დაჰიპნოზებულები ვართ, მაგრამ რანაირად ჩავტვირთოთ სასურველი პროგრამა ქვეცნობიერში?**

— **დოქტორი ლიპტონი** გვირჩევს, წინასწარ ჩავიწეროთ პოზიტიური პროგრამები და დასაძინებლად წასვლის წინ ყურსასმენი გავიკეთოთ აუდიოჩანაწერის მოსასმენად, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს ქვეცნობიერზე, როგორც კი ჩვენი ტვინი ტეტა სიხშირეზე გადავა და მზად იქნება ახალი ინფორმაციის მისაღებად. ამას **თვითჰიპნოზის მეთოდი** ეწოდება. თუ ქვეცნობიერში ჩადებული პროგრამები ჩვენი სურვილების, ოცნებებისა და მისწრაფებების ამსახველი იქნება, ადამიანი შეძლებს საკუთარი თავის გადაპროგრამებას.

### ბოლოთქმა

ერთმა ჩინელმა ფილოსოფოსმა, რომელიც ქრისტემდე 5 საუკუნით ადრე ცხოვრობდა, თავის მოსწავლეებს ჰკითხა: **„რა არის ყველაზე მთავარი სიტყვა ჩვენს ლექსიკონში?“** ერთმა თქვა **სიყვარულიო,** მეორემ — **ოჯახიო,** მესამემ — **სამშობლოო...** მოკლედ, ვერ გამოიცნეს... არადა, სწორი პასუხია — **პატიება!..**

**თუ ადამიანი მოახერხებს, შეუნდოს ყველას, ვინც ოდესმე გული ატკინა, რითიც გაანულებს ქვეცნობიერში ჩადებულ ნეგატიურ პროგრამებს, თუ დაიჯერებს, რომ ღმერთი მასშია და თავადაც ღმერთშია, ცხოვრება ისევ გაფერადდება.**

ვედური სწავლების თანახმად, ამქვეყნად არსებული ბოროტების ფესვი **მრისხანებაა,** რომელიც გულში ცეცხლივით ბრიალებს. თუ ამ ხანძარს დროულად ჩავაქრობთ **ბრძნული სიმშვიდით,** უწამლოდაც განვიკურნებით და სურვილებსაც ავიხდენთ!!!

*ესაუბრა* **ნინო გოძიაშვილი**



## კვირგვინოსნები

**ალექსანდრე ასლანიშვილი**
*საქართველოში მცხოვრები ფერეიდნელი მხატვარი*



ამ ეტაპზე შეზღუდულია საქართველოში **ფერეიდნელების ბინადრობის უფლება.** არადა, ქართული კანონმდებლობის თანახმად, **ფერეიდნელებს** ჯერ თანამემამულის სტატუსს აძლევდნენ, შემდეგ კი **ბინადრობის უფლებას.** რატომ არ უნდა უნდოდეს სახელმწიფოს, ქვეყანაში ერთგულმა ხალხმა იცხოვროს?!

„კვირის პალიტრა“

**ციცინო ზივზივაძე**
*გიდი*



გული მტკივა, რომ ზოგიერთი **ტურისტებს ისტორიას დამახინჯებულად უყვება.** ზოგჯერ ტაქსის მძღოლებიც გიდობენ, **შემოიყვანენ ტურისტებს ტაძარში და სისულელეებს უყვებიან.** ასეთ ხალხს სულ ვეუბნები, **ჯობია, გაჩუმდეთ, ვიდრე ტურისტებს სიცრუე ან სისულელე უთხრათ-მეთქი,** ჩემი პირდაპირობის გამო ბევრი მოკეთეც მყავს და მტერიც, მაგრამ, როცა მაგინებენ, ყურადღებას არ ვაქცევ.

„კვირის პალიტრა“

**ნიკა ხაჩიძე**
*ტელეჟურნალისტი*



როცა ოჯახის შექმნაზე ვფიქრობ, **პატარა ეშმაკი ჩამომიჯდება მხარზე** და მეუბნება — ჯერ მზად არ ხარო.

„სარკე“

**ნატო დუმბაძე**
*პროდიუსერი*



**ქალს ასაკს არ ეკითხებიან,** ამიტომ უბრალოდ ვიტყვი, რომ **საკმაოდ „დიდი გოგო“ გავხდი.** მეტმა სიმშვიდემ დაისადგურა ჩემში, მე ამას ეკლესიას ვუკავშირებ.

„თბილისელები“

**მაკა ზამბახიძე**
*მომღერალი*



**პირადი ცხოვრება ლატარიას ჰგავს** — ან გაგიმართლებს, ან — არა. მე ამ მხრივ ჯეკპოტი მოვხსენი იღბალში, **ჩემმა ბედის ლატარიამ გაამართლა** და გვერდით უსაყვარლესი მამაკაცი მიდგას.

„თბილისელები“



# მიხეილ ცაგარელი: ასტროლოგიური სახლები ჩვენს ჰოროსკოპში და მათი მნიშვნელობა

*— რომელ ასტროლოგიურ სახლს ეწოდება „საზღვრის“, „სულიერების“, „მიზნის“ ანდა „სოციალური თუ მარტოობის“ სახლი და რატომ? რომელი მათგანის წვეროა პირადი ჰოროსკოპის უმაღლესი წერტილი? რომელი აგებს პასუხს სხვის ან საერთო ფინანსებზე, მაგიურ მონაცემზე, ინტიმურ ცხოვრებასა და ვნებებზე ანდა ძირითად ფასეულობებზე, რწმენაზე, მოგზაურობებზე? ვის ეხება წარმატებები, კარიერა, სპონსორები, მრჩევლები ანდა რომელი უკავშირდება იდეებს, გეგმებს, ჩანაფიქრის განხორციელებას ან ჩაკეტილ სივრცეებს, საავადმყოფოს, ციხეს და ასევე თანაგრძნობას, ქველმოქმედებას, შინაგან განცდებს, შიშებს, კარმას? ვისი ძირითადი მახასიათებელია ანდერძი, მემკვიდრეობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, მსოფლმხედველობა, რეპუტაცია, კარიერა, გამარჯვება, მოგება ანდა თავისუფლების შეზღუდვა, იდუმალი მტრები? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი ჩვენს პირად ჰოროსკოპში აღნიშნული ასტროლოგიური სახლების დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ.**

— **8. „საზღვრის სახლი“, ანუ ე.წ. სიკვდილისა და სიცოცხლის სახლი.** მას ასე უწოდებენ იმ თვალსაზრისით, რომ მეტაფიზიკურად სიკვდილი წარმოადგენს კარიბჭეს, რომლის გავლაც ახალ სიცოცხლეზე გადასვლას ნიშნავს. გარდა ამისა, იგი განაგებს სხვათა (მეუღლის, საქმიანი პარტნიორის, ბანკების, მევალეების) ფინანსებს, აქტივებს, საერთო ფულს. ასევე მის განმგებლობაშია ადამიანის მაგიური ექსტრასორული მონაცემები, ოკულტური ქმედებანი, სექსუალური პრიორიტეტები, ინტიმური ცხოვრება, ვნებები. **თავად მე-8 სახლს კი მართავს ღრიანკალის თანავარსკვლავედი და პლანეტა პლუტონი.** ამ ასტროლოგიური სახლის მახასიათებლებია საქმიანი კაპიტალი, მემკვიდრეობა, ანდერძი, დაზღვევა, სანოტარო საქმეები, გამოძიება, კრიზისი, გარდაქმნები, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ძალადობრივი სიკვდილი, საიდუმლოებები, სექსი, ოკულტური შესაძლებლობები.

**9. „სულიერების სახლი“ უკავშირდება და განაგებს ინტელექტუალურ ცხოვრებას, უმაღლეს განათლებას, ახლის ძიება-შესწავლას, ადამიანის ძირითად ფასეულობებს, ფილოსოფიას, თეოლოგიას, რელიგიას, მოგზაურობებს** (შორ მანძილზე). იგი შეესაბამება **მშვილდოსნის თანავარსკვლავედს და მისი მმართველია პლანეტა იუპიტერი.** ამ ასტროლოგიური სახლის ძირითადი მახასიათებლები კი გახლავთ მსოფლმხედველობა, ფილოსოფიური მრწამსი, რწმენა, უმაღლესი განათლება, რელიგია, შორ მანძილზე მოგზაურობა, ემიგრაცია, იურიდიული საქმეები, საჯარო დაწესებულებები, ავტორიტეტი.

**10. „მიზნის სახლი“ განაგებს ადამიანის პროფესიულ თუ სოციალურ წარმატებას, კარიერას. იგი შეესაბამება თხის რქის თანავარსკვლავედს და იმართება პლანეტა სატურნით.** უნდა აღინიშნოს, რომ მე-10 სახლი ნათალური რუკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ სახლის წვერო ჰოროსკოპის უმაღლესი წერტილია და განასახიერებს ადამიანის პროფესიას, მისწრაფებებს, კარიერულ ამბიციებს, რომლის გარეშეც საზოგადოებაში რაიმეს მიღწევა შეუძლებელია. **იგი პასუხისმგებელია მაქსიმუმზე, რისი მიღწევაც ამ ადამიანს ძალუძს.** პროფესიასა თუ ცხოვრებაში მე-10 სახლის მახასიათებლებია კარიერა, საქმიანი სფერო, პროფესიული მიღწევები, წარმატება, სოციალური მდგომარეობა, რეპუტაცია, ჯილდოები. ასევე ხელმძღვანელობასთან, მშობლებთან (განსაკუთრებით მამასთან), ასაკით უფროსებთან, გავლენიან ადამიანებთან ურთიერთდამოკიდებულება, კარმა.

**11. „სოციალური სახლი“ განაგებს მეგობრობის უნარს და პასუხისმგებელია მეგობრებზე, თანამოაზრეებზე, სპონსორებზე, დამცველებზე, მრჩევლებზე, ფავორიტებზე. გარდა ამისა, იგი უკავშირდება ამ ადამიანის გეგმებს, იმედს, იდეებს, გარდაქმნებს, რეფორმებს** (ამის გამო მას „რევოლუციურ სახლსაც“ უწოდებენ). **მე-11 სახლი შეესაბამება მერწყულის თანავარსკვლავედს და მისი მმართველია პლანეტა ურანი,** ხოლო ძირითადი მახასიათებლები — მეგობრები, თანამოაზრეები, იმედები, ოცნებები, წარმატება, გამარჯვება, მოგებები, პატრონები, რეფორმები, განახლება, რევოლუცია.

**12. „მარტოობის სახლი“ უკავშირდება მონასტრებს, კლინიკებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, ციხეებსა და დაკეტილ სივრცეებს.** გარდა ამისა, იგი განაგებს შორეულ მოგზაურობებს, ქველმოქმედებას, თანაგრძნობას, მფარველობას, შინაგან განცდას, შიშებს, ქვეცნობიერებას, საიდუმლოებებს, ფარულ კავშირებს, ტყუილს, ავადმყოფობას და სხვანი. ამ შემთხვევაში იზოლაცია როგორც ნებაყოფლობითი, ისე იძულებითი შეიძლება იყოს. **თუ ადამიანის საქმიანობა დაკავშირებულია მე-12 სახლთან, მაშინ მას შეუძლია, იმუშაოს შესაბამის მსგავს დაწესებულებაში ან საიდუმლო ორგანიზაციაში, ხშირად იმოგზაუროს საზღვარგარეთ.** ასევე ამ სახლთან ხშირ შემთხვევაში ასოცირდება ექიმის, ბერ-მონაზვნის, რელიგიური მსახურების საქმიანობა. **მე-12 ასტროლოგიურ სახლს განაგებს თევზების თანავარსკვლავედი და პლანეტა ნეპტუნი.** მისი ძირითადი მახასიათებლებია მარტოობა, თავისუფლების შეზღუდვა, საავადმყოფოები, თავშესაფრები, ციხეები, განცდა, შიში, საიდუმლო კავშირი, იდუმალი მტრები, ფარული დაავადებები, დანაკარგები, ოკულტური აქტივობანი, ქველმოქმედება, კარმა, ძლიერი მეხსიერება.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 28 ოქტომბერი-3 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
თქვენი ენერგია დაიწყებს კლებას, რის გამოც ხშირად გაგიფუჭდებათ გუნება-განწყობა. მოვლენების რეალური შეფასება დაგეხმარებათ შინაგანი კრიზისის დაძლევაში. ინტერესს გამოიჩენთ უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთებისა და ქონებრივი საკითხების მიმართ. გაიზრდება ოჯახთან დაკავშირებული გადაადგილებების რიცხვი. ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ საყვარელ ადამიანებსა და ბავშვებს. მოგზაურობა დადებითად აისახება ჯანმრთელობაზე.

**კურო** (21.04-20.05)
გაძლიერდება თქვენი ფსიქოსომატური მდგომარეობა. შეძლებისდაგვარად დახვეწეთ პროფესიონალიზმი და ნებისმიერ საქმეში ორიგინალური მეთოდებით იხელმძღვანელეთ. პირად ცხოვრებაში მეუღლის ან საყვარელი ადამიანის საქმით დაკავება თქვენდამი ყურადღების ნაკლებობას გამოიწვევს, რაც შესაძლოა თქვენი უკმაყოფილების მიზეზი გახდეს. კარგი დროა ექიმებთან პროფილაქტიკის მიზნით ვიზიტისა და სამკურნალო პროცედურების ჩატარებისთვის.

**ტყუპი** (21.05-22.06)
გაგიჭირდებათ დამოუკიდებლად მოქმედება, მიზნებისა და საქმეების არჩევა. თუ რეალურად არ გადადგამთ ნაბიჯებს, გეგმები შეიძლება შორეულ ოცნებად დარჩეს. გაითვალისწინეთ გამოცდილ ადამიანთა რჩევები. ოჯახის მნიშვნელოვანი ამბები თქვენს ჩარევას საჭიროებს. სამუშაოს მეშვეობით შესაძლებელი იქნება ზოგიერთი ვალდებულებისგან გათავისუფლება. მოგზაურობისას არაერთ საინტერესოს შეიტყობთ და ნახავთ, დაისვენებთ და აღიდგენთ დახარჯულ ენერგიას.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ეცადეთ, ყველა საქმეს ერთად არ მოჰკიდოთ ხელი, რათა ბევრი მათგანი არ დარჩეს დაუსრულებელი. სასიკეთოდ წაგადგებათ იმიჯის შეცვლა. ეცადეთ, არავის გაუმხილოთ თქვენი აზრები, ნაფიქრი და სამომავლო გეგმები. სტაბილური სასიყვარულო ურთიერთობის ჩამოყალიბებას ხელს შეუშლის თქვენი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ცვლილებებია მოსალოდნელი საქმიან პარტნიორებთანაც. ეს პერიოდი ხელს არ უწყობს ახალი საქმეების დაწყებასა და შორეულ მოგზაურობას.

**ლომი** (23.07-23.08)
ერიდეთ მაქინაციებსა და გაუაზრებელ ხარჯებს, რადგან ამან შესაძლოა საზოგადოებაში თქვენი ავტორიტეტი დააქვეითოს. საქმის შესრულებისას ყურადღება გაამახვილეთ დეტალებზე. მშობლებთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მაქსიმალურად ტაქტიანი იყავით, რათა თავი აარიდოთ ჩხუბს. ახალი ნაცნობობა და ხშირი გადაადგილებები დამღლელი, მაგრამ ინფორმაციულად საინტერესო აღმოჩნდება, ოღონდ უსმინეთ ინტუიციას და ყურადღება მიაქციეთ დეტალებს.

**ქალწული** (24.08-23.09)
ახლობლების წრეში გაიზრდება თქვენი პოპულარობა. მეგობრები დაგეხმარებიან ახალი კონტაქტებისა და საქმიანი ურთიერთობის დამყარებაში. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეცადეთ, მეტად რაციონალურად ხარჯოთ ფული. მეტი დრო გაატარეთ სახლში და ხშირად დაისვენეთ. კარგი იქნება, თუ მშობლებთან და ასაკით უფროს ადამიანებთან ჰარმონიულ ურთიერთობას შეინარჩუნებთ. მოგზაურობისას შესაძლებელია მოულოდნელობები.

**სასწორი** (24.09-22.10)
სახლის საქმეების სიუხვის მიუხედავად, უმჯობესია, დრო ბიზნესსა და პირად საქმიანობას დაუთმოთ. მოემზადეთ ახალი პროექტების დასაწყებად და ჩანაფიქრების განსახორციელებლად. ეცადეთ, ფინანსები წესრიგში გქონდეთ და არ გაფლანგოთ ფული ტყუილუბრალოდ. სასიყვარულო სფეროში შესაძლოა, ახალი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდეთ. წარსულ კავშირებს ნუ გამოედევნებით და ეცადეთ, მეტად ოპტიმისტურად შეხედოთ ცხოვრებას.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
თქვენს მომხიბვლელობას ამ პერიოდში მშვიდად გვერდს ვერავინ აუვლის, განსაკუთრებით კი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები. კარგი დროა ახალი ნაცნობობისთვის, შეხვედრებისა და პარტნიორული კავშირების დამყარებისთვის. სასიკეთოდ განვითარდება თქვენი ოჯახური და სასიყვარულო ურთიერთობებიც, რაც ახალ ემოციებს მოგიტანთ. გამოიყენეთ ეს პერიოდი არამარტო საქმისთვის, არამედ დასვენებისა და გართობისთვისაც.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ეს პერიოდი დაგამახსოვრდებათ საინტერესო გადაადგილებებით და კონტაქტებით, თუმცა, გზებზე მოძრაობისას ეცადეთ, ყურადღებით იყოთ, რათა არ შეგექმნათ პრობლემები. არსებობს უცხოეთში გამგზავრების ალბათობა. გაგიადვილდებათ მიზნის მიღწევა, ცოდნისა და ინფორმაციის მიღება, თუმცა, ყველა საქმის ერთად შესრულება გაგიჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ თავს ჯანსაღად იგრძნობთ, დაუთმეთ დრო ორგანიზმის გამოკვლევას და ტრადიციული გზით მკურნალობის ჩატარებას.

**თხის რქა** (22.12-19.01)
კარგი დროა ადრე გაწეული სამუშაოს შედეგების შესაჯამებლად და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად. ორაზროვან სიტუაციებში სიდინჯე დაგეხმარებათ კოლეგებსა და მეგობრებთან კარგი დამოკიდებულების შენარჩუნებაში. კარგი დროა ახალი საქმიანობის დასაწყებად. მოულოდნელი ინფორმაცია გაგიადვილებთ გადაწყვეტილების მიღებას. ენერგიის აღსადგენად შეიძლება შვებულების აღება და დასასვენებლად გამგზავრება.

**მერწყული** (20.01-18.02)
ამ პერიოდში ჩამოყალიბებული ახალი იდეები უპერსპექტივო აღმოჩნდება. გონება არეული გექნებათ და შესაძლოა, თავად შეიყვანოთ საკუთარი თავი შეცდომაში. გაიზრდება ბავშვებთან, მშობლებთან და სახლთან დაკავშირებული პრობლემების რაოდენობა. სასიყვარულო სფეროში შესაძლოა, გადაუდებელი გადაწყვეტილების მიღება მოგიხდეთ. ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ, განსაკუთრებით სუფთა ჰაერზე ან ბუნებაში. შორიდან მიღებული ინფორმაცია კი აუცილებლად გადაამოწმეთ.

**თევზები** (19.02-20.03)
კარგი დროა კარიერაში წინსვლისთვის, პირად ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყებად და მეტი სიამოვნების მისაღებად. მიუხედავად ამისა, აუცილებელია პერიოდული შესვენებები, რათა ზიანი არ მიადგეს თქვენს ორგანიზმს. ყურადღება გმართებთ საბუთების მიმართ, რათა არ დაუშვათ შეცდომა. საოჯახო და საქორწინო ურთიერთობებში დროულად გააცანით ყველას თქვენი პრეტენზიები და სურვილები. მოგზაურობა სასიამოვნოდაც ჩაივლის და საჭირო ინფორმაციის მიღებაშიც დაგეხმარებათ.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 29, 31 ოქტომბერი და 1, 3 ნოემბერი

**1 ნოემბერი ახალმთვარეობა, პიკი – 16.48 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 28 ოქტომბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.29 საათზე, ჩადის 17.00 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 02.18 საათზე, ჩადის 15.25 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 03.36 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ძვირფას ნივთებსა და ფულს განსაკუთრებით გაუფრთხილდით. ხელი შეეწყობა ადრე დასახული გეგმების განხორციელებას. ურთიერთობისას მეტი დათმობა, დიპლომატია გმართებთ. შედეგიანი იქნება ღვიძლის, ლიმფური სისტემის, ტერფების, თვალების მკურნალობა. აკონტროლეთ საჭმელ-სასმლის ხარისხი. კარგი დღეა საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, აუდიტისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი ახალი ნაცნობობა, სულსწრაფობა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ქორწინება, საქმის გარჩევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 29 ოქტომბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.30 საათზე, ჩადის 16.59 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.45) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 03.19 საათზე, ჩადის 15.31 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 04.51 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.55 საათიდან 08.31 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს და ხვალ კარგია მომავალი გეგმებისა და პროექტების შედგენა. მრავალფეროვანი ურთიერთობების დღეა. ნუ შექმნით საბაბს, რაც ეჭვიანობასა და კონფლიქტს გამოიწვევს. ეფექტური იქნება თვალების, სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, თანამშრომლობისთვის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, მუსიკალური ინსტრუმენტების, აქსესუარების შესაძენად. არ არის სასურველი მარილიანი საკვების მიღება, მოძრავი ქონებით ვაჭრობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ტოპაზი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 30 ოქტომბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.30 საათზე, ჩადის 16.58 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 04.19 საათზე, ჩადის 15.55 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 06.06 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს, რაც არ უნდა, გაიგოთ, ამის გამო ურთიერთობას ნუ გაარჩევთ. შესაძლებელია ზოგიერთი სადავო საკითხის გადაჭრა. პარტნიორთან ურთიერთობისას იმატებს ნდობა. შედეგიანი იქნება კბილების, სისხლძარღვების, ტერფების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა. არ არის სასურველი ბევრი სითხის მიღება, მოძრავი ქონებით ვაჭრობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, აქსესუარების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, მუსიკალური ინსტრუმენტების შესაძენად, ინტერიერის განახლებისთვის. ექიმთან კონსულტაციისთვის და მკურნალობის დასაწყებად, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, თანამშრომლობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 31 ოქტომბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.32 საათზე, ჩადის 16.56 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.37) **ღრიანკალის** ზოდიაქოში. ამოდის 05.20 საათზე, ჩადის 16.15 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 07.22 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.58 საათიდან 21.30 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სულიერი განვითარების შესაძლებლობა მოგეცემათ ცდუნებებისა და განსაცდელის დაძლევით. პროვოკაციებს არ აჰყვეთ. შესაძლებელია, ურთიერთობების გაუმჯობესება. კარგი დღეა ძველი უსარგებლო ნივთებისგან გასათავისუფლებლად, ქორწინებისთვის, სასიყვარულო და მეგობრული კონტაქტებისთვის, შემოქმედებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, თანამშრომლობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარების, ხელოვნების ნიმუშების შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის. არ არის სასურველი მოძრავი ქონებით ვაჭრობა, ბევრი სითხისა და მარილიანი საკვების მიღება, მჭრელ საგნებთან ურთიერთობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული და შარდსასქესო სისტემა, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ოპალი, ობსიდიანი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის.

## 1 ნოემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.33 საათზე, ჩადის 16.55 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია, ამოდის 06.22 საათზე, ჩადის 16.36 საათზე (მთვარის 30-ე დღე იწყება 08.41 საათზე. **ახალმთვარეობაა,** პიკი — 16.48 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მაღალია ტრავმების, ავარიების, ცდუნებების, შეცდომების, აგრესია-დეპრესიის გამოვლენის ალბათობა. ყურადღებით გააკონტროლეთ სიტყვები, აზრები, ეჭვიანობა, სარკაზმი, სასიკეთოა ლოცვა და ყველას დალოცვა. დღე მშვიდად გაატარეთ. არ არის სასურველი ყიდვა-გაყიდვა, სესხის აღება, ბინის შეცვლა, თანამშრომლის მიღება, ხელშეკრულების დადება, ქორწინება, ინტიმური კონტაქტები. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენციის გამოსავლენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, გიშერი, ობსიდიანი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 2 ნოემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.35 საათზე, ჩადის 16.54 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 07.27 საათზე, ჩადის 17.02 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 10.03 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **მშვილდოსნის** ზოდიაქოში, რაც ადამიანებში გააძლიერებს გონებამახვილობას, ოპტიმიზმს, კომუნიკაბელურობას, უცხო ენის ათვისების უნარს და ასევე სულსწრაფობას, უყაირათობას, სარკაზმს, აზარტს. დღეს ეფექტურია ყელის, ყურის, ცხვირის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა მგზავრობა-მოგზაურობისთვის, თვითშემეცნებისთვის, სწავლისთვის, სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის. არ არის სასურველი ეჭვიანობა, სულსწრაფობა, სარკაზმი, ბინის შეცვლა, სესხის აღება, სხივური თერაპია, ინტიმური კონტაქტები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ქრიზოპრაზი, მარჯანი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 3 ნოემბერი , კვირა

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.36 საათზე, ჩადის 16.53 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (09.20) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.33 საათზე, ჩადის 17.34 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 11.23 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.52 საათიდან 09.21 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს საკუთარ სურვილს სხვას თავს ნუ მოახვევთ და ძალისმიერი მეთოდებით ნუ იმოქმედებთ. კარგი დღეა მოგზაურობისთვის, სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, სარკაზმი, სისხლის გადასხმა, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, საფირონი, ლაზურიტი, ამეთვისტო, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



**30 ოქტომბერი – ხსენება იოსებ კათალიკოს-პატრიარქისა, სასწაულმოქმედისა**

✝ **28 ოქტომბერი. ორშაბათი. ღირსისა ექვთიმე ახლისა, თესალონიკელისა;** ღირსმოწამისა ლუკიანესი, ანტიოქიელი ხუცისა; საბინესი, კატანელი ეპისკოპოსისა; ათანასე აღმსარებელისა, კოვროვსკელი ეპისკოპოსისა.

✝ **29 ოქტომბერი. სამშაბათი.** მოწამისა ლონგინოზ ასისთავისა, რომელი იყო წინაშე ჯვარისა უფლისა; ღირსისა ზენონ იყალთოელისა, ცამეტ ასურელ მამათაგანისა.

✝ **30 ოქტომბერი. ოთხშაბათი. იოსებ კათალიკოს-პატრიარქისა, სასწაულმოქმედისა;** წინასწარმეტყველისა ოსესი; ღირსმოწამისა ანდრია კრიტელისა; მოწამეთა უვერცხლოთა თანაძმათა: კოზმან და დამიანე არაბიელთა და მოყვასთა მათთა მოწამეთა: ლეონტისა, ანთიმოზისა და ევტროპისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მართლისა ლაზარესი, ოთხთა დღეთა საფლავად მდებარისა, კრიტელი ეპისკოპოსისა.

✝ **31 ოქტომბერი. ხუთშაბათი. წმიდისა დიდებულისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა ლუკასი;** მოწამისა მარინა ბერისა; ღირსისა იულიანე მეუდაბნოისა; დიდმოწამისა დედისა ზლატასი.

✝ **1 ნოემბერი. პარასკევი.** წინასწარმეტყველისა იოელისა; მოწამისა ნიკოლოზ დვალისა; მოწამისა უარისა და მისთანა შვიდთა ქრისტიანთა მოძღვართა; ნეტარისა კლეოპატრასი და ძისა მისისა იოანესი; მღვდელმოწამისა სადუკისა, სპარსელი ეპისკოპოსისა და მისთანა 128-თა მოწამეთა.



**2 ნოემბერი – ხსენება დიდმოწამისა არტემისა**



**2 ნოემბერი – ხსენება ღირსი გაბრიელისა, სალოსისა და აღმსარებლისა**

✝ **2 ნოემბერი. შაბათი. დიმიტრის შაბათი. მიცვალებულთა ხსენება. დიდმოწამისა არტემისა. ღირსი გაბრიელისა, სალოსისა და აღმსარებლისა.**

✝ **3 ნოემბერი. კვირა. ღირსისა ილარიონ დიდისა;** მოწამეთა: დასისა, გაიოზისა და ზოტიკესი.




ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **58-ე წელია,**

**მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!**





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ვარშავა; 7. დასტა; 12. ვიოლინო; 13. ნავოი; 14. ლაქტოზა; 15. ფარჩა; 16. ზვიგენი; 17. ბორდო; 18. ალაბამა; 22. ნიასა; 23. ჩამიჩი; 26. რჩევა; 27. მოლეკულა; 28. გიდი; 30. კამელია; 31. ჰიტი; 33. ბაზილიკა; 37. ლანცა; 38. ბაზისი; 41. რი; 42. კარდინალი; 43. დალაქი; 45. ზამთარი; 47. ლიანოსი; 48. ნიგროლი; 50. კანდელი; 51. აგოგიკა; 55. კასპაროვი; 57. პინა; 59. მაკულატურა; 61. დროშა; 62. ბარიტონი; 63. პიციკატო; 64. ამალა.

შვეულად: 1. ვალუა; 2. რიქშა; 3. აგორა; 4. ავაზა; 5. კორიდა; 6. ფინეთი; 7. დოფინი; 8. სირდარი; 9. ანაბარი; 10. გვარნერი; 11. კინომანი; 19. ლიოსა; 20. ბლეფი; 21. მაუსი; 23. ჩაკა; 24. მამბა; 25. ჩელსი; 28. გალი; 29. დონია; 31. ჰავა; 32. ტური; 33. ბაკალეა; 34. ზარნაშო; 35. ლუიდორი; 36. კლასიკა; 38. ბიზონი; 39. ზამბეზი; 40. სტატიკა; 43. დინასი; 44. ქრომოსომა; 46. ტიტიკაკა; 49. გვარდია; 52. გრამი; 53. გაუდი; 54. კვატა; 56. სუმო; 57. პაბი; 58. ნირი; 60. შტო.

**პორტიშირაქიტირადამესიამურილიონილოსიონიქსი**
**პარმაღიმილიონილიკანიბალისტატიარაპირატიალი**

| უნგრელი მოჭადრაკე | ბავშვთა დაავადება | აიდას სატრფო | სიყვარულის ღმერთი | ქალაქი საფრანგეთში | პარფიუმერიული სითხე | X-ის ქართ. სახელი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ნავსადგური | ველი კახეთში | პათოსით წარმოთქმული სიტყვა | ზეციური მხსნელი | ესპანელი ფერმწერი | მდინარე აფრიკაში | მინერალი, აქატის ნაირსახეობა |
|---|---|---|---|---|---|---|



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. პოლონეთის დედაქალაქი; 7. მედუდუკეთა ანსამბლი; 12. ოთხსიმიანი მუსიკალური საკრავი, უკრავენ ხემით; 13. თურქი მწერალი; 14. რძის შაქარი; 15. აბრეშუმის ქსოვილი; 16. ზღვის დიდი ცხოველი; 17. ერთგვარი წითელი ღვინო; 18. აშშ-ის შტატი; 22. ტბა მალავიში და მოზამბიკში; 23. გამხმარი ყურძენი; 26. ჭკუის სწავლება, დარიგება; 27. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 28. ექსკურსიამძღოლი; 30. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე წითელი ყვავილებით; 31. სეზონის მოდური სიმღერა; 33. უგუმბათო ტაძარი; 37. საოპერო მომღერალი მარიო ...; 38. საყრდენი პუნქტი მატერიალურ ფასეულობათა შესანახად; 41. მუსიკოსი კრის ...; 42. წითელი ფერის მგალობელი ფრინველი; 43. ფიგაროს პროფესია; 45. წელიწადის დრო; 47. სავანის ტიპი მდინარე ორინოკოს ვაკეზე; 48. ავტომობილის ზეთი; 50. ძველებური სანათი მოწყობილობა; 51. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების დროს ტემპის მცირე შეცვლა; 55. მოჭადრაკე გარი ...; 57. სასწორის თეფში; 59. უვარგისი ქაღალდი; 61. ალამი, ბაირაღი; 62. კაცის სასიმღერო ხმა; 63. ხემიანი საკრავის თითის ამოკვრით დაკვრა; 64. მეფის მხლებლები.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ფრანგ მეფეთა დინასტია; 2. ეტლში შებმული ადამიანი ინდოეთში; 3. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 4. მტაცებელი ცხოველი; 5. ხარების ბრძოლა; 6. ევროპის სახელმწიფო; 7. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 8. მებარგული ჰიმალაის მთებში; 9. ბანკში შეტანილი ფული; 10. იტალიელი ვიოლინოს ოსტატი; 11. კინოს დიდი მოყვარული; 19. ამერიკელი რეჟისორი; 20. ფილმი ადრიანო ჩელენტანოს მონაწილეობით; 21. დისნეის თაგუნა მიკი ...; 23. ზულუსების მმართველი; 24. გველის სახეობა; 25. ინგლისის საფეხბურთო კლუბი; 28; ქალაქი აფხაზეთში; 29. მიმართვა ქალისადმი ესპანეთში; 31. კლიმატი; 32. საჭადრაკო ტურნირის ნაწილი; 33. სასურსათო ნაწარმის ერთგვარი მაღაზია; 34. დიდი ბუ; 35. ძველებური ფრანგული ოქროს ფული; 36. კლასიკურ ნაწარმოებთა ერთობლიობა; 38. ჩრდილოეთ ამერიკული გარეული ხარი; 39. მდინარე ზამბიაში; 40. მექანიკის ნაწილი; 43. ცეცხლგამძლე აგური; 44. უჯრედის ბირთვის ნაწილი; 46. ტბა პერუსა და ბოლივიაში; 49. ჯარის საუკეთესო ნაწილი; 52. წონის ერთეული; 53. ესპანელი არქიტექტორი; 54. იხვი (კუთხ.); 56. ჭიდაობის სახეობა; 57. ლუდხანა ინგლისში; 58. ხასიათი, ზნე; 60. რტო, ტოტი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| აივანი, დერეფანი | ფილმი „როგორ მოვიპაროთ ...“ | ქართული მინერალური წყალი | ლოდსატყორცნი მანქანა ძველად | რომის პაპის თავსარქმელი | ზღვის ყაჩაღი | ცეცხლის ანადენი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქალაქი იტალიაში | უხმო სიცილი | NBA-ის კალათბურთელი | კაციჭამია, ველური | წერილი გაზეთში, ჟურნალში | საფარიკაო იარაღი | უპატრონო, ოხერი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ (ᲐᲠ) ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.







რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 28 ოქტომბერი - 3 ნოემბერი №45 (1563)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

mail@asavali.com

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol